IFAB®

THE
INTERNATIONAL
FOOTBALL
ASSOCIATION
BOARD

FIFA

THEIFAB.COM
SINCE 1886

თამაშის წესები

2016/17

IFAB®

The International Football Association Board
Münstergasse 9, 8001 Zurich, Switzerland
T: +41 (0)44 245 1886, F: +41 (0)44 245 1887
www.theifab.com

საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭოს (IFAB) ნებართვის გარეშე
არ შეიძლება წინამდებარე ბუკლეტის ნებისმიერი სახით გამრავლება ან თარგმნა,
როგორც მთლიანად ასევე ნაწილობრივ.

თარგმანი მომზადებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ

ძალაშია 2016 წლის 1 ივნისიდან

თამაშის წესები

2016/17

სარჩევი

8 წინასიტყვაობა

8 IFAB - ის ისტორია
10 IFAB - ის სტრუქტურა და საქმიანობა
12 მიმდინარე წესების გადასინჯვის საფუძველი

14 შენიშვნები თამაშის წესებზე

16 თამაშის წესები 2016/17

18 01 სათამაშო მოედანი
28 02 ბურთი
32 03 მოთამაშეები
40 04 მოთამაშეთა ეკიპირება
44 05 მსაჯი
52 06 მატჩის სხვა ოფიციალური პირები
60 07 მატჩის ხანგრძლივობა
64 08 თამაშის დაწყება და განახლება
68 09 ბურთი თამაშში და თამაშის გარეთ
70 10 მატჩის შედეგის განსაზღვრა
76 11 თამაშგარე
80 12 წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი
90 13 საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები
94 14 11 მ დარტყმა
98 15 ბურთის შემოგდება გვერდითი ხაზიდან
102 16 კარიდან დარტყმა
106 17 კუთხური დარტყმა

IFAB®

110 ცვლილებები წესებში 2016/17

111 წესებში ცვლილებების ზოგადი მონახაზი
116 წესებში ცვლილებების დეტალები

158 ლექსიკონი

159 საფეხბურთო ორგანიზაციები
160 საფეხბურთო ტერმინები
169 სამსაჯო ტერმინები

170 მატჩის ოფიციალური პირების პრაქტიკული სახელმძღვანელო

171 წინასიტყვაობა
172 პოზიციის შერჩევა, მოძრაობა და გუნდური მუშაობა
186 ჟესტების ენა, კომუნიკაცია და სასტვენი
192 სხვა რჩევები

- უპირატესობა
- დაკარგული დროის დამატება
- მეტოქის შეკავება
- თამაშგარე
- დახმარება/ტრავმის შეფასება ისეთი

დარღვევის შემდეგ, რომელიც ისჯება გაფრთხილებით/გაძევებით



IFAB-ის ისტორია

საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭო წარმოადგენს უნივერსალურ ორგანოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ფეხბურთის თამაშის წესებზე. მისი ამოცანაა დაიცვას, შეადგინოს და შეიტანოს ცვლილებები თამაშის წესებში, ვინაიდან ისინი გამოიყენება FIFA-ს მიერ ორგანიზებულ მსოფლიო ფეხბურთში. ეს უზრუნველყოფს წესების ერთგვაროვან გამოყენებას მთელ მსოფლიოში, მათ შესაბამის დაკვირვებას და ამგვარად ორგანიზებული ფეხბურთის თანმიმდევრულ გამოყენებას პრაქტიკაში.

IFAB დაარსდა 1886 წლის 2 ივნისს, როდესაც გაიმართა ინგლისის, შოტლანდიის, უელსის და ჩრდილო ირლანდიის ორი-ორი წარმომადგენლის შეხვედრა. როგორც ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის შვილობილი, ახალი ორგანო შეიქმნა, რათა დაედგინა თამაშის ერთიანი წესები იმ დროს, როდესაც ყველა ქვეყანა იყენებდა განსხვავებულ წესებს. მას მერე, რაც საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭო დაარსებული იქნა როგორც თამაშის წესების დამცველი, მისი ამოცანაა შეინარჩუნოს, დააკვირდეს, შეისწავლოს და თუ საჭიროა, გააუმჯობესოს თამაშის წესები.

ფეხბურთის თამაშის წესები სწრაფად გავრცელდა და 1904 წელს შვიდი ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ პარიზში, რათა დაეარსებინათ საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (FIFA), რომელიც IFAB - ს შეუერთდა 1913 წელს.

თამაშის წესების პირველი ოფიციალური კრებულის შექმნის დღიდან, IFAB წესებში ბევრი ცვლილების მომსწრეა. მაგალითად, შესაძლოა, თამაშგარე არის ყველაზე მეტად შეცვლილი წესი, ვინაიდან, პირველად ბურთის წინ მყოფი მოთამაშე იყო თამაშგარეში. კარის მოედანი პირველად გაჩნდა 1869 წელს, რასაც მოყვა კუთხური დარტყმა 1872-ში, ხოლო პირველი 11 მ დარტყმა დანიშნული იქნა 1891 წელს - 1902 წლამდე მისი შესრულება შეიძლებოდა კარიდან 12 იარდით დაშორებული ხაზის ნებისმიერი წერტილიდან. 1912 წლის გადაწყვეტილებამ, რომელიც უკრძალავდა მეკარეს საჯარიმო მოედნის გარეთ ბურთზე ხელით თამაშს, გამოიწვია გატანილი გოლების რაოდენობის გაზრდა, ხოლო 1920 წლიდან მოთამაშე არ შეიძლება აღმოჩენილიყო თამაშგარე მდგომარეობაში ბურთის გვერდითი ხაზიდან შემოგდებისას (აუტი).

საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭო (IFAB) მუდმივად და განუხრელად ცვლიდა თამაშს და მათ მენტალობას, ვინც თამაშობდა და უყურებდა მას. აზროვნებაში ამ ძვრების მშვენიერი მაგალითებია 1990 წელს იტალიაში მსოფლიო თასის შემდეგ მიღებული ცვლილება, რომელიც უკრძალავდა მეკარეს გამიზნულად „უკან პასის“ დროს ეთამაშა ხელით და 1998 წლის წესი, რომელიც ითვალისწინებდა წითელ ბარათს უკნიდან უხეში ვარდნისთვის.

2010 წლის ოქტომბერში IFAB-მა გადახედა კარის ხაზის ტექნოლოგიის (GLT) გამოყენების შესაძლებლობას და დაამტკიცა ყოვლისმომცველი ტესტირების ორწლიანი პერიოდი. 2012 წლის ივლისში IFAB-მა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილებები: დაამტკიცა GLT და დამატებითი ასისტენტების გამოყენება.

2016 წლის მარტში შედგა ასევე ისტორიული წლიური გენერალური სხდომა (AGM), როდესაც IFAB-ის ისტორიაში თამაშის წესების ყველაზე სრულ და ყოვლისმომცველ რევიზიასთან ერთად, დამტკიცდა სატესტო პერიოდი მსაჯის ვიდეო ასისტენტისთვის.

IFAB-ის სტრუქტურა და საქმიანობა

2012 წელს IFAB-მა დაიწყო რეფორმების პროცესი, რომელიც დასრულდა 2014 წლის 13 იანვარს, როდესაც შვეიცარიის კანონმდებლობის შესაბამისად საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭო გახდა ავტონომიური ასოციაცია და დაამტკიცა რეგლამენტები, რომლებიც განსაზღვრავენ საბჭოს და მისი ორგანოების მიზანს, სტრუქტურას და პასუხისმგებლობის არეებს. საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობის, დემოკრატიულობის და თანამედროვეობის უზრუნველსაყოფად შექმნილი იქნა აღმასრულებელი სამდივნო, რომელსაც უძღვება საბჭოს მდივანი.

იმ დროს, როდესაც საბჭოს შემადგენლობა უცვლელი დარჩა, რეფორმის ფარგლებში მოხდა ფეხბურთის საკონსულტაციო ჯგუფის და ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფის ფორმირება, რომლებიც შედგებიან ექსპერტებისგან მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყნებიდან. ეს ჯგუფები მიზნად ისახავენ საკონსულტაციო პროცესის გაუმჯობესებას და წესების განვითარების მიმართ უფრო წინმსწრები მიდგომის სტიმულირებას.

ყოველწლიური გენერალური სხდომა (AGM)

AGM ტარდება თებერვალში ან მარტში ინგლისში, შოტლანდიაში, უელსში და ჩრდილო ირლანდიაში, მკაცრი როტაციით, ასევე იქ, სადაც გადაწყვეტს FIFA - მსოფლიო თასის ჩატარების წლებში. AGM-ის გადაწყვეტილებები თამაშის წესებზე სავალდებულოა კონფედერაციებისთვის და ეროვნული ასოციაციებისთვის 1 ივნისიდან. თუმცა, კონფედერაციებს და ეროვნულ ასოციაციებს, რომელთა მიმდინარე სეზონი ან შეჯიბრება ჯერ არ დამთავრებულა 1 ივნისისთვის, შეუძლიათ გადადონ ცვლილებების ძალაში შესვლა შემდეგი სეზონის დასაწყისამდე ან შეჯიბრების დამთავრებამდე; ისინი, რომლებიც იწყებენ 1 ივნისამდე, შეუძლიათ ცვლილებების გამოყენება IFAB-ის მიერ ოფიციალური ცირკულარით ცვლილებების გამოცხადებისთანავე.

თამაშის წესების ცვლილება არ შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი კონფედერაციის ან ეროვნული ასოციაციის (მათ შორის, შეჯიბრებების) მიერ, თუ არ იქნა მიღებული IFAB-ის მიერ.

ყოველწლიური სამუშაო სხდომა (ABM)

ABM არის AGM-ის მოსამზადებელი სხდომა და ტარდება ნოემბერში. ABM-ს შეუძლია განიხილოს ნებისმიერი კონფედერაციის ან ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის მერ შეთავაზებული წინადადებები და შეუძლია დაამტკიცოს ექსპერიმენტები და ცდები. თუმცა, წესებში ცვლილებები უნდა დამტკიცდეს AGM-ის მიერ.

ტექნიკური ქვეკომიტეტი (TSC)

IFAB- ის ტექნიკური ქვეკომიტეტი შედგება ოთხი ბრიტანული ასოციაციის, FIFA-სდა IFAB-ის ექსპერტებისაგან და პასუხისმგებელია განიხილოს წესების შესაძლო ცვლილებები და განახორციელოს ABM-ის და AGM-ის მიერ დამტკიცებული ექსპერიმენტების კონტროლი.

საკონსულტაციო ჯგუფები

საფეხბურთო საკონსულტაციო ჯგუფი (FAP) და ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფი (TAP) შედგება ექსპერტებისაგან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ეხმარებიან IFAB-ს წესებზე მუშაობაში. ჯგუფებში შედიან ყოფილი მოთამაშეები, მწვრთნელები და მსაჯები სხვადასხვა კონფედერაციებიდან და საფეხბურთო ორგანიზაციებიდან. საფეხბურთო საკონსულტაციო ჯგუფი წარადგენს მოთამაშეთა და მწვრთნელთა პერსპექტიულ წინადადებებს, ხოლო ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფი აფასებს ტექნიკურ დეტალებს და წესებში ნებისმიერი ცვლილების შესაძლო ზეგავლენას მსაჯობაზე.

წესების მიმდინარე რევიზიის საფუძვლები

თამაშის წესების მიმდინარე რევიზიის უფლებას იძლევა AGM-ს (ყოველწლიური გენერალური სხდომა) 127-ე, 128-ე და 129-ე სხდომების ოქმები. ტექნიკურმა ქვეკომიტეტმა მუშაობა დაიწყო 2014 წლის შემოდგომაზე და 2015 წლის 28 თებერვალს ჩატარებული 129-ე ყოველწლიური გენერალური სხდომის ოქმში ჩაიწერა, რომ:

„(...) რევიზიის მიზანია, რომ თამაშის წესები გახდეს უფრო აღქმადი, ყველასთვის უფრო ადვილად გასაგები და აამაღლოს წესების გაგების, ინტერპრეტაციისა და გამოყენების თანმიმდევრულობა“.

რევიზია ფოკუსირებული იყო თანამედროვე თამაშთან წესების შესაბამისობის მიღწევაზე ყველა დონეზე. ცვლილების ძირითადი არეებია:

- **უფრო მარტივი სტრუქტურა** - წესი და წესის ინტერპრეტაცია გაერთიანდა, ასე რომ ყველა ინფორმაცია ყოველი წესისთვის მოთავსებულია ერთ ადგილას

- **განახლებული სათაურები** – ზოგიერთ წესს გადაერქვა სათაური, რათა ასახულიყო მათი შინაარსი და საშუალება ყოფილიყო ისეთი ტექსტების ჩართვისა, რაც არ იყო გათვალისწინებული წესისთვის, მაგ. წესი 6: „მსაჯის ასისტენტები“ შეიცვალა „მატჩის სხვა ოფიციალური პირებით“, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო სარეზერვო მსაჯები, მსაჯის დამატებითი ასისტენტები და ა.შ.

- **ინგლისური და ფრაზეოლოგია** - ამოღებული იქნა უსარგებლო სიტყვები. სიტყვების და ფრაზების უფრო თანმიმდევრული გამოყენება წესებს ადვილად წასაკითხს ხდის, აადვილებს თარგმნას და ამცირებს დაბნეულობას და გაუგებრობებს. მოცილებული იქნა წინააღმდეგობები და ზედმეტი გამეორებები. წესები ამჟამად „გენდერულად ნეიტრალურია“, რაც ასახავს დღევანდელ დღეს ქალების მნიშვნელოვან როლს ფეხბურთში

- **განახლებული შინაარსი** – გარკვეული ცვლილებები განაახლებს წესებს თანამედროვე ფეხბურთის შესაბამისად, მაგ. სათადარიგოების გაზრდილი რაოდენობა

შემოტანილი იქნა ორი „ახალი“ მნიშვნელოვანი სექცია:

- **წესებში ცვლილებების ახსნა-განმარტება** – ეს სექცია შეიცავს „ძველ“ ტექსტს, „ახალ“ ტექსტს და ცვლილების განმარტებას ყოველი წესისთვის
- **ლექსიკონი** – ეს არის მნიშვნელოვანი სიტყვების/ფრაზების განმარტებების სია, რომლებიც ზოგჯერ არასწორად არის გაგებული და/ან რთულია სათარგმნელად

IFAB დარწმუნებულია, რომ მიმდინარე რევიზიით თამაშის წესები ხდება უფრო აღქმადი და გასაგები ყველასათვის, ვინც ჩაბმულია ან დაინტერესებულია ფეხბურთით. ამან უნდა მიგვიყვანოს წესების გაგების, ინტერპრეტაციის და გამოყენების თანმიმდევრულობის ზრდასთან, რადგან ბევრად ნაკლები საკამათო და სადავო საკითხები წარმოიშვება სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციების გამო.

IFAB გამოხატავს უღრმეს მადლიერებას ტექნიკური ქვეკომიტეტის მიმართ ამ რევიზიაზე მუშაობისათვის:

- დევიდ ელერეი (პროექტის ლიდერი, IFAB)
- ნილ ბარი (საფეხბურთო ასოციაცია)
- ჟან-პოლ ბრიგერი (FIFA)
- მასიმო ბუზაკა (FIFA)
- უილიამ კემბელი (ირლანდიის საფეხბურთო ასოციაცია)
- რეი ელინგჰემი (უელსის საფეხბურთო ასოციაცია)
- ჯონ ფლემინგი (შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაცია)
- ფერნანდო ტრესაკო გრაცია (FIFA)

შენიშვნები თამაშის წესებზე

მოდიფიკაციები

შესაბამისი ეროვნული ასოციაციის თანხმობისა და წინამდებარე თამაშის წესების პრინციპების დაცვის შემთხვევაში, წესები შესაძლოა მოდიფიცირებული იქნეს იმ მატჩებში გამოყენებისას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ 16 წლამდე ასაკის ჭაბუკი მოთამაშეები, ქალი ფეხბურთელები, ვეტერანი ფეხბურთელები (35 წლის ასაკის ზევით) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოთამაშეები.
დასაშვებია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მოდიფიკაცია ან რომელიმე მათგანი:

- სათამაშო მოედნის ზომა
- ბურთის ზომა, წონა ან მასალა, რომლისგანაც ის დამზადებულია
- ბოძებს შორის ან ძელიდან მიწის ზედაპირამდე მანძილი
- ტაიმების ხანგრძლივობა
- შეცვლები

სხვა მოდიფიკაციები დასაშვებია მხოლოდ IFAB-ის თანხმობით.

ოფიციალური ენები

IFAB თამაშის წესებს გამოსცემს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე. თუ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა ტექსტებს შორის, გამოცემა ინგლისურ ენაზე ითვლება პირველწყაროდ.

გასაღები

მთავარი ცვლილებები წესებში ხაზგასმულია და გამოყოფილია მინდვრებზე განსხვავებული ფერით

IFAB®

IFAB®

თამაშის წესები

2016/17

IFAB®

ᲗᲐᲕᲘ

01

სათამაშო მოედანი

1. მოედნის საფარი

სათამაშო მოედანი უნდა იყოს მთლიანად ბუნებრივი, ან, თუ ნებადართულია შეჯიბრების დებულების მიერ, მთლიანად ხელოვნური სათამაშო საფარით. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შეჯიბრების დებულებით, ნებადართულია ხელოვნური და ბუნებრივი მასალების (ჰიბრიდული სისტემა) შეთავსებული კომბინაცია.

ხელოვნური საფარი უნდა იყოს მწვანე ფერის.

FIFA-ს წევრი ასოციაციების წარმომადგენელ გუნდებს შორის შეჯიბრებებში ან საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებებში გამოყენებული ხელოვნური საფარი უნდა აკმაყოფილებდეს „საფეხბურთო საფარისთვის FIFA-ს ხარისხის პროგრამას“ ან „საერთაშორისო მატჩის სტანდარტს“, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გაცემულია IFAB-ის სპეციალური ნებართვა.

2. მოედნის დახაზვა

სათამაშო მოედანი უნდა იყოს მართკუთხა ფორმის და უწყვეტი და უსაფრთხო ხაზებით მონიშნული. ეს ხაზები ეკუთვნის იმ არეალს, რომელსაც შემოსაზღვრავენ.

სათამაშო მოედანი მხოლოდ 1-ელ წესში მითითებული ხაზებით უნდა იყოს მონიშნული.

მოედნის შემომსაზღვრელი ორი უფრო გრძელი ხაზი არის გვერდითი ხაზი. ორი უფრო მოკლე ხაზი არის კარის ხაზი.

სათამაშო მოედანი გაყოფილია ორ ნაწილად შუა ხაზით, რომელიც აკავშირებს გვერდითი ხაზების შუა წერტილებს.

ცენტრის ნიშნული აღნიშნულია შუა ხაზის ცენტრში. მის ირგვლივ შემოხაზულია წრე 9.15 მ (10 იარდი) რადიუსით.

ყველა ხაზი უნდა იყოს ერთნაირი სიგანის და არ უნდა აღემატებოდეს 12 სმ-ს (5 დუიმი). კარის ხაზების სიგანე უნდა იყოს კარის ბოძების და ძელის სიგანის ტოლი.

როდესაც გამოყენებულია ხელოვნური საფარი, სხვა ხაზების არსებობა დასაშვებია, იმ პირობით, რომ ისინი განსხვავებული ფერის არიან და მკვეთრად განსხვავდებიან საფეხბურთო ხაზებისგან.

მოთამაშე, რომელიც გაავლებს აკრძალულ ხაზებს სათამაშო მოედანზე, გაფრთხილებული უნდა იყოს არასპორტული საქციელისთვის. თუ მსაჯი შეამჩნევს, რომ ეს გაკეთდა თამაშის მსვლელობისას, მოთამაშე გაფრთხილებული იქნება ბურთის თამაშიდან გასვლისთანავე.

3. ზომები

გვერდითი ხაზი კარის ხაზზე გრძელი უნდა იყოს.

სიგრძე (გვერდითი ხაზი):	მინიმუმ	90 მ	(100 იარდი)
	მაქსიმუმ	120 მ	(130 იარდი)
სიგრძე (კარის ხაზი):	მინიმუმ	45 მ	(50 იარდი)
	მაქსიმუმ	90 მ	(100 იარდი)

4. ზომები საერთაშორისო მატჩებისთვის

სიგრძე (გვერდითი ხაზი):	მინიმუმ	100 მ	(110 იარდი)
	მაქსიმუმ	110 მ	(120 იარდი)
სიგრძე (კარის ხაზი):	მინიმუმ	64 მ	(70 იარდი)
	მაქსიმუმ	75 მ	(80 იარდი)

შეჯიბრების ჩამტარებელმა შეიძლება განსაზღვროს გვერდითი და კარის ხაზის სიგრძე ზემოთ აღნიშნულ ფარგლებში.


კარის ხაზი
მინიმუმ 45მ / მაქსიმუმ 90მ
კუთხურის ზონა
7.32მ
5. კარის მოედანი
11მ. ნიშნული
6. საჯარიმო მოედანი
11მ. რკალი
კუთხურის დროშტოები
მინიმუმ 90მ / მაქსიმუმ 120მ
დროშტოები
რადიუსი 9.15მ
ცენტრის ნიშნული
ცენტრის ხაზი
ცენტრის წრე
გვერდითი ხაზი
9.15მ
დამხმარე ნიშნები
16.5მ
5.5მ
11მ
9.15მ
16.5მ
5.5მ
9.15მ
რადიუსი 1მ

5. კარის მოედანი

კარის ორივე ბოძის შიდა მხრიდან კარის ხაზის გასწვრივ გადაიზომება 5.5 მ (6 იარდი), საიდანაც მოედნის სიღრმეში, კარის ხაზის მართობულად გაივლება ორი ხაზი, რომლებიც 5.5 მ (6 იარდი) მანძილზე შეერთდება კარის ხაზის პარალელური ხაზით. ამ ხაზებით და კარის ხაზით შემოსაზღვრული ზონა არის კარის მოედანი.

6. საჯარიმო მოედანი

კარის ორივე ბოძის შიდა მხრიდან კარის ხაზის გასწვრივ გადაზომილია 16.5 მ (18 იარდი), საიდანაც მოედნის სიღრმეში, კარის ხაზის მართობულად გავლებულია ორი ხაზი, რომლებიც 16.5 მ (18 იარდი) მანძილზე შეერთდება კარის ხაზის პარალელური ხაზით. ამ ხაზებით და კარის ხაზით შემოსაზღვრული ზონა არის საჯარიმო მოედანი.

ყოველ საჯარიმო მოედანში აღინიშნება 11 მ ნიშნული - კარის ბოძებს შორის შუა წერტილიდან 11 მ (10 იარდი) მანძილზე და მათგან თანაბარი მანძილის დაშორებით.

ორივე საჯარიმო მოედნის გარეთ შემოივლება 9.15 მ (10 იარდი) რადიუსის რკალი, რომლის ცენტრს წარმოადგენს 11 მ ნიშნული.

7. კუთხური ზონა

კუთხური ზონა განსაზღვრულია 1 მ (1 იარდი) რადიუსის მეოთხედი რკალით, რომლებიც გავლებულია ყოველი კუთხური ფლაგშტოკიდან სათამაშო მოედნის შიგნით.



8. კუთხური ალმები

მოედნის ყოველ კუთხეში განთავსებულია ალმები, რომლებიც დამაგრებულია ფლაგშტოკზე, ოვალური ზედა ბოლოთი, რომელთა სიმაღლე არის არანაკლებ 1.5 მ (5 ფუტი).

კუთხური ალმები ასევე შეიძლება განთავსდეს მოედნის შუა ხაზის ორივე ბოლოში, გვერდითი ხაზიდან 1 მ (1 იარდი) დაშორებით.

9. ტექნიკური ზონა

ტექნიკური ზონა განკუთვნილია იმ მატჩებისთვის, რომლებიც ტარდება სტადიონებზე, სადაც არსებობს დასაჯდომი ადგილი გუნდების ოფიციალური პირებისა და სათადარიგო მოთამაშეებისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

- ტექნიკური ზონა გრძელდება დასაჯდომი ადგილიდან ორივე მხარეს მხოლოდ 1 მ (1 იარდი) მანძილზე და გვერდით ხაზამდე სულ ცოტა 1 მ-ის (1 იარდი) დაშორებით
- ამ ზონის საზღვრების დასადგენად გამოყენებული უნდა იყოს ხაზები
- იმ პირების რაოდენობა, ვისაც უფლება აქვთ დაიკავონ ადგილები ტექნიკურ ზონაში, განისაზღვრება შეჯიბრების დებულებით
- ტექნიკურ ზონაში მყოფი პირები:
  - იდენტიფიცირებული უნდა იყვნენ მატჩის დაწყებამდე შეჯიბრების დებულების შესაბამისად
  - უნდა მოიქცნენ შესაბამისი პასუხისმგებლობით
  - უნდა დარჩნენ მის საზღვრებში, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, მაგ. ფიზიოთერაპევტი/ექიმი შედის სათამაშო მოედანში მსაჯის ნებართვით დაშავებული მოთამაშის შემოწმების მიზნით
- მხოლოდ ერთ პირს აქვს უფლება ერთი და იმავე დროს ტექნიკური ინსტრუქციები მისცეს ტექნიკური ზონიდან

10. კარი

კარი განთავსებული უნდა იყოს ყოველი კარის ხაზის ცენტრში.

კარი შედგება ორი ვერტიკალური ბოძისგან, რომლებიც თანაბარი მანძილითაა დაშორებული კუთხური ალმებისგან და ზევით შეერთებულია ჰორიზონტალური ძელით. ბოძები და ძელი დამზადებული უნდა იყოს ნებადართული მასალისგან. ისინი უნდა იყოს კვადრატული, მართკუთხა, წრიული ან ელიფსური კვეთის და არ უნდა იყოს სახიფათო.

მანძილი ბოძების შიდა კონტურებს შორის არის 7.32 მ (8 იარდი), ხოლო მანძილი მიწის ზედაპირიდან ძელის ქვედა კონტურამდე არის 2.44 მ (8 ფუტი).

კარის ბოძების განლაგება კარის ხაზის მიმართ უნდა იყოს გრაფიკული ნახაზების მიხედვით.

ბოძები და ძელი უნდა იყოს თეთრი ფერის, უნდა ჰქონდეთ ერთი და იგივე სიგანე და სიღრმე და ის არ უნდა აღემატებოდეს 12 სმ (5 დუიმი).

თუ ძელი დაზიანდა ან ჩამოვარდა, თამაში უნდა შეჩერდეს, ვიდრე ძელი არ შეკეთდება ან არ მოთავსდება თავის ადგილზე. თუ ვერ ხერხდება ძელის შეკეთება, მატჩი უნდა შეწყდეს. დაუშვებელია თოკის ან რაიმე მოქნილი ან საშიში მასალის გამოყენება ძელის ნაცვლად. თამაში განახლდება „სადავო ბურთით“.

ბადე შესაძლებელია მიმაგრებული იყოს კარზე და კარის უკან მიწაზე; ის საიმედოდ უნდა იყოს დამაგრებული და ხელს არ უნდა უშლიდეს მეკარეს.

უსაფრთხოება

ორივე კარი (მათ შორის პორტატული კარი) მყარად უნდა იყოს დამაგრებული მიწაზე.

IFAB®



კარის ბოძების განლაგება
კარის ხაზის მიმართ უნდა იყოს
ქვემოთ მოცემული გრაფიკული ნახაზების მიხედვით



11. კარის ხაზის ტექნოლოგია (Goal Line Technology (GLT))

GLT სისტემები შესაძლოა გამოყენებული იყოს იმის დასადგენად, გატანილი იქნა თუ არა გოლი და მსაჯის გადაწყვეტილების მხარდასაჭერად.

იქ, სადაც გამოყენებულია კარის ხაზის ტექნოლოგია, შესაძლოა ნებადართული იყოს კარის კარკასის მოდიფიკაციები GLT-თვის განკუთვნილ „FIFA-ს ხარისხის პროგრამის“ და თამაშის წესების შესაბამისად. კარის ხაზის ტექნოლოგიის გამოყენება გათვალისწინებული უნდა იყოს შეჯიბრების დებულებაში.

GLT-ის პრინციპები

GLT გამოიყენება უშუალოდ კარის ხაზისთვის და მხოლოდ იმის დასადგენად, გატანილი იქნა თუ არა გოლი.

იმის ინდიკაცია, გატანილი იქნა თუ არა გოლი, უნდა იყოს მყისიერი და ავტომატურად დამოწმებული ერთი წამის ფარგლებში GLT სისტემის საშუალებით მხოლოდ მატჩის ოფიციალური პირებისთვის (მსაჯის საათის მეშვეობით, ვიზუალური სიგნალის და ვიბრაციის დახმარებით).

GLT-ის მოთხოვნები და სპეციფიკაციები

თუ GLT გამოყენებულია შეჯიბრების მატჩებში, შეჯიბრების ორგანიზატორები უნდა დარწმუნდნენ, რომ სისტემა სერტიფიცირებულია ქვემოთ მოყვანილი ერთი რომელიმე სტანდარტის შესაბამისად:

- FIFA Quality PRO
- FIFA Quality
- IMS - INTERNATIONAL MATCH STANDARD

ტესტირების დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ უნდა შეამოწმოს სხვადასხვა ტექნოლოგიების მომწოდებლების სისტემების აკურატულობა და პრაქტიკულობა "ტესტირების სახელმძღვანელოს“ შესაბამისად. თუ ტექნოლოგია არ ფუნქციონირებს „ტესტირების სახელმძღვანელოს“ შესაბამისად, მაშინ მსაჯმა არ უნდა გამოიყენოს GLT სისტემა და უნდა მოახსენოს ამის შესახებ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს.

იქ, სადაც გამოყენებულია GLT, მსაჯმა უნდა შეამოწმოს ტექნოლოგიის პრაქტიკულობა მატჩამდე, როგორც ეს გათვალისწინებულია „FIFA-ს ხარისხის პროგრამაში“ GLT-ის „ტესტირების სახელმძღვანელოსთვის“.

12. კომერციული რეკლამა

დაუშვებელია ნებისმიერი სახის კომერციული რეკლამის - რეალურის ან ვირტუალურის - განთავსება სათამაშო მოედანზე, მიწის ზედაპირზე კარის ბადით შემოსაზღვრულ ზონაში, ტექნიკურ ზონაში ან მიწის ზედაპირზე 1 მ-ზე (1 იარდი) უფრო ახლოს სათამაშო მოედნის შემომსაზღვრელი ხაზებიდან, გუნდების მოედანზე გასვლის მომენტიდან მოედნიდან გამოსვლამდე პირველი ნახევრის ბოლოს, მეორე ნეხევრის სათამაშოდ გუნდების მოედანზე დაბრუნების მომენტიდან მატჩის დასრულებამდე. დაუშვებელია რეკლამის განთავსება კარზე, ბადეზე, კუთხური ალმის ფლაგშტოკებზე და მათ ალმებზე და ასევე დაუშვებელია ამ საგნებზე დამატებითი მოწყობილობების (კამერები, მიკროფონები და ა.შ.) დამაგრება.

ამის გარდა, ვერტიკალურ სიბრტყეში განთავსებული რეკლამა დაშორებული უნდა იყოს სულ მცირე:

- 1 მ - ით (1 იარდი) სათამაშო მოედნის გვერდითი ხაზებიდან
- ისეთივე მანძილით კარის ხაზიდან, როგორიცაა კარის ბადის სიღრმე
- 1 მ - ით (1 იარდი) კარის ბადიდან

13. ლოგოტიპები და ემბლემები

სათამაშო დროის განმავლობაში აკრძალულია FIFA-ს, კონფედერაციების, ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების, შეჯიბრებების, კლუბების ან მათი ორგანოების წამომადგენლობითი ლოგოტიპების ან ემბლემების - რეალურის ან ვირტუალურის - კოპირება სათამაშო მოედანზე, კარის ბადეებზე და მათ მიერ შემოსაზღვრულ ზონაში, კარზე და კუთხურის ალმების ფლაგშტოკებზე. ისინი ნებადართულია კუთხურის ალმებზე.

IFAB®

ᲬᲘᲚᲘ

02

ბურთი

1. ხარისხი და პარამეტრები

ყველა ბურთი უნდა იყოს:

- სფეროსებრი
- დამზადებული შესაბამისი მასალისაგან
- 70 სმ -დან (28 დუიმი) 68 სმ - მდე (27 დუიმი) გარშემოწერილობის
- 450 გრ - დან (16 უნცია) 410 გრ - მდე (14 უნცია) წონის მატჩის დაწყებისას
- 0.6 – 1.1 ატმოსფეროს (600 – 1,100 g/cm^2) წნევის ზღვის დონეზე (8.5 კგძ/კვ.დ – 15.6 კგძ/კვ. დ)

FIFA-ს ან კონფედერაციების ეგიდით ორგანიზებული ყველა ოფიციალური შეჯიბრების მატჩებში გამოყენებული ყველა ბურთი უნდა ატარებდეს ქვემოთ მოყვანილიდან ერთ-ერთ ხარისხის ნიშანს:

- FIFA Quality PRO
- FIFA Quality
- IMS - INTERNATIONAL MATCH STANDARD

ბურთები, რომლებსაც აქვთ ძველი ხარისხის ნიშნები, როგორიც არის „FIFA Approved", "FIFA Inspected" ან "International Matchball Standartd", შეიძლება გამოყენებული იქნეს ზემოთ ნახსენებ შეჯიბრებებში 2017 წლის 31 ივლისამდე.

ყოველი ნიშანი აჩვენებს, რომ ბურთმა გაიარა ოფიციალური შემოწმება და შეესაბამება ამ ნიშნის განსაკუთრებულ ტექნიკურ მოთხოვნებს, მე-2 წესში მოყვანილ მინიმალურ სპეციფიკაციებთან ერთად და დამტკიცებული უნდა იყოს IFAB-ის მიერ. ტესტების ჩამტარებელ ორგანიზაციებს ამტკიცებს FIFA.

იქ, სადაც გამოყენებულია კარის ხაზის ტექნოლოგია (GLT), ბურთები, რომლებშიც ინტეგრირებულია ტექნოლოგია, უნდა ატარებდნენ ზემოთმოყვანილი ხარისხის ნიშნებიდან ერთ-ერთს.

ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების შეჯიბრებებმა შესაძლოა მოითხოვონ ისეთი ბურთების გამოყენება, რომლებიც ატარებენ ამ ნიშნებიდან ერთ-ერთს.

იმ მატჩებში, რომლებიც ტარდება FIFA-ს, კონფედერაციების ან ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების ეგიდით, დაუშვებელია ბურთზე ყოველგვარი რეკლამის განთავსება, გარდა შეჯიბრების, შეჯიბრების ორგანიზატორის ლოგოტიპის/ემბლემის და ავტორიზებული დამამზადებლის სავაჭრო ნიშნისა. ასეთი ნიშნების ზომები და რაოდენობა შესაძლოა შეიზღუდოს შეჯიბრების დებულებით.

2. დაზიანებული ბურთის შეცვლა

თუ ბურთი დაზიანდა:

- თამაში უნდა გაჩერდეს და
- განახლდეს სათადარიგო ბურთით და „სადავო ბურთით“ იმ ადგილიდან, სადაც თავდაპირველი ბურთი დაზიანდა

თუ ბურთი დაზიანდა საწყისი დარტყმისას, კარიდან დარტყმისას, კუთხური დარტყმისას, საჯარიმო დარტყმისას, 11 მ დარტყმისას ან ბურთის შემოგდებისას, თამაშის განახლება უნდა განმეორდეს.

თუ ბურთი დაზიანდა 11 მ დარტყმისას ან დარტყმების სერიის შესრულებისას 11 მ ნიშნულიდან, მისი წინ მოძრაობისას და ვიდრე ის შეეხო მოთამაშეს, ძელს ან ბოძებს, 11 მ დარტყმა უნდა განმეორდეს.

მატჩის მსვლელობისას ბურთის შეცვლა მსაჯის ნებართვის გარეშე არ შეიძლება.

3. დამატებითი ბურთები

დამატებითი ბურთები, რომლებიც პასუხობენ მე-2 წესის მოთხოვნებს, შეიძლება განთავსებული იქნენ სათამაშო მოედნის გარშემო, ხოლო მათ გამოყენებას აკონტროლებს მსაჯი.

IFAB®

IFAB®

ᒥᑕᓂᑦ

03

მოთამაშეები

1. მოთამაშეთა რაოდენობა

მატჩი ტარდება ორი გუნდის მონაწილეობით. თითოეულში მოთამაშეთა მაქსიმალური რაოდენობა არის თერთმეტი, მათ შორის ერთი მეკარეა. მატჩი არ შეიძლება დაიწყოს ან გაგრძელდეს, თუ რომელიმე გუნდში შვიდ მოთამაშეზე ნაკლებია.

თუ გუნდში შვიდ მოთამაშეზე ნაკლებია იმის გამო, რომ ერთმა ან უფრო მეტმა მოთამაშემ განზრახ დატოვა სათამაშო მოედანი, მსაჯი არ არის ვალდებული გააჩეროს მატჩი და შეუძლია გამოიყენოს უპირატესობა, მაგრამ მატჩი არ შეიძლება გაგრძელდეს ბურთის თამაშიდან გასვლის შემდეგ, თუ გუნდში არ არის მინიმუმ შვიდი მოთამაშე.

თუ შეჯიბრების დებულების მიხედვით ყველა მოთამაშე და სათადარიგო ჩაწერილი უნდა იყვნენ განაცხადში საწყისი დარტყმის შესრულებამდე და გუნდი იწყებს მატჩს თერთმეტზე ნაკლები მოთამაშით, მხოლოდ სასტარტო შემადგენლობაში ჩაწერილ მოთამაშეებს და სათადარიგოებს შეუძლიათ მატჩში მონაწილეობის მიღება მატჩის ჩატარების ადგილას ჩასვლისთანავე.

2. შეცვლების რაოდენობა

ოფიციალური შეჯიბრებები

FIFA-ს, კონფედერაციების ან ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების ეგიდით ორგანიზებული ოფიციალური შეჯიბრების ნებისმიერ მატჩში დასაშვებია არა უმეტეს სამი სათადარიგო მოთამაშის გამოყენება.

შეჯიბრების ჩატარების წესებში მითითებული უნდა იყოს განაცხადში შესაყვანი სათადარიგოების რაოდენობა - დაწყებული სამიდან და არა უმეტეს თორმეტისა.

სხვა მატჩები

ეროვნული "A" გუნდების მატჩებში შესაძლებელია მაქსიმუმ ექვსი სათადარიგოს გამოყენება.

ყველა სხვა მატჩში შესაძლებელია მეტი რაოდენობის სათადარიგოთა გამოყენება, იმ პირობით, რომ:

- გუნდები მიაღწევენ შეთანხმებას მაქსიმალურ რაოდენობაზე
- მსაჯი ინფორმირებულია მატჩამდე

თუ მსაჯი არ არის ინფორმირებული ან შეთანხმება არ არის მიღწეული მატჩის დაწყებამდე, დასაშვებია მაქსიმუმ ექვსი სათადარიგოს გამოყენება.

უკუშეცვლა

ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის თანხმობის შემთხვევაში და ფეხბურთის ყველაზე დაბალ საფეხურებზე (მასობრივი/რეკრეაციული) შესაძლებელია უკუშეცვლების გამოყენება.

3. შეცვლის პროცედურა

მატჩის დაწყებამდე მსაჯს უნდა წარედგინოს ყველა სათადარიგოს სახელი და გვარი. სათადარიგო, რომლის სახელი და გვარი არ წარედგინება მსაჯს ამ დროისთვის, ვერ მიიღებს მონაწილეობას მატჩში.

მოთამაშის შეცვლისას სათადარიგოთი აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა:

- მსაჯი ინფორმირებული უნდა იყოს მოსალოდნელი შეცვლის შესახებ
- შესაცვლელი მოთამაშე იღებს მსაჯის ნებართვას დატოვოს სათამაშო მოედანი, თუ უკვე არ იმყოფება მის ფარგლებს მიღმა
- მოთამაშე, რომელიც უნდა შეიცვალოს, არა არის ვალდებული დატოვოს სათამაშო მოედანი შუა ხაზთან და ის ვეღარ მიიღებს მონაწილეობას იმავე მატჩში, თუ უკუშეცვლები არ არის ნებადართული
- თუ მოთამაშე, რომელიც უნდა შეიცვალოს, უარს აცხადებს სათამაშო მოედნის დატოვებაზე, თამაში გრძელდება

სათადარიგო მოედანზე შედის მხოლოდ:

- თამაშის გაჩერებისას
- მოედნის შუა ხაზთან
- მას შემდეგ, რაც მოთამაშე გამოსულია მოედნიდან
- მსაჯისგან სიგნალის მიღების შემდეგ

შეცვლის პროცედურა დასრულებულია, როდესაც სათადარიგო შედის სათამაშო მოედანზე; ამ მომენტიდან სათადარიგო ხდება ძირითადის მოთამაშე, ხოლო ჩანაცვლებული ხდება შეცვლილი მოთამაშე.

სათადარიგოებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თამაშის განახლებაში, იმ პირობით, რომ პირველ რიგში შევლენ სათამაშო მოედანზე.

თუ შეცვლა განხორციელდა პირველი ტაიმის შემდეგ, შესვენების დროს ან დამატებითი დროის დაწყებამდე, პროცედურა უნდა დასრულდეს თამაშის განახლებამდე.

ყველა შეცვლილი და სათადარიგო მოთამაშე იმყოფება მსაჯის იურისდიქციის ქვეშ, იმის მიუხედავად, იღებს თუ არა მატჩში მონაწილეობას.

4. მეკარის შეცვლა

ნებისმიერ მოთამაშეს უფლება აქვს ადგილი გაუცვალოს მეკარეს იმ პირობით, რომ:

- მსაჯი ინფორმირებულია შეცვლამდე
- შეცვლა ხდება თამაშის გაჩერების დროს

5. დარღვევები და სანქციები

თუ განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშე იწყებს მატჩს განაცხადში შეყვანილი მოთამაშის ნაცვლად და მსაჯი არ არის ინფორმირებული ამ ცვლილების შესახებ:

- მსაჯი თამაშის გაგრძელების ნებას დართავს განაცხადში შეყვანილ სათადარიგო მოთამაშეს
- განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშის მიმართ არ გამოიყენება სადისციპლინო სანქცია
- განაცხადში შეყვანილი მოთამაშე შეიძლება გახდეს განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშე
- შეცვლების რაოდენობა არ მცირდება

  მსაჯი ატყობინებს ინციდენტის შესახებ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს

თუ მოთამაშე ადგილს უცვლის მეკარეს მსაჯის ნებართვის გარეშე, მსაჯი:

- აგრძელებს თამაშს
- აფრთხილებს ორივე მოთამაშეს, როდესაც ბურთი თამაშიდან გავა

ამ წესის ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის:

- მოთამაშეები იქნებიან გაფრთხილებული
- თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში

6. გაძევებული მოთამაშეები და სათადარიგოები

მოთამაშე, რომელიც გაძევებულია:

- გუნდის განაცხადის წარდგენამდე, არ შეიძლება მოხვდეს გუნდის განაცხადში ნებისმიერი სტატუსით
- გუნდის განაცხადში შეყვანის შემდეგ და საწყის დარტყმამდე, შეიძლება ჩანაცვლებული იყოს განაცხადში შეყვანილი სათადარიგოთი, რომელიც თავის მხრივ არ შეიძლება ჩანაცვლებული იყოს; შეცვლების რაოდენობა, რომელიც შეიძლება გუნდმა გააკეთოს, არ მცირდება
- საწყისი დარტყმის შემდეგ, არ შეიძლება ჩანაცვლდეს

განაცხადში შეყვანილი სათადარიგო, რომელიც გაძევებულია საწყის დარტყმამდე ან მის შემდეგ, არ შეიძლება ჩანაცვლდეს.

7. ზედმეტი პირები სათამაშო მოედანზე

მწვრთნელი და სხვა ოფიციალური პირები, რომლებიც შეყვანილი არიან გუნდის განაცხადში (მოთამაშეების და სათადარიგოების გამოკლებით) წარმოადგენენ გუნდის ოფიციალურ პირებს. ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის შეყვანილი გუნდის განაცხადში, როგორც მოთამაშე, სათადარიგო ან გუნდის ოფიციალური პირი, წარმოადგენს უცხო პირს.

თუ გუნდის ოფიციალური პირი, სათადარიგო, შეცვლილი ან გაძევებული მოთამაშე, ან უცხო პირი შედის სათამაშო მოედანზე, მსაჯმა უნდა:

- გააჩეროს თამაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს თამაშში ჩარევას
- უზრუნველყოს პიროვნების მოედნიდან გაყვანა თამაშის გაჩერებისას
- მიიღოს შესაბამისი სადისციპლინო სანქცია

თუ თამაში გაჩერებული იქნა და მასში ჩაერია:

- გუნდის ოფიციალური პირი, სათადარიგო ან გაძევებული მოთამაშე, თამაში განახლდება საჯარიმო დარტყმით ან 11 მ დარტყმით
- უცხო პირი, თამაში განახლდება „სადავო ბურთით“

თუ ნათელია, რომ ბურთი უნდა გავიდეს კარში და თამაშში ჩარევა ხელს არ უშლის დამცველ მოთამაშეს ითამაშოს ბურთზე, და თუ ბურთი გადის კარში, გოლი ითვლება (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი ჰქონდა ბურთზე კონტაქტს), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბურთი გადის მეტოქის კარში.

8. მოთამაშე სათამაშო მოედნის გარეთ

თუ მსაჯის ნებართვით სათამაშო მოედნის დატოვების შემდეგ მოთამაშე ბრუნდება მოედანზე მსაჯის ნებართვის გარეშე, მსაჯმა უნდა:

- გააჩეროს თამაში (თუმცა არა დაუყოვნებლივ, თუ მოთამაშე არ ერევა თამაშში ან, თუ შესაძლებელია უპირატესობის გამოყენება)
- გააფრთხილოს მოთამაშე სათამაშო მოედანზე ნებართვის გარეშე შესვლისთვის
- მოსთხოვოს მოთამაშეს სათამაშო მოედნის დატოვება

თუ მსაჯი აჩერებს თამაშს, ის უნდა განახლდეს:

- თავისუფალი დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში
- 12 -ე წესის შესაბამისად, თუ მოთამაშე არღვევს ამ წესს

მოთამაშე, რომელიც გადაკვეთს სათამაშო მოედნის ფარგლებს და ეს არის სათამაშო მოქმედების ნაწილი, ის არ არღვევს წესებს.

9. გატანილი გოლი, როდესაც სათამაშო მოედანზე იმყოფება ზედმეტი პირი

თუ გოლის გატანის შემდეგ და თამაშის განახლებამდე მსაჯი შეამჩნევს, რომ გოლის გატანის მომენტში სათამაშო მოედანზე იმყოფებოდა ზედმეტი პირი:

- მსაჯმა არ უნდა ჩათვალოს გოლი, თუ ზედმეტი პირი იყო:
  - იმ გუნდის მოთამაშე, სათადარიგო, შეცვლილი მოთამაშე, გაძევებული მოთამაშე ან ოფიციალური პირი, რომელმაც გაიტანა გოლი

·უცხო პირი, რომელიც ჩაერია თამაშში, გარდა იმ გოლისა, რომელიც გატანილი

  - იქნა იმ გარემოებების შედეგად, რომლებიც აღწერილია ზემოთ, სექციაში „ზედმეტი პირები სათამაშო მოედანზე“

თამაში განახლდება კარიდან დარტყმით, კუთხური დარტყმით ან „სადავო ბურთით“.

- მსაჯმა უნდა ჩათვალოს გოლი, თუ ზედმეტი პირი იყო:
  - იმ გუნდის მოთამაშე, სათადარიგო, შეცვლილი მოთამაშე, გაძევებული მოთამაშე ან ოფიციალური პირი, რომლის კარშიც გავიდა გოლი
  - უცხო პირი, რომელიც არ ჩაერია თამაშში

ყველა შემთხვევაში, მსაჯმა უნდა უზრუნველყოს უცხო პირის გაყვანა სათამაშო მოედნიდან.

თუ გატანილი გოლის შემდეგ თამაში განახლდა და მსაჯი მიხვდება, რომ გოლის გატანის მომენტში სათამაშო მოედანზე იმყოფებოდა ზედმეტი პირი, გატანილი გოლი არ შეიძლება იყოს გაუქმებული. თუ ზედმეტი პირი ჯერ კიდევ იმყოფება სათამაშო მოედანზე, მსაჯმა უნდა:

- გააჩეროს თამაში
- უზრუნველყოს ზედმეტი პირის გაყვანა
- გარემოებების შესაბამისად განაახლოს თამაში „სადავო ბურთით“ ან საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმით

მსაჯმა უნდა მოახსენოს ინციდენტის შესახებ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

10. გუნდის კაპიტანი

გუნდის კაპიტანს არ გააჩნია რაიმე სპეციალური სტატუსი და პრივილეგიები, მაგრამ გააჩნია გარკვეული ხარისხის პასუხისმგებლობა გუნდის ქცევაზე.

IFAB®

IFAB®

ᏩᏔᏓᏂ

04

მოთამაშეების ეკიპირება

1. უსაფრთხოება

მოთამაშემ არ უნდა გამოიყენოს ისეთი ეკიპირება ან ჩაიცვას ისეთი რამ, რაც იქნება სახიფათო.

ყველანაირი სამკაულის ტარება აკრძალულია (ყელსაბამი, ბეჭედი, საყურე, სამაჯური, ტყავის სახვევი, რეზინის სახვევი და ა.შ.) და უნდა იყოს მოხსნილი. აკრძალულია სახვევის გამოყენება სამკაულის დასაფარად.

მოთამაშეების შემოწმება უნდა მოხდეს მატჩის დაწყებამდე, ხოლო სათადარიგოების - სათამაშო მოედანზე შესვლამდე. თუ მოთამაშე ატარებს ან იყენებს ნაბადაურთველ ეკიპირებას ან სამკაულს, მსაჯმა უნდა მოსთხოვოს მოთამაშეს:

- მოიხსნას ნივთი
- დატოვოს სათამაშო მოედანი თამაშის მომდევნო გაჩერებისას, თუ მას არ შეუძლია ან არ სურს მოთხოვნის შესრულება

მოთამაშე, რომელიც უარს ამბობს მოთხოვნის შესრულებაზე ან კვლავ ატარებს საგანს, უნდა იყოს გაფრთხილებული.

2. სავალდებულო ეკიპირება

მოთამაშის სავალდებულო ეკიპირება განისაზღვრება შემდეგი ნივთებით:

- მაისური სახელოებით
- შორტი
- გამაშები – სახვევი ან რაიმე მასალა, რომელიც გამოყენებულია ან ჩაცმულია გამაშის ზემოდან,უნდა იყოს გამაშის იმ ნაწილის ფერი, რომელზეც არის გამოყენებული ან რომელსაც ფარავს
- წვივსაფარები - დამზადებული უნდა იყოს შესაფერისი მასალისგან, რათა უზრუნველყოს საფუძვლიანი დაცვა და დაფარული უნდა იყოს გამაშებით
- ფეხსაცმელი

მეკარეებს შეუძლიათ ჩაიცვან სპორტული შარვალი.

თუ მოთამაშე შემთხვევით კარგავს ფეხსაცმელს ან წვივსაფარს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩაიცვას ის, და არაუგვიანეს იმ მომენტისა, როდესაც ბურთი გავა თამაშიდან; თუ ფეხსაცმელის ან წვივსაფარის გამოცვლამდე მოთამაშე თამაშობს ბურთზე და/ან გააქვს გოლი, გოლი ითვლება.

3. ფერები

- ორივე გუნდმა უნდა ჩაიცვას ისეთი ფერის ფორმები, რაც განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან და მსაჯებისაგან
- ორივე მეკარემ უნდა ჩაიცვას ისეთი ფერის ფორმები, რაც განასხვავებს მათ სხვა მოთამაშეებისაგან და მსაჯებისაგან
- თუ ორი მეკარის ფორმა ერთნაირი ფერისაა და მათ არ გააჩნიათ სხვა მაისური, მსაჯმა უნდა დაიწყოს მატჩი

შიგა მაისური უნდა იყოს მაისურის სახელოს ძირითადი ფერის; შიგა შორტი/ტრიკო უნდა იყოს შორტის ძირითადი ფერის ან შორტის ყველაზე ქვედა ნაწილის ფერის - ერთი და იმავე გუნდის მოთამაშეებმა უნდა ჩაიცვან ერთნაირი ფერის ფორმები.

4. სხვა ჩაცმულობა

ნებადართულია დამცავი ეკიპირება, როგორიც არის თავსაბური, ნიღაბი, მუხლის ან მკლავის დამცავი, რომელიც მეკარის კეპის და სპორტული სათვალის მსგავსად უსაფრთხოა და დამზადებულია რბილი, მსუბუქი მასალისაგან.

როდესაც გამოყენებულია თავსაბური, ის:

- უნდა იყოს შავი ან მაისურის ძირითადი ფერის (იმ პირობით, რომ იმავე გუნდის მოთამაშეები იცვამენ ისეთივე ფერის მაისურს)
- უნდა შეეხამებოდეს მოთამაშის ეკიპირების პროფესიონალურ შესახედაობას
- არ უნდა იყოს მიმაგრებული მაისურზე
- არ უნდა წარმოადგენდეს საფრთხეს ამ საგნის მატარებელი მოთამაშისთვის ან (მაგალითად, გამხსნელი/ჩამკეტი მექანიზმი კისრის გარშემო) სხვა მოთამაშეებისთვის
- არ უნდა ჰქონდეს ზედაპირიდან გამოშვერილი რაიმე ნაწილი (წამოშვერილი ელემენტები)

ნებისმიერი სახის ელექტრონული კომუნიკაცია მოთამაშეებს (მათ შორის, სათადარიგოებს/შეცვლილებს და გაძევებულ მოთამაშეებს) და/ან ტექნიკურ პერსონალს შორის არ არის ნებადართული.

იქ, სადაც გამოყენებულია ეფექტურობის კონტროლის და მოძრაობის თვალყურის დევნების ელექტრონული სისტემები (EPTS) (იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული საფეხბურთო ასოციაცია/შეჯიბრების ორგანიზატორი თანახმაა):

- ისინი არ უნდა იყოს სახიფათო
- აკრძალულია მატჩის მიმდინარეობისას მოწყობილობების/სისტემების მიერ გადაცემული ინფორმაციის და მონაცემების მიღება ან გამოყენება ტექნიკურ ზონაში

ეკიპირებას არ უნდა ჰქონდეს დატანებული რაიმე პოლიტიკური, რელიგიური ან პირადი მოწოდებები, განცხადებები ან გამოსახულებები. მოთამაშეებმა არ უნდა გამოაჩინონ საცვლები, რომელზეც აღბეჭდილია პოლიტიკური, რელიგიური, პირადი მოწოდებები, განცხადებები ან გამოსახულებები, ან რეკლამა, მწარმოებლის ლოგოტიპის გარდა. ნებისმიერი დარღვევისთვის მოთამაშე და/ან გუნდი დაისჯება შეჯიბრების ორგანიზატორის, ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის ან FIFA-ს მიერ.

5. დარღვევები და სანქციები

ამ წესის ნებისმიერი დარღვევისთვის არ არის აუცილებელი თამაშის გაჩერება. მოთამაშე:

- მიიღებს მითითებას დატოვოს სათამაშო მოედანი ეკიპირების წესრიგში მოსაყვანად
- დატოვებს მოედანს, როდესაც თამაში გაჩერდება, თუ ეკიპირება უკვე არ არის მოყვანილი წესრიგში

ეკიპირების წესრიგში მოსაყვანად ან გამოსაცვლელად სათამაშო მოედნიდან გასული მოთამაშის ეკიპირება უნდა:

- შემოწმდეს მატჩის ოფიციალური პირის მიერ, მოედანზე დაბრუნების ნებართვის მიღებამდე
- დაბრუნდეს მხოლოდ მსაჯის ნაბართვით (რაც შესაძლოა მიცემული იყოს თამაშის მსვლელობისას)

ნებართვის გარეშე მოედანზე დაბრუნებული მოთამაშე უნდა იყოს გაფრთხილებული და თუ თამაში გაჩერებულია გაფრთხილების მისაცემად, ინიშნება თავისუფალი დარტყმა იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში.

IFAB®

ᲗᲐᲠᲗᲚᲘ

05

მსაჯი

1. მსაჯის უფლებამოსილება

ყოველ მატჩს აკონტროლებს მსაჯი, რომელსაც მატჩთან მიმართებით გააჩნია სრული უფლებამოსილება უზრუნველყოს თამაშის წესების დაცვა.

2. მსაჯის გადაწყვეტილებები

გადაწყვეტილებები მიღებული იქნება, თამაშის წესების და "თამაშის სულისკვეთების" შესაბამისად და დამყარებული იქნება მსაჯის შეხედულებაზე, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება განახორციელოს შესაბამისი ქმედებები თამაშის წესების ფარგლებში.

თამაშთან დაკავშირებულ ყველა ფაქტზე - მათ შორის ჩათვლილ ან არ ჩათვლილ გოლზე და თამაშის შედეგზე - მსაჯის გადაწყვეტლება საბოლოოა.

მსაჯს არ შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება, როდესაც მიხვდება, რომ ის მცდარია ან სხვა რომელიმე მატჩის ოფიციალური პირის რჩევის საფუძველზე, თუ თამაში უკვე განახლებულია ან მსაჯმა მისცა თამაშის პირველი ან მეორე ტაიმის დამთავრების ნიშანი (დამატებითი დროის ჩათვლით) და დატოვა სათამაშო მოედანი ან შეწყვიტა მატჩი.

თუ მსაჯი უნარწართმეულია და არ შუძლია თამაშის გაგრძელება, თამაში შეიძლება გაგრძელდეს მატჩის სხვა ოფიციალური პირების ზედამხედველობის ქვეშ, ვიდრე ბურთი არ გავა თამაშიდან.

3. უფლებები და მოვალეობები

მსაჯი:

- უზრუნველყოფს თამაშის წესების დაცვას
- აკონტროლებს მატჩს, მატჩის სხვა ოფიციალურ პირებთან ურთიერთქმედებით
- მოქმედებს როგორც ქრონომეტრისტი, აწარმოებს მატჩში მომხდარი ფაქტების ჩანაწერს და წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს მატჩის პატაკს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სადისციპლინო ზომების და მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ მომხდარი ნებისმიერი სხვა ინციდენტის შესახებ
- ზედამხედველობას უწევს და/ან ანიშნებს თამაშის განახლებას

უპირატესობა

- აგრძელებს თამაშს, როდესაც ხდება დარღვევა ან დანაშაული და გუნდი, რომლის წინააღმდეგ დაარღვიეს წესი, ისარგებლებს უპირატესობით, და დასჯის თავდაპირველ დარღვევას ან დანაშაულს, თუ მოსალოდნელი უპირატესობის რეალიზაცია არ ხდება ამ მომენტში ან რამოდენიმე წამის ფარგლებში

სადისციპლინო სანქცია

- როდესაც ერთდროულად ხდება ერთზე მეტი დარღვევა, დასჯის უფრო სერიოზულ დარღვევას - სადისციპლინო სანქციის, თამაშის განახლების, ფიზიკური სიმძიმის და ტაქტიკური ზეგავლენის გათვალისწინებით
- გაატარებს სადისციპლინო ზომებს იმ მოთამაშეების მიმართ, რომლებიც დამნაშავე არიან ისეთი დარღვევებისთვის, რომლებიც იმსახურებენ გაფრთხილებას ან გაძევებას
- გააჩნია უფლებამოსილება მიიღოს სადისციპლინო ზომა დაწყებული მატჩის წინ შემოწმებისთვის სათამაშო მოედანზე შესვლიდან, მატჩის დასრულების შემდეგ სათამაშო მოედნიდან გამოსვლამდე (მათ შორის 11 მ დარტყმების შემდეგ). თუ მატჩის დასაწყისში სათამაშო მოედანზე შესვლამდე მოთამაშე ჩაიდენს ისეთ დარღვევას, რომელიც იმსახურებს გაძევებას, მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება არ დაუშვას მოთამაშე მატჩში მონაწილეობის მისაღებად (იხ. წესი 3.6); მსაჯი მოახსენებს შესაბამის ორგანოებს ნებისმიერი სხვა არასათანადო საქციელის შესახებ
- გააჩნია ძალაუფლება უჩვენოს ყვითელი ან წითელი ბარათები სათამაშო მოედანზე შესვლის მომენტიდან მატჩის დასაწყისში, მატჩის დასრულების შემდეგ სათამაშო მოედანზე ყოფნამდე, მათ შორის შესვენების, დამატებითი დროის და დარტყმების დროს 11 მ ნიშნულიდან
- მიიღებს ზომებს გუნდების ოფიციალური პირების მიმართ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ იქცევიან და შეუძლია გააძევოს ისინი სათამაშო მოედნიდან და მისი შემოგარენიდან
- მოქმედებს მატჩის სხვა ოფიციალური პირების რჩევის საფუძველზე იმ ინციდენტებთან მიმართებაში, რომლებიც მან თავად ვერ დაინახა

ტრავმირებული მოთამაშეები

- აგრძელებს თამაშს ბურთის თამაშიდან გასვლამდე, თუ მისი აზრით მოთამაშე მხოლოდ უმნიშვნელოდ დაშავდა
- აჩერებს თამაშს, თუ მოთამაშე სერიოზულად დაშავდა და უზრუნველყოფს მის გაყვანას სათამაშო მოედნიდან. არ შეიძლება დაშავებული მოთამაშის მკურნალობა სათამაშო მოედანზე. დაშავებული მოთამაშე სათამაშო მოედანზე შეიძლება დაბრუნდეს მხოლოდ თამაშის განახლების შემდეგ; თუ ბურთი თამაშშია, სათამაშო მოედანზე დაბრუნება უნდა მოხდეს გვერდითი ხაზიდან, მაგრამ თუ ბურთი გასულია თამაშიდან, ის შეიძლება მოხდეს სათამაშო მოედნის ნებისმიერი შემომსაზღვრელი ხაზიდან. სათამაშო მოედნის დატოვების შესახებ მოთხოვნიდან გამონაკლისი არის, როდესაც:

- დაშავებულია მეკარე
- მეკარე და მოედნის მოთამაშე შეეჯახნენ ერთმანეთს და საჭიროებენ ყურადღებას
- ერთი და იმავე გუნდის მოთამაშეები შეეჯახნენ ერთმანეთს და საჭიროებენ ყურადღებას
- ადგილი ჰქონდა მძიმე ტრავმას
- მოთამაშე დაშავდა ფიზიკური დარღვევის გამო, რომლისთვისაც მეტოქე გაფრთხილებული ან გაძევებული იყო (მაგალითად, გაუაზრებელი ან წესების სერიოზული დარღვევა), თუ მოთამაშის შემოწმება/მკურნალობა სწრაფად დასრულდა
- უზრუნველყოფს, რომ სისხლდენის შემთხვევაში, ნებისმიერი მოთამაშე დატოვებს სათამაშო მოედანს. მოთამაშე შეიძლება დაბრუნდეს სათამაშო მოედანზე მხოლოდ მსაჯისგან სიგნალის მიღების შემდეგ, რომელიც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სისხლდენა შეჩერებულია და ეკიპირებაზე არ არის სისხლი
- თუ მსაჯმა სათამაშო მოედანზე შესვლის ნება დართო ექიმებს და/ან საკაცის მზიდავებს, მოთამაშემ უნდა დატოვოს მოედანი საკაცით ან საკუთარი ფეხით. მოთამაშე, რომელიც არ დაემორჩილება ამ მოთხოვნებს, გაფრთხილებული უნდა იყოს არასპორტული საქციელისთვის
- თუ მსაჯმა გადაწყვიტა ტრავმირებული მოთამაშის გაფრთხილება ან გაძევება, რომელმაც უნდა დატოვოს სათამაშო მოედანი მკურნალობის მისაღებად, ბარათი ნაჩვენები უნდა იქნეს მოთამაშის მოედნიდან გასვლამდე
- თუ თამაში გაჩერებული იქნა სხვა რომელიმე მიზეზის გამო, ან, თუ მოთამაშის ტრავმა არ წარმოადგენს თამაშის წესების დარღვევის შედეგს, თამაში განახლდება 'სადავო ბურთით“

გარეშე ჩარევა

- მსაჯი გააჩერებს, დროებით შეაჩერებს ან შეწყვეტს მატჩს წესების ნებისმიერი დარღვევისთვის ან გარეშე ჩარევის გამო, მაგ. თუ:
- განათება არაადექვატურია
- მაყურებლის მიერ ნასროლი საგანი მოხვდება მატჩის ოფიციალურ პირს, მოთამაშეს ან გუნდის ოფიციალურ პირს, მსაჯს შეუძლია მატჩის გაგრძელება, ან გაჩერება, დროებით შეჩერება ან შეწყვეტა, ინციდენტის სიმძიმიდან გამომდინარე
- მაყურებელმა ჩაბერა სასტვენს, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა თამაშზე - თამაში გაჩერდება და განახლდება ,,სადავო ბურთით“
- ზედმეტი ბურთი, სხვა საგანი ან ცხოველი შეაღწევს სათამაშო მოედანზე თამაშის მიმდინარეობისას, მსაჯმა უნდა:

- გააჩეროს თამაში (და განაახლოს „სადავო ბურთით“), თუ ეს ხელს უშლის თამაშს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ნათელია, რომ ბურთი უნდა გავიდეს კარში და თამაშში ჩარევა ხელს არ უშლის დამცველ მოთამაშეს ითამაშოს ბურთზე, და თუ ბურთი გადის კარში, გოლი ითვლება (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი ჰქონდა ბურთზე კონტაქტს), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბურთი გადის მეტოქის კარში
- აგრძელებს მატჩს, თუ ის არ უშლის ხელს თამაშს და უზრუნველყოფს მის გატანას სათამაშო მოედნიდან პირველივე შესაძლებლობისას

- არ დაუშვებს სათამაშო მოედანზე იმ პირებს, ვისაც ამის უფლება არა აქვთ

4. მსაჯის ეკიპირება

სავალდებულო ეკიპირება:

- სასტვენი (სასტვენები)
- საათი (საათები)
- წითელი და ყვითელი ბარათები
- წიგნაკი (ან სხვა საშუალება მატჩის ფაქტების ჩასაწერად)

სხვა ეკიპირება

მსაჯს უფლება აქვს გამოიყენოს:

- სასიგნალო ალმები, ყურსასმენები და სხვა ეკიპირება მატჩის სხვა ოფიციალურ პირებთან კომუნიკაციისათვის
- EPTS ან სხვა მოწყობილობა ფიზიკური მდგომარეობის დაკვირვებისათვის

მსაჯებს და მატჩის სხვა ოფიციალურ პირებს ეკრძალებათ სამკაულების ან სხვა რომელიმე ელექტრონული მოწყობილობის ტარება.

5. მსაჯის სიგნალები

იხილეთ დამტკიცებული მსაჯის სიგნალების გრაფიკული გამოსახულებები

უპირატესობისთვის საჩვენებლად არსებული „ორი ხელით“ სიგნალთან ერთად ამიერიდან დამატებით ნებადართულია მსგავსი სიგნალი „ერთი ხელით“, ვინაიდან ყოველთვის არ არის იოლი მსაჯისთვის სირბილი, როდესაც ორივე ხელი გაშლილი აქვს.

თავისუფალი დარტყმა

საჯარიმო დარტყმა

უპირატესობა (1)



უპირატესობა (2)

11 მ დარტყმა

ყვითელი და წითელი ბარათი

კუთხური დარტყმა

კარიდან დარტყმა

6. მატჩის ოფიციალური პირების პასუხისმგებლობა

მსაჯი ან მატჩის სხვა ოფიციალური პირი არ აგებს პასუხს:

- ნებისმიერი სახის დაზიანებისთვის, რომელსაც მიიღებს მოთამაშე, ოფიციალური პირი ან მაყურებელი
- ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც მიადგება ნებისმიერ ქონებას
- ნებისმიერი სხვა დანაკარგისთვის, რომელსაც განიცდის რომელიმე პირი, კლუბი, კომპანია, ასოციაცია ან სხვა ორგანო, რაც განპირობებულია ან შეიძლება განპირობებული იყოს ნებისმიერი გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, რომელიც მსაჯმა შეიძლება მიიღოს თამაშის წესების მიხედვით ან იმ ჩვეულებრივი პროცედურების გამო, რომლებიც აუცილებელია მატჩის ორგანიზების, ჩატარებისა და კონტროლისათვის

ამ გადაწყვეტილებებში შეიძლება იგულისხმებოდეს:

- გადაწყვეტილება იმის შესახებ, დასაშვებია თუ არა მატჩის ჩატარება სათამაშო მოედნის ან მისი მიმდებარე ზონების მდგომარეობის ან ბუნებრივი პირობების გამო
- რაიმე მიზეზით მატჩის შეწყვეტის გადაწყვეტილება
- გადაწყვეტილება სათამაშო მოედნის, ეკიპირების ვარგისიანობის და სათამაშო ბურთის ვარგისიანობის შესახებ
- გადაწყვეტილება, გააჩეროს თუ არა თამაში მაყურებლების ჩარევის ან სხვა პრობლემების გამო, რომლებიც წარმოიშვა მაყურებლებისთვის განკუთვნილ ზონაში
- გადაწყვეტილება, გააჩეროს თუ არა თამაში, რათა დაშავებულმა მოთამაშემ დატოვოს სათამაშო მოედანი დახმარების მისაღებად
- მოთხოვნა, რათა დაშავებულმა მოთამაშემ დატოვოს სათამაშო მოედანი დახმარების მისაღებად
- გადაწყვეტილება, დართოს თუ არა მოთამაშეს გარკვეული ტანსაცმლის ან ეკიპირების ტარების უფლება
- გადაწყვეტილება, სადაც მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება, ნება დართოს თუ არა ნებისმიერ პირს (მათ შორის გუნდების ან სტადიონის ოფიციალურ პირებს, უსაფრთხოების ოფიცრებს, ფოტოგრაფებს ან მედიის სხვა წარმომადგენლებს) იმყოფებოდეს სათამაშო მოედნის სიახლოვეს
- ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, რომელიც მან შეიძლება მიიღოს თამაშის წესების ან მისი მოვალეობების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობს FIFA-ს, კონფედერაციის, ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის ან შეჯიბრების წესებიდან და რეგლამენტიდან, რომლითაც ტარდება მატჩი

IFAB®

ᲒᲝᲚᲘ

06

მატჩის სხვა ოფიციალური პირები

მატჩებზე შესაძლოა დანიშნული იყოს მატჩის სხვა ოფიციალური პირები (მსაჯის ორი ასისტენტი, სარეზერვო მსაჯი, მსაჯის ორი დამატებითი ასისტენტი და მსაჯის სარეზერვო ასისტენტი). ისინი დაეხმარებიან მსაჯს მატჩის კონტროლში თამაშის წესების შესაბამისად, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ყოველთვის მსაჯი მიიღებს.

მატჩის ოფიციალური პირები მოქმედებენ მსაჯის ხელმძღვანელობით. გაუმართლებელი ჩარევის ან არასათანადო ქცევის შემთხვევაში, მსაჯი გაანთავისუფლებს მათი მოვალეობების შესრულებისაგან და წარადგენს პატაკს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოში.

მსაჯის სარეზერვო ასისტენტის გამოკლებით, ისინი ეხმარებიან მსაჯს დარღვევების დროს, როდესაც ისინი უკეთ ხედავენ მათ და უნდა წარუდგინონ პატაკი შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს ნებისმიერი სერიოზული უდისციპლინო საქციელის ან ინციდენტის შესახებ, რომელიც მოხდება მსაჯის და მატჩის სხვა ოფიციალური პირების მხედველობის არის მიღმა. მათ რჩევა უნდა მისცენ მსაჯს და მატჩის სხვა ოფიციალურ პირებს ნებისმიერი პატაკის მომზადებისას.

მატჩის ოფიციალური პირები ეხმარებიან მსაჯს სათამაშო მოედნის, ბურთებისა და მოთამაშეთა ეკიპირების შემოწმებისას (მათ შორის, თუ პრობლემები მოგვარებული იქნა) და აწარმოებენ დროის, გოლების, უდისციპლინო საქციელის და სხვა ფაქტების ჩანაწერებს.

შეჯიბრების წესებმა გასაგებად უნდა დაადგინოს თუ ვინ შეცვლის მატჩის ოფიციალურ პირს, როდესაც მას არ შეუძლია დაიწყოს ან გააგრძელოს მატჩი და ასევე ნებისმიერი ამასთან დაკავშირებული ყველა ცვლილება. განსაკუთრებით ნათელი უნდა იყოს, თუ ვინ შეცვლის მსაჯს, როდესაც მას არ შეუძლია გააგრძელოს მატჩი - სარეზერვო მსაჯი, მსაჯის პირველი ასისტენტი თუ მსაჯის პირველი დამატებითი ასისტენტი.

1. მსაჯის ასისტენტები

ისინი ანიშნებენ, როდესაც:

- ბურთი მთლიანად დატოვებს სათამაშო მოედანს და რომელ გუნდს აქვს კუთხური დარტყმის, კარიდან დარტყმის ან ბურთის შემოგდების უფლება
- თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე შეიძლება დაისაჯოს
- მოთხოვნილია მოთამაშეთა შეცვლა
- დარტყმების შესრულებისას 11 მ ნიშნულიდან მეკარე ტოვებს კარის ხაზს ბურთის დარტყმამდე და თუ ბურთი გადაკვეთს ხაზს; თუ დანიშნულია მსაჯის დამატებითი ასისტენტი, მსაჯის ასისტენტი დაიკავებს პოზიციას 11 მ ნიშნულის გასწვრივ

მსაჯის ასისტენტის დახმარება ასევე გულისხმობს მოთამაშეთა შეცვლის პროცედურის დაკვირვებას.

მსაჯის ასისტენტს შეუძლია სათამაშო მოედანზე შესვლა 9.15 მ (10 იარდი) დისტანციის კონტროლში დახმარებისთვის.

2. სარეზერვო მსაჯი

სარეზერვო მსაჯის დახმარება ასევე გულისხმობს:

- შეცვლის პროცედურის ზედამხედველობას
- მოთამაშის/სათადარიგო მოთამაშის ეკიპირების შემოწმებას
- მოთამაშის დაბრუნებას სათამაშო მოედანზე მსაჯის სიგნალის/ნებართვის შემდეგ
- ბურთების შეცვლის პროცედურის ზედამხედველობას
- მატჩის ყოველი ტაიმის (მათ შორის დამატებითი დროის) ბოლოს დამატებული დროის მინიმალური რაოდენობის ჩვენებას, რომელიც მსაჯს განზრახული აქვს ათამაშოს
- მსაჯის ინფორმირებას ტექნიკურ ზონაში მყოფთა ნებისმიერი უდისციპლინო საქციელის შესახებ

3. მსაჯის დამატებითი ასისტენტები

მსაჯის დამატებითმა ასისტენტებმა შეიძლება ანიშნონ:

- როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს, მათ შორის როდესაც გატანილია გოლი
- რომელ გუნდს აქვს კუთხური დარტყმის ან კარიდან დარტყმის უფლება
- როდესაც მეკარე ტოვებს კარის ხაზს ბურთის დარტყმამდე 11 მ დარტყმებისას და თუ ბურთი გადაკვეთს კარის ხაზს

1. მსაჯის სარეზერვო ასისტენტი

მსაჯის სარეზერვო ასისტენტის ერთადერთი მოვალეობაა შეცვალოს მსაჯის ასისტენტი ან სარეზერვო მსაჯი, როდესაც მათ არ შეუძლიათ მატჩის გაგრძელება.

5. მსაჯის ასისტენტის სიგნალები

თავისუფალი ან საჯარიმო დარტყმა თავდამსხმელისთვის

შეცვლა

თავისუფალი ან საჯარიმო დარტყმა დამცველისთვის



ბურთის შემოგდება
თავდამსხმელისთვის



ბურთის შემოგდება
დამცველისთვის

კუთხური დარტყმა



კარიდან დარტყმა

თამაშგარე

თამაშგარე მოედნის
მახლობელ ნაწილში



თამაშგარე მოედნის
შუა ნაწილში

თამაშგარე მოედნის
შორეულ ნაწილში

6. მსაჯის დამატებითი ასისტენტის სიგნალები

გოლი

(იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

ბურთმა ძალიან აშკარად გადაკვეთა კარის ხაზი)

IFAB®

IFAB®

LAW 07

მატჩის ხანგრძლივობა

1. სათამაშო დროის პერიოდები

მატჩი გრძელდება ორი 45 წუთიანი თანაბარი ტაიმის განმავლობაში, რომელიც შესაძლოა შემცირდეს, თუ მსაჯი და ორივე გუნდი შეთანხმდნენ მატჩის დაწყებამდე და თუ ეს შეჯიბრების დებულებასთან არის შესაბამისობაში.

2. შესვენება ტაიმებს შორის

მოთამაშეებს უფლება აქვთ შეისვენონ ტაიმებს შორის. შესვენება არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს. შეჯიბრების დებულებაში მითითებული უნდა იყოს შესვენების ხანგრძლივობა და ის შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მსაჯის ნებართვით.

3. დამატებული დრო

მსაჯი ორივე ტაიმს უმატებს დროს, რაც დაიკარგა:

- შეცვლებზე
- მოთამაშეთა ტრავმების შეფასებასა და მათ გაყვანაზე სათამაშო მოედნიდან
- სათამაშო დროის განზრახ გაყვანაზე
- სადისციპლინო სანქციებზე
- პაუზებისთვის სითხეების დასალევად ან სხვა სამედიცინო მიზეზების გამო, რაც დაშვებულია შეჯიბრების წესებით
- ნებისმიერი სხვა მიზეზით, მათ შორის თამაშის განახლების მნიშვნელოვანი დაყოვნების გამო (მაგ.: გატანილი გოლის ზეიმი)

ყოველი ტაიმის საფინალო წუთის ბოლოს სარეზერვო მსაჯი აჩვენებს მსაჯის მიერ დამატებულ მინიმალურ დროს. მსაჯს შეუძლია დამატებული დროის გაზრდა, მაგრამ არა შემცირება.

მსაჯმა არ უნდა მოახდინოს პირველი ტაიმის სათამაშო დროის განსაზღვრისას დაშვებული შეცდომის კომპენსაცია მეორე ტაიმისთვის სათამაშო დროის დამატებით ან გამოკლებით.

4. 11 მ დარტყმა

თუ საჭიროა 11 მ დარტყმის შესრულება ან გამეორება, თამაშის შესაბამის ტაიმს ემატება დარტყმის შესასრულებლად საჭირო დრო.

5. შეწყვეტილი მატჩი

შეწყვეტილი მატჩი უნდა გადათამაშდეს, თუ შეჯიბრების წესები ან ორგანიზატორები არ გადაწყვეტენ სხვაგვარად.

IFAB®

IFAB®

LAW 08

თამაშის დაწყება და განახლება

საწყისი დარტყმა სრულდება მატჩის ორივე ტაიმის და დამატებითი დროის ორივე ნახევრის დასაწყისში და გატანილი გოლის შემდეგ თამაშის განახლებისას. საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები, 11 მ დარტყმა, ბურთის შემოგდება გვერდითი ხაზიდან, კარიდან დარტყმა და კუთხური დარტყმა არის თამაშის განახლების სხვა სახეები (იხ. წესები 13-დან 17 -მდე). „სადავო ბურთი“ არის თამაშის განახლების მეთოდი, როდესაც მსაჯი აჩერებს თამაშს და თამაშის წესები არ მოითხოვს მატჩის განახლებას ზემოთ მოყვანილი რომელიმე მეთოდით.

თუ დარღვევა მოხდა იმ დროს, როდესაც ბურთი არ იმყოფებოდა თამაშში, თამაშის განახლების მეთოდი არ შეიცვლება.

1. საწყისი დარტყმა

პროცედურა

- გუნდი, რომელიც მოიგებს კენჭისყრას, ირჩევს კარს, რომელსაც ის შეუტევს მატჩის პირველ ტაიმში
- მეტოქე გუნდი ასრულებს საწყის დარტყმას
- გუნდი, რომელიც მოიგებს კენჭისყრას, შეასრულებს საწყის დარტყმას მატჩის მეორე ტაიმის დასაწყებად
- მეორე ტაიმისთვის გუნდები ცვლიან სათამაშო მოედნის ნახევრებს და უტევენ საწინააღმდეგო კარს
- გუნდის მიერ გოლის გატანის შემდეგ, საწყის დარტყმას ასრულებს მეტოქე გუნდი

ყოველი საწყისი დარტყმისთვის:

- ყველა მოთამაშე უნდა იმყოფებოდეს სათამაშო მოედნის საკუთარ ნახევარზე
- საწყისი დარტყმის შემსრულებელი გუნდის მეტოქეები ბურთის თამაშში შესვლამდე უნდა იმყოფებოდნენ ბურთიდან არანაკლებ 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე
- ბურთი უძრავად უნდა იდოს სათამაშო მოედნის ცენტრში
- მსაჯი აძლევს სიგნალს
- ბურთი თამაშშია, როდესაც დარტყმის შემდეგ გარკვევით მოძრაობს
- გოლი მეტოქის კარში შესაძლოა გატანილი იქნეს უშუალოდ საწყისი დარტყმიდან

დარღვევები და სანქციები

თუ საწყისი დარტყმის შემსრულებელი მოთამაშე ხელმეორედ შეეხება ბურთს, ვიდრე მას სხვა მოთამაშე შეეხო, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა, ხოლო ბურთზე განზრახ ხელით თამაშისთვის დაინიშნება საჯარიმო დარტყმა.

საწყისი დარტყმის შესრულების პროცედურის ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის საწყისი დარტყმა გამეორდება.

2. სადავო ბურთი

პროცედურა

მსაჯი დააგდებს ბურთს იმ ადგილას, სადაც იმყოფებოდა ის თამაშის გაჩერების მომენტში. თუ თამაში გაჩერდა იმ დროს, როდესაც ბურთი იყო კარის მოედანში, მაშინ მსაჯი დააგდებს ბურთს კარის მოედნის იმ ხაზზე, რომელიც კარის ხაზის პარალელურია და იმ ადგილას, რომელიც უახლოესია იმ ადგილთან, სადაც ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში იყო.

ბურთი თამაშშია, როდესაც ის შეეხება მიწას.

„სადავო ბურთის“ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მოთამაშეთა ნებისმიერ რაოდენობას (მათ შორის მეკარეებსაც); მსაჯს არ შეუძლია „სადავო ბურთის“ გდებაში მონაწილეთა ან მისი შედეგის განსაზღვრა.

დარღვევები და სანქციები

„სადავო ბურთის“ გდება გამეორდება, თუ:

- მიწასთან შეხებამდე მას შეეხება მოთამაშე
- ბურთი დატოვებს სათამაშო მოედანს მიწასთან შეხების შემდეგ, მაგრამ არც ერთი მოთამაშე არ შეხებია მას

თუ „სადავო ბურთის“ გდების შემდეგ ის გადის კარში ისე, რომ მას არ შეეხო სულ მცირე ორი მოთამაშე, თამაში განახლდება:

- კარიდან დარტყმით, თუ ბურთი გადის მეტოქე გუნდის კარში
- კუთხური დარტყმით, თუ ბურთი გადის გუნდის საკუთარ კარში

IFAB®
REFEREE
FIFA

IFAB®

LAW 09

ბურთი თამაშში და თამაშის გარეთ

1. ბურთი თამაშის გარეთ

ბურთი თამაშიდან გასულია, როდესაც:

- ის მთლიანად გადაკვეთს კარის ან გვერდით ხაზს - მიწაზე ან ჰაერში
- თუ თამაში გაჩერებული იქნა მსაჯის მიერ

2. ბურთი თამაშში

ყველა სხვა დროს ბურთი თამაშშია, მათ შორის, როდესაც ის აისხლიტება მატჩის ოფიციალური პირისგან, კარის ბოძისგან, ძელისგან ან კუთხური ალმის ფლაგშტოკისგან და რჩება სათამაშო მოედანზე.

IFAB®

GOAL

10

მატჩის შედეგის განსაზღვრა

1. გატანილი გოლი

გოლი გატანილია, თუ ბურთმა მთლიანად გადაკვეთა კარის ხაზი ბოძებს შორის და ძელს ქვემოთ, იმ პირობით, რომ მანამდე, გოლის გამტანმა გუნდმა არ დაარღვია თამაშის წესები.

თუ მსაჯმა ანიშნა გოლის გატანა მანამდე, ვიდრე ბურთმა მთლიანად გადაკვეთა კარის ხაზი, თამაში განახლდება „სადავო ბურთის“ გდებით.

2. გამარჯვებული გუნდი

მეტი გოლის გამტანი გუნდი ითვლება გამარჯვებულად. თუ ორივე გუნდმა გაიტანა გოლების ერთნაირი რაოდენობა ან გოლი საერთოდ არ იქნა გატანილი, მატჩი ითვლება ფრედ დამთავრებულად.

როდესაც შეჯიბრების დებულება მოითხოვს ფრედ დამთავრებულ მატჩში ან შინ და სტუმრად გამართული მატჩების შემდეგ გამარჯვებულის დადგენას, ნებადართულია გამარჯვებული გუნდის გამოვლენის მხოლოდ შემდეგი პროცედურები:

- სტუმრად გატანილი გოლების წესი
- დამატებითი დრო
- დარტყმები 11 მ ნიშნულიდან

3. დარტყმები 11 მ ნიშნულიდან

დარტყმები 11 მ ნიშნულიდან სრულდება მატჩის დასრულების შემდეგ და თუ სხვა რამ არ არის მითითებული, გამოიყენება შესაბამისი თამაშის წესები.

პროცედურა

დარტყმების დაწყებამდე 11 მ ნიშნულიდან

- სხვა მოსაზრებების (მაგ.: საფარის მდგომარეობა, უსაფრთხოება და ა.შ.) არ არსებობის შემთხვევაში, მსაჯი ატარებს კენჭისყრას იმ კარის დასადგენად, რომელშიც შესრულდება დარტყმები, რაც შესაძლოა შეიცვალოს მხოლოდ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გამო ან, როდესაც კარი ან სათამაშო ზედაპირი გამოუსადეგარი გახდება.

გოლია
არ არის
გოლი


არ არის
გოლი
გოლის
ხაზი

გოლია
გოლის
ხაზი

- მსაჯი კვლავ ატარებს კენჭისყრას და მოგებული გუნდი ირჩევს პირველი ან მეორე დარტყმის უფლებას
- დაშავებული მეკარის შემცვლელი სათადარიგოს გამოკლებით, 11 მ დარტყმების შესრულება შეუძლიათ მხოლოდ მატჩის დამთავრებისას სათამაშო მოედანზე მყოფ ან დროებით (დაშავება, ეკიპირების მოწესრიგება და ა.შ.) სათამაშო მოედნის ფარგლებს გარეთ მყოფ მოთამაშეებს.
- ყოველი გუნდი პასუხისმგებელია იმ თანმიმდევრობის შერჩევაზე, რომლითაც დარტყმის უფლების მქონე მოთამაშეები შეასრულებენ დარტყმებს. მსაჯი არ არის ინფორმირებული თანმიმდევრობის შესახებ.
- თუ მატჩის დასრულებისას და დარტყმების წინ ან მიმდინარეობისას ერთ გუნდს ჰყავს მეტოქე გუნდზე მეტი მოთამაშე, მან საკუთარ გუნდში უნდა შეამციროს მოთამაშეთა რაოდენობა, რათა გაუტოლდეს მეტოქეს და მსაჯი ინფორმირებული უნდა იყოს გამოყვანილი მოთამაშეების გვარებისა და ნომრების შესახებ. ნებისმიერ გამოყვანილ მოთამაშეს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს დარტყმებში (გარდა ქვემოთ აღნიშნული შემთხვევისა)
- მეკარე, რომელსაც არ შეუძლია გააგრძელოს დარტყმებში მონაწილეობის მიღება დარტყმების წინ ან მიმდინარეობისას და თუ მისმა გუნდმა არ გამოიყენა დაშვებული შეცვლების მაქსიმალური რაოდენობა, შეიძლება შეცვლილი იყოს განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშით ან მოთამაშეთა რაოდენობის გასათანაბრებლად გამოყვანილი მოთამაშით, მაგრამ მეკარე ვეღარ მიიღებს მონაწილეობას დარტყმებში და ვეღარ შეასრულებს დარტყმას

დარტყმების შესრულებისას 11 მ ნიშნულიდან

- სათამაშო მოედანზე უნდა იმყოფებოდნენ მხოლოდ დარტყმის უფლების მქონე მოთამაშეები და მატჩის ოფიციალური პირები
- 11 მ დარტყმის უფლების მქონე ყველა მოთამაშე, გარდა დარტყმის შემსრულებელი მოთამაშისა და ორივე მეკარისა, უნდა იმყოფებოდნენ ცენტრალურ წრეში
- 11 მ დარტყმის შემსრულებელი გუნდის მეკარე უნდა დარჩეს სათამაშო მოედანზე, საჯარიმო მოედნის გარეთ, კარის ხაზისა და საჯარიმო მოედნის გვერდითი ხაზის გადაკვეთის წერტილში
- 11 მ დარტყმის უფლების მქონე ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია ადგილი გაუცვალოს მეკარეს
- დარტყმა ითვლება დასრულებულად, როდესაც ბურთი შეწყვეტს მოძრაობას, გავა თამაშიდან ან მსაჯი გააჩერებს თამაშს წესების რაიმე დარღვევისთვის
- მსაჯი აკეთებს ჩანაწერს შესრულებული დარტყმების შესახებ

ქვემოთ მოყვანილი პირობებით, ორივე გუნდი ასრულებს ხუთ-ხუთ დარტყმას

- გუნდები დარტყმებს ასრულებენ რიგრიგობით

- თუ ხუთივე დარტყმის შესრულებამდე ერთი გუნდი გაიტანს იმაზე მეტ გოლს, ვიდრე გაიტანდა მეორე გუნდი, თუნდაც ხუთივე დარტყმის შესრულების შემდეგ, დარტყმები შეწყდება
- თუ ორივე გუნდის მიერ ხუთივე დარტყმის შესრულების შემდეგ ანგარიში თანაბარია, დარტყმების შესრულება გაგრძელდება, ვიდრე ერთი გუნდი არ გაიტანს მეტოქეზე ერთით მეტ გოლს დარტყმების ერთნაირი რაოდენობის შესრულების შემდეგ
- ყველა დარტყმა სრულდება სხვადასხვა მოთამაშის მიერ და დარტყმის უფლების მქონე ყველა მოთამაშემ უნდა შეასრულოს დარტყმა, ვიდრე რომელიმე მოთამაშე შეასრულებს მეორე დარტყმას
- აღნიშნული პრინციპი გრძელდება დარტყმების ნებისმიერი შემდგომი თანმიმდევრობისთვის, თუმცა გუნდს შეუძლია თანმიმდევრობის შეცვლა
- 11 მ დარტყმების შესრულება არ უნდა შეყოვნდეს იმ მოთამაშის გამო, რომელიც დატოვებს სათამაშო მოედანს. ამ მოთამაშის დარტყმა ანულირებული იქნება (გოლი არ არის გატანილი), თუ მოთამაშე არ დაბრუნდება დროულად დარტყმის შესასრულებლად

შეცვლები და გაძევებები დარტყმების შესრულებისას 11 მ ნიშნულიდან

- მოთამაშე, სათადარიგო ან შეცვლილი მოთამაშე შეიძლება იყოს გაფრთხილებული ან გაძევებული
- გაძევებული მეკარე შეიძლება შეცვლილი იყოს დარტყმის უფლების მქონე მოთამაშით
- მოთამაშე - გარდა მეკარისა - რომელსაც არ შეუძლია გაგრძელება, არ შეიძლება იყოს შეცვლილი
- მსაჯმა არ უნდა შეწყვიტოს მატჩი, თუ გუნდის მოთამაშეთა რაოდენობა შვიდზე ნაკლები გახდება

IFAB®

IFAB®

LAW 11

თამაშგარე

1. თამაშგარე მდგომარეობა

თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნა თავისთავად არ წარმოადგენს დარღვევას.

მოთამაშე იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში, თუ:

- მისი თავის, სხეულის ან ფეხის რაიმე ნაწილი იმყოფება მეტოქის ნახევარზე (შუა ხაზის გამოკლებით) და
- მისი თავის, სხეულის ან ფეხის რაიმე ნაწილი იმყოფება მეტოქის კარის ხაზთან უფრო ახლოს, ვიდრე ბურთი და ბოლოდან მეორე მეტოქე

ყველა მოთამაშის, მათ შორის მეკარის, ხელები და მკლავები მხედველობაში არ მიიღება.

მოთამაშე არ იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში, თუ ის იმყოფება ერთ ხაზზე:

- ბოლოდან მეორე მეტოქესთან ან
- ბოლო ორ მეტოქესთან

2. თამაშგარე დარღვევა

თანაგუნდელის მიერ ბურთზე თამაშის ან შეხების მომენტში თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე ისჯება მხოლოდ მაშინ, თუ სათამაშო მოქმედებებში ჩართვისას ის:

- ხელს უშლის თამაშს ბურთზე თამაშით ან შეხებით, რომელიც მას მიაწოდა ან რომელსაც შეეხო მისი თანაგუნდელი ან
- ხელს უშლის მეტოქეს:

- მეტოქისთვის ბურთზე თამაშის ან თამაშის შესაძლებლობის ხელის შეშლით, როდესაც აშკარად უფარავს მეტოქეს მხედველობის არეს ან
- მეტოქესთან ბურთისთვის ორთაბრძოლაში შესვლით ან
- ბურთზე თამაშის აშკარა მცდელობით, რომელიც ახლოს არის მასთან და როდესაც ეს ქმედება ზეგავლენას ახდენს მეტოქეზე ან
- აშკარა ქმედებით, რომელიც გარკვევით ახდენს ზეგავლენას მეტოქის უნარზე ითამაშოს ბურთი

ან

- მოიპოვებს უპირატესობას ამ მდგომარეობაში ყოფნისას ბურთზე თამაშით ან მეტოქისთვის ხელის შეშლით, როდესაც ბურთი:
  - აისხლიტა ან შეიცვალა მიმართულება, როდესაც მოხვდა კარის ბოძებს, ძელს ან მეტოქეს
  - მეტოქის მიერ გამიზნულად იქნა მოგერიებული გატანილი გოლისაგან კარის გადარჩენის მიზნით

თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე, რომელიც ბურთს იღებს მეტოქისგან, რომელმაც გამიზნულად ითამაშა ბურთზე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებისმიერი მეტოქე გამიზნულად გადაარჩენს კარს გატანილი გოლისაგან), არ მოიპოვებს უპირატესობას.

„კარის გადარჩენა“ ნიშნავს, როდესაც მოთამაშე სხეულის რაიმე ნაწილით, გარდა ხელებისა (მეკარის გარდა მის საჯარიმო მოედანში), აჩერებს ბურთს, რომელიც გადის კარში ან ძალიან ახლოს არის კართან.

3. დარღვევა არ არის

თამაშგარე მდგომარეობის წესის დარღვევა არ არის, თუ მოთამაშე ბურთს იღებს უშუალოდ:

- კარიდან დარტყმიდან
- ბურთის შემოგდებიდან
- კუთხური დარტყმიდან

4. დარღვევები და სანქციები

თუ ადგილი აქვს თამაშგარე მდგომარეობის წესის დარღვევას, მსაჯი ნიშნავს თავისუფალ დარტყმას იმ ადგილას, სადაც დარღვევა მოხდა მათ შორის, თუ დარღვევა მოხდა მოთამაშის საკუთარ ნახევარზე.

დამცველი მოთამაშე, რომელიც მსაჯის ნებართვის გარეშე ტოვებს სათამაშო მოედანს, თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრის თვალსაზრისით ჩაითვლება კარის ან გვერდით ხაზზე მყოფად, თამაშის შემდგომ გაჩერებამდე ან ვიდრე დამცველი გუნდი არ დაარტყამს ბურთს შუა ხაზისკენ და ის არ იმყოფება მათი საჯარიმო მოედნის გარეთ. თუ მოთამაშე განზრახ ტოვებს სათამაშო მოედანს, იგი გაფრთხილებული უნდა იყოს თამაშიდან ბურთის შემდგომი გასვლისთანავე.

თავდამსხმელ მოთამაშეს შეუძლია გავიდეს სათამაშო მოედნიდან ან დარჩეს მის მიღმა იმ მიზნით, რომ არ ჩაერთოს აქტიურად სათამაშო მოქმედებებში. თუ მოთამაშე ბრუნდება სათამაშო მოედანზე კარის ხაზიდან და ერთვება სათამაშო მოქმედებებში თამაშის შემდგომ გაჩერებამდე, ან თუ დამცველმა გუნდმა დაარტყა ბურთი შუა ხაზისკენ და ის იმყოფება მათი საჯარიმო მოედნის გარეთ, მოთამაშე განხილული უნდა იქნეს კარის ხაზზე მყოფად თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრის თვალსაზრისით. მოთამაშე, რომელიც განზრახ ტოვებს სათამაშო მოედანს, ბრუნდება მსაჯის ნებართვის გარეშე და არ იქნა დასჯილი თამაშგარეში ყოფნის გამო და შემდგომ მოიპოვებს უპირატესობას, უნდა იყოს გაფრთხილებული.

თუ თავდამსხმელი მოთამაშე გოლის გატანის მომენტში უძრავად იმყოფება კარის ბოძებს შორის და კარის შიგნით, გოლი უნდა ჩაითვალოს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოთამაშე ჩაიდენს თამაშგარე მდგომარეობის წესის ან მე-12 წესის დარღვევას, რა შემთხვევაშიც თამაში განახლდება თავისუფალი ან საჯარიმო დარტყმით.

IFAB®

LAW 12

წესების დარღვევები და უდისწიპლინო საქციელი

თავისუფალი, საჯარიმო და 11 მ დარტყმები შეიძლება დანიშნული იყოს მხოლოდ ბურთის თამაშში ყოფნისას ჩადენილი დარღვევებისთვის.

1. საჯარიმო დარტყმა

საჯარიმო დარტყმა დაინიშნება, თუ მოთამაშე მეტოქის წინააღმდეგ ჩაიდენს ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე დარღვევას იმგვარად, რომ მსაჯი მას განიხილავს, როგორც გაუფრთხილებელს, გაუაზრებელს ან გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით:

- თავს დაესხმის
- შეახტება
- დაარტყამს ფეხს ან შეეცდება ფეხი დაარტყას
- უბიძგებს
- დაარტყამს ხელს ან შეეცდება ხელი დაარტყას (მათ შორის დაარტყამს თავით)
- ასრულებს ვარდნას ან იბრძვის
- გამოუდებს ფეხს ან შეეცდება ფეხი გამოუდოს

თუ დარღვევა მოხდა ფიზიკური კონტაქტის მეშვეობით, ის დაისჯება საჯარიმო ან 11 მ დარტყმით.

- გაუფრთხილებელი დარღვევა ნიშნავს, რომ ორთაბრძოლის დროს მოთამაშე მოქმედებს უყურადღებოდ, დაუფიქრებლად ან წინდაუხედავად. სადისციპლინო სანქცია საჭირო არ არის
- გაუაზრებელი დარღვევა ნიშნავს ორთაბრძოლისას მოთამაშის ისეთ მოქმედებას, როდესაც იგი არ ფიქრობს იმაზე, რომ მოქმედებს სახიფათოდ მეტოქის მიმართ ან არ ფიქრობს მოსალოდნელ შედეგებზე. იგი გაფრთხილებული უნდა იქნეს
- გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენება ნიშნავს, რომ მოთამაშემ გადააჭარბა საჭირო ძალას და ემუქრება მეტოქის უსაფრთხოებას. იგი გაძევებული უნდა იქნეს

საჯარიმო დარტყმა დაინიშნება, თუ მოთამაშე ჩაიდენს ქვემოთ მოყვანილი დარღვევებიდან რომელიმეს:

- განზრახ ითამაშებს ბურთზე ხელით (გარდა მეკარისა მის საჯარიმო მოედანში)
- აკავებს მეტოქეს
- აფერხებს მეტოქეს მოძრაობას ფიზიკური კონტაქტით
- შეაფურთხებს მეტოქეს

იხილეთ ასევე დარღვევები მე-3 წესში

ბურთზე ხელით თამაში

ბურთზე ხელით თამაში ნიშნავს მოთამაშის განზრახ ქმედებას, როდესაც იგი ბურთს ეხება ხელით ან მკლავით.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები:

- ხელის მოძრაობა ბურთისკენ (და არა ბურთისა ხელისკენ)
- მანძილი მეტოქესა და ბურთს შორის (მოულოდნელი ბურთი)
- ხელის მდგომარეობა არ ნიშნავს უცილობლად, რომ მოხდა დარღვევა
- ბურთზე რაიმე საგნით შეხება, რომელიც მოთამაშეს უჭირავს ხელში (ტანსაცმელი, წვივსაფარი და ა.შ.) ითვლება დარღვევად
- ხელით ნასროლი რაიმე საგნის (ფეხსაცმელი, წვივსაფარი და ა.შ.) ბურთზე მოხვედრა ითვლება დარღვევად

მეკარეზე ვრცელდება საკუთარი საჯარიმო მოედნის ფარგლებს მიღმა ბურთზე ხელით თამაშის ისეთივე შეზღუდვები, როგორიც სხვა ნებისმიერ მოთამაშეზე. საკუთარ საჯარიმო მოედანში მეკარე არ შეიძლება იყოს დამნაშავე ბურთზე ხელით თამაშში, რაც გულისხმობს საჯარიმო დარტყმის დანიშვნას ან რაიმე სხვა სანქციას, მაგრამ შესაძლოა იყოს დამნაშავე ბურთზე ხელით თამაშთან დაკავშირებულ ისეთ დარღვევებში, რისთვისაც ინიშნება თავისუფალი დარტყმა.

2. თავისუფალი დარტყმა

თავისუფალი დარტყმა დაინიშნება, თუ მოთამაშე:

- თამაშობს სახიფათოდ
- აფერხებს მეტოქის მოძრაობას ფიზიკური კონტაქტის გარეშე
- ხელს უშლის მეკარეს ბურთის თამაშში შეყვანაში, ან ურტყამს ან ცდილობს დაარტყას ბურთი, როდესაც მეკარეს ბურთი შეჰყავს თამაშში
- ჩაიდენს ნებისმიერ სხვა დარღვევას, რომელიც არ არის მოყვანილი თამაშის წესებში, რისთვისაც თამაში ჩერდება, რათა მოთამაშეს მიეცეს გაფრთხილება ან გაძევებული იქნეს მოედნიდან

თავისუფალი დარტყმა დაინიშნება, თუ მეკარე საკუთარ საჯარიმო მოედანში ჩაიდენს ქვემოთ მოყვანილი დარღვევებიდან რომელიმეს:

- ხელით აკონტროლებს ბურთს ექვს წამზე მეტ ხანს, ვიდრე გაუშვებს მას ხელიდან
- ხელით შეეხება ბურთს მას შემდეგ, რაც:
  - გაუშვებს მას ხელიდან და ბურთს არ შეხებია სხვა მოთამაშე
  - ხელით შეეხება ბურთს მას შემდეგ, რაც მისი თანაგუნდელი ფეხით განზრახ მიაწოდებს მას ბურთს
  - ხელით შეეხება ბურთს მას შემდეგ, რაც მისი თანაგუნდელი მიაწოდებს მას ბურთს უშუალოდ ბურთის გვერდითი ხაზიდან შემოგდებიდან

მეკარე აკონტროლებს ბურთს, როდესაც:

- ბურთი არის მის ხელებს შორის ან მის ხელსა და რაიმე ზედაპირს შორის (მაგ.: მიწა, საკუთარი სხეული) ან ეხება ბურთს მისი ხელის ან მკლავის ნებისმიერი ნაწილით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბურთი შემთხვევით აისხლიტება მეკარისგან ან მეკარე გადაარჩენს კარს გატანილი გოლისგან
- ბურთი უჭირავს გაშლილ ხელისგულზე
- ბურთს აგდებს მიწაზე ან აისვრის ჰაერში

მეტოქეს არ შეუძლია მეკარესთან ორთაბრძოლა, როდესაც იგი ხელით აკონტროლებს ბურთს.

სახიფათო თამაში

სახიფათო თამაში არის ნებისმიერი ისეთი მოქმედება, როდესაც ბურთზე თამაშის მცდელობისას არსებობს ვინმესთვის (მათ შორის მოთამაშისთვისაც) ტრავმის მიყენების საშიშროება და არ აძლევს ბურთზე თამაშის საშუალებას იქვე მყოფ მეტოქეს ტრავმის მიღების შიშით.

მაკრატლისებრი ან ველოსიპედისებრი დარტყმა დასაშვებია იმ პირობით, თუ ის არ წარმოადგენს საშიშროებას მეტოქისთვის.

მეტოქის მოძრაობის შეფერხება ფიზიკური კონტაქტის გარეშე

მეტოქის მოძრაობის შეფერხება ნიშნავს მეტოქის მოძრაობის გზაზე ისეთ გადაადგილებას, რომელიც გზას გადაუღობავს მას, მოახდენს მის ბლოკირებას, აიძულებს შეამციროს სიჩქარე ან შეცვალოს მოძრაობის მიმართულება, როდესაც ბურთი არ არის მოთამაშის სათამაშო მანძილზე. ყველა მოთამაშეს უფლება აქვს დაიკავოს საკუთარი პოზიცია სათამაშო მოედანზე; მეტოქის მოძრაობის გზაზე ყოფნა არ არის ისეთივე რამ, რაც მეტოქის მოძრაობის გზაზე გადაადგილება.

მოთამაშოს შეუძლია დაფაროს ბურთი ბურთსა და მეტოქეს შორის პოზიციის დაკავებით, თუ ბურთი იმყოფება სათამაშო მანძილზე და მეტოქე არ არის შეკავებული მკლავით ან სხეულით. თუ ბურთი იმყოფება სათამაშო მანძილზე, მოთამაშეზე წესების დაცვით თავდასხმა შესაძლებელია.

3. სადისციპლინო აქცია

მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება სადისციპლინო სანქციები გამოიტანოს სათამაშო მოედანზე შესვლის მომენტიდან თამაშის წინ მოედნის შემოწმებისთვის, ვიდრე არ დატოვებს სათამაშო მოედანს მატჩის დასრულების შემდეგ (მათ შორის 11 მ დარტყმების შემდეგ).

თუ მატჩის დასაწყისში სათამაშო მოედანზე შესვლამდე მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას, რომელიც იმსახურებს გაძევებას, მსაჯს გააჩნია უფლება არ დაუშვას მოთამაშე მატჩში მონაწილეობის მისაღებად (იხ. წესი 3.); მსაჯი შეადგენს პატაკს სხვა რაიმე უდისციპლინო საქციელის შესახებ.

მოთამაშე, რომელიც სათამაშო მოედანზე ან მის ფარგლებს მიღმა, მეტოქის, თანაგუნდელის, მატჩის ოფიციალური პირის ან სხვა ნებისმიერი პირის მიმართ ან წესების საწინააღმდეგოდ ჩაიდენს ისეთ დარღვევას, რომელიც იმსახურებს გაფრთხილებას ან გაძევებას, დასჯილი იქნება დარღვევის შესაბამისად.

ყვითელი ბარათის ჩვენება ნიშნავს გაფრთხილებას და წითელი ბარათის ჩვენება ნიშნავს გაძევებას.

წითელი ან ყვითელი ბარათის ჩვენება შეიძლება მხოლოდ მოთამაშის, სათადარიგო მოთამაშის ან შეცვლილი მოთამაშისთვის.

თამაშის განახლების დაყოვნება ბარათის საჩვენებლად

როგორც კი მსაჯი გადაწყვეტს გააფრთხილოს ან გააძევოს მოთამაშე, თამაში არ შეიძლება განახლდეს, ვიდრე სანქცია არ იქნება გამოტანილი.

უპირატესობა

თუ მსაჯი იყენებს უპირატესობას ისეთი დარღვევისთვის, რომლისთვისაც ყვითელი/წითელი ბარათი უნდა ყოფილიყო ნაჩვენები, თუ თამაში გაჩერდებოდა, მაშინ ეს ყვითელი/წითელი ბარათი ნაჩვენები უნდა იყოს ბურთის თამაშიდან გასვლის შემდეგ. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევის მცდელობის მიუხედავად გოლი გადის. ამ შემთხვევაში მოთამაშე იქნება გაფრთხილებული არასპორტული საქციელისთვის.

წესების სერიოზული დარღვევის, ძალადობრივი ქმედების ან ისეთი დარღვევისას, რომელიც მეორე ყვითელ ბარათს იმსახურებს, უპირატესობა არ უნდა იყოს გამოყენებული, თუ არ არის გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა. მსაჯმა უნდა გააძევოს მოთამაშე ბურთის თამაშიდან გასვლისთანავე, მაგრამ, თუ მოთამაშე თამაშობს ბურთზე ან ებრძვის/ხელს უშლის მეტოქეს, მსაჯი გააჩერებს თამაშს, გააძევებს მოთამაშეს და განაახლებს თამაშს თავისუფალი დარტყმით.

თუ მოთამაშე იწყებს მეტოქის შეკავებას საჯარიმო მოედნის გარეთ და აგრძელებს დარღვევას საჯარიმო მოედნის შიგნით, მსაჯმა უნდა დანიშნოს 11 მ დარტყმა.

დარღვევები, რომლებიც ისჯება ყვითელი ბარათით

მოთამაშე იქნება გაფრთხილებული, თუ დამნაშავეა შემდეგ დარღვევებში:

- თამაშის განახლების დაყოვნება
- უთანხმოების გამოხატვა სიტყვიერად ან მოქმედებით
- მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედანზე შესვლა, დაბრუნება ან მოედნის განზრახ დატოვება
- არ იცავს მოთხოვნილ მანძილს თამაშის განახლებისას კუთხური დარტყმით, საჯარიმო დარტყმით, თავისუფალი დარტყმით ან ბურთის შემოგდებით გვერდითი ხაზიდან
- თამაშის წესების სისტემატური დარღვევა („სისტემატური“ არ გულისხმობს დარღვევების რაიმე გარკვეულ რაოდენობას ან ხასიათს)
- არასპორტული საქციელი

სათადარიგო მოთამაშე ან შეცვლილი მოთამაშე იქნება გაფრთხილებული, თუ დამნაშავეა შემდეგ დარღვევებში:

- თამაშის განახლების დაყოვნება
- უთანხმოების გამოხატვა სიტყვიერად ან მოქმედებით
- მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედანზე შესვლა ან დაბრუნება
- არასპორტული საქციელი

გაფრთხილებები არასპორტული საქციელისთვის

არსებობს სხვადასხვა გარემოება, როდესაც აუცილებელია მოთამაშის გაფრთხილება არასპორტული საქციელისთვის, თუ მოთამაშე:

- ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მსაჯი, მაგალითად ტრავმის გამოგონებით ან აცხადებს პრეტენზიას, რომ მის წინააღმდეგ მოხდა დარღვევა (სიმულაცია)
- უცვლის ადგილს მეკარეს თამაშის მსვლელობისას ან მსაჯის ნებართვის გარეშე
- გაუაზრებლად ჩაიდენს დარღვევას, რომელიც ისჯება ყვითელი ბარათით
- ჩაიდენს დარღვევას ან ხელით თამაშობს ბურთზე იმედისმომცემი შეტევის ხელის შეშლის ან მისი ჩაშლის მიზნით

- ხელით თამაშობს ბურთზე გოლის გატანის მცდელობისას (იმის მიუხედავად წარმატებულია თუ არა მცდელობა) ან წარუმატებელი მცდელობისას ხელი შეუშალოს გოლის გატანას
- სათამაშო მოედანზე ავლებს აკრძალულ ხაზებს
- თამაშობს ბურთზე მსაჯის ნებართვით მოედნიდან გასვლისას
- ამჟღავნებს პატივისცემის ნაკლებობას თამაშის მიმართ
- იყენებს გამიზნულ ხრიკს, რათა ბურთი მიაწოდოს (მათ შორის საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმიდან) მეკარეს თავით, მკერდით, მუხლით და ა.შ., რათა გვერდი აუაროს წესს, იმის მიუხედავად, შეეხო თუ არა მეკარე ბურთს ხელით
- სიტყვიერად აბნევს მეტოქეს თამაშის მსვლელობისას ან თამაშის განახლებისას

გატანილი გოლის საზეიმო აღნიშვნა

მოთამაშეებს შეუძლიათ იზეიმონ გატანილი გოლი, მაგრამ ზეიმი არ უნდა იყოს გადაჭარბებული; ქორეოგრაფიულად დადგმული ზეიმი არ უნდა იყოს წახალისებული და არ უნდა გამოიწვიოს დროის გადაჭარბებული ხარჯვა.

სათამაშო მოედნის დატოვება გატანილი გოლის საზეიმოდ არ არის იმგვარი დარღვევა, რომელიც გაფრთხილებას იმსახურებს, თუმცა მოთამაშეები მოედანზე უნდა დაბრუნდნენ რაც შეიძლება სწრაფად.

მოთამაშე უნდა იყოს გაფრთხილებული, თუ ის:

- აცოცდება მოედნის პერიმეტრზე არსებულ ღობეზე
- იყენებს პროვოკაციულ, დამცინავ ან წამქეზებლურ ჟესტებს
- სახეს ან თავს იფარავს ნიღბით ან რაიმე მსგავსი ნივთით
- იხდის მაისურს ან მაისურით იფარავს თავს

თამაშის განახლების დაყოვნება

მსაჯებმა უნდა გააფრთხილონ მოთამაშეები, რომლებიც აყოვნებენ თამაშის განახლებას:

- აპირებს ბურთის შემოგდებას, მაგრამ მოულოდნელად გადასცემს ამ უფლებას თანაგუნდელს
- შეცვლის დროს აყოვნებს სათამაშო მოედნიდან გასვლას
- გადამეტებულად აყოვნებს განახლებას
- ფეხს ურტყავს ბურთს, ხელით მიაქვს ის ან იწვევს კონფრონტაციას ბურთზე განზრახ შეხებით მსაჯის მიერ თამაშის გაჩერების შემდეგ
- საჯარიმო ან თავისუფალ დარტყმას ასრულებს არასწორი პოზიციიდან, რათა გამოიწვიოს დარტყმის გამეორება

დარღვევები, რომლებიც ისჯება წითელი ბარათით

მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე ან შეცვლილი მოთამაშე გაძევებული იქნება, თუ ის ქვემოთ მოყვანილი დარღვევიდან რომელიმეს ჩაიდენს:

- ბურთზე განზრახ ხელით თამაშით (მეკარის გარდა მის საჯარიმო მოედანში) მეტოქეს ართმევს გოლს ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას
- კარისკენ მოძრავ მეტოქეს ართმევს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას ისეთი დარღვევით, რომელიც ისჯება საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმით (გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა)
- წესების სერიოზული დარღვევა
- მეტოქის ან ნებისმიერი სხვა პიროვნების მისამართით შეფურთხება
- ძალადობრივი ქმედება
- იყენებს შეურაცხმყოფელ, დამამცირებელ ან უცენზურო გამოთქმებს და/ან ჟესტებს
- იმავე მატჩში იღებს მეორე ყვითელ ბარათს

მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე ან შეცვლილი მოთამაშე ვალდებულია დატოვოს სათამაშო მოედნის მიმდებარე ტერიტორია და ტექნიკური ზონა.

გოლის ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევა (DOGSO)

როდესაც მოთამაშე ართმევს მეტოქეს გოლს ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას ბურთზე ხელით განზრახ თამაშით, იქნება გაძევებული, სადაც არ უნდა მოხდეს დარღვევა.

როდესაც მოთამაშე მეტოქის წინააღმდეგ ჩაიდენს დარღვევას საკუთარ საჯარიმო მოედანში, რომელიც ართმევს მეტოქეს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას და მსაჯი ნიშნავს 11 მ დარტყმას, დამრღვევი მოთამაშე იქნება გაფრთხილებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ადგილი აქვს მეტოქის შეკავებას, მოქაჩვას ან ბიძგს ან
- დამრღვევი მოთამაშე არ ცდილობს ბურთზე თამაშს ან არ გააჩნია ბურთზე თამაშის შესაძლებლობა ბურთისთვის ბრძოლისას ან
- დარღვევა ისეთია, რომ ისჯება წითელი ბარათით, სათამაშო მოედნის რა ნაწილშიც არ უნდა მოხდეს (მაგ.: წესების სერიოზული დარღვევა, ძალადობრივი ქმედება და ა.შ.)

ყველა ზემოთ მოყვანილ გარემოებებში მოთამაშე იქნება გაძევებული.

მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შემდეგი მოსაზრებები:

- დარღვევის ადგილსა და კარს შორის მანძილი
- თამაშის განვითარების მიმართულება
- ბურთის ფლობის ან კონტროლის შესაძლებლობა
- მცველების მდებარეობა და რაოდენობა

წესების სერიოზული დარღვევა

ვარდნა ან ბრძოლა, რომელიც საშიშროებას უქმნის მეტოქის უსაფრთხოებას, უნდა შეფასდეს როგორც წესების სერიოზული დარღვევა.

ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც ბურთისთვის ბრძოლისას გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით ეკვეთება მეტოქეს ერთი ან ორივე ფეხის გამოყენებით, წინიდან, გვერდიდან ან უკნიდან, ან საშიშროებას უქმნის მეტოქის უსაფრთხოებას, დამნაშავეა წესების სერიოზულ დარღვევაში.

ძალადობრივი ქმედება

ძალადობრივი ქმედება არის ისეთი ქმედება, როდესაც მოთამაშე იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს გადაჭარბებული ფიზიკური ძალა ან სისასტიკე მეტოქის, თანაგუნდელის, გუნდის ოფიციალური პირის, მატჩის ოფიციალური პირის, მაყურებლის ან სხვა ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, როდესაც არ იბრძვის ბურთისთვის, იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა ადგილი ფიზიკურ კონტაქტს.

ასევე, მოთამაშე, რომელიც არ იბრძვის ბურთისათვის, სახეში განზრახ დაარტყამს ხელს ან მკლავს მეტოქეს ან ნებისმიერ სხვა პირს, დამნაშავეა ძალადობრივ ქმედებაში, თუ გამოყენებული ძალა არ იყო უმნიშვნელო.

დარღვევები, როდესაც ნასროლია რაიმე საგანი (ან ბურთი)

თუ ბურთის თამაშში ყოფნისას, მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე ან შეცვლილი მოთამაშე მეტოქეს ან სხვა ნებისმიერ პირს ესვრის საგანს (მათ შორის ბურთს), მსაჯმა უნდა გააჩეროს თამაში და თუ დარღვევა არის:

- გაუაზრებელი - გააფრთხილოს დამრღვევი არასპორტული საქციელისთვის
- გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით - გააძევოს დამრღვევი ძალადობრივი ქმედებისთვის

4. თამაშის განახლება წესების დარღვევების და უდისციპლინო საქციელის შემდეგ

- თუ ბურთი თამაშიდან გასულია, თამაში განახლდება წინა გადაწყვეტილების შესაბამისად.
- თუ ბურთი თამაშშია და მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას სათამაშო მოედანზე:

  - მეტოქის წინააღმდეგ - თავისუფალი, საჯარიმო ან 11 მ დარტყმა
  - თანაგუნდელის, შეცვლილი მოთამაშის, გუნდის ოფიციალური პირის ან მატჩის ოფიციალური პირის წინააღმდეგ - საჯარიმო ან 11 მ დარტყმა
  - ნებისმიერი სხვა პირის წინააღმდეგ - „სადავო ბურთის“ გდება

- თუ ბურთი თამაშშია და დარღვევა მოხდება საჯარიმო მოედნის გარეთ:

  - თუ მოთამაშე უკვე სათამაშო მოედნის გარეთ იმყოფება, თამაში განახლდება „სადავო ბურთის“ გდებით
  - თუ მოთამაშე დატოვებს სათამაშო მოედანს, რათა ჩაიდინოს დარღვევა, თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც მდებარეობდა ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში. თუმცა, თუ მოთამაშის მიერ სათამაშო მოედნის დატოვება წარმოადგენს სათამაშო მოქმედების ნაწილს და მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას სხვა მოთამაშის წინააღმდეგ, თამაში განახლდება საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმით, შემომსაზღვრელი ხაზის იმ წერტილიდან, რომელიც უახლოესია დარღვევის ადგილთან; საჯარიმო დარტყმით დასჯადი დარღვევებისთვის ინიშნება 11 მ დარტყმა, თუ ეს ხდება დამრღვევის საჯარიმო მოედანში

- თუ სათამაშო მოედანზე ან მის გარეთ მდგომი მოთამაშე მეტოქეს ესვრის საგანს სათამაშო მოედანში, თამაში განახლდება საჯარიმო დარტყმით ან 11 მ დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც საგანი მოხვდა ან შეიძლება მოხვედროდა მეტოქეს
- თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით, თუ:

  - სათამაშო მოედანზე მდგარი მოთამაშე საგანს ესვრის სათამაშო მოედნის გარეთ მყოფ ნებისმიერ პირს
  - სათადარიგო ან შეცვლილი მოთამაშე საგანს ესვრის სათამაშო მოედანზე მყოფ მეტოქეს

IFAB®

LAW 13

საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები

1. დარტყმის სახეობები

საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები ინიშნება დარღვევაში დამნაშავე მოთამაშის მეტოქე გუნდის სასარგებლოდ.

თავისუფალი დარტყმის სიგნალი
მსაჯი ანიშნებს თავისუფალ დარტყმას თავს ზევით ხელის აწევით; ეს ნიშანი შენარჩუნებული უნდა იყოს, ვიდრე დარტყმა შესრულდება და ბურთი შეეხება რომელიმე მოთამაშეს ან გავა თამაშიდან.

თავისუფალი დარტყმა უნდა გამეორდეს, თუ მსაჯი არ ანიშნებს, რომ დარტყმა თავისუფალია და ბურთი უშუალოდ დარტყმიდან გავა კარში.

ბურთი გადის კარში

- თუ უშუალოდ საჯარიმო დარტყმიდან ბურთი გადის მეტოქის კარში, გოლი ჩაითვლება
- თუ უშუალოდ თავისუფალი დარტყმიდან ბურთი გადის მეტოქის კარში, დაინიშნება კარიდან დარტყმა
- თუ უშუალოდ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმიდან ბურთი გადის გუნდის საკუთარ კარში, დაინიშნება კუთხური დარტყმა

2. პროცედურა

ყველა საჯარიმო და თავისუფალი დარტყმა სრულდება იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა, გარდა:

- თავისუფალი დარტყმებისა შემტევი გუნდის სასარგებლოდ მეტოქე გუნდის კარის მოედანში, რომელიც შესრულდება კარის მოედნის იმ ხაზიდან, რომელიც კარის ხაზის პარალელურია და იმ ადგილიდან, რომელიც უახლოესია დარღვევის ადგილთან
- თავისუფალი და საჯარიმო დარტყმებისა დამცველი გუნდის სასარგებლოდ საკუთარი კარის მოედანში, რომელიც შესრულდება კარის მოედნის ნებისმიერი წერტილიდან

- საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისა მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედანზე მოთამაშის შესვლასთან, დაბრუნებასთან ან გასვლასთან დაკავშირებულ დარღვევებთან, რომლებიც სრულდება იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში. თუმცა, თუ მოთამაშის მიერ სათამაშო მოედნის დატოვება წარმოადგენს სათამაშო მოქმედების ნაწილს და იგი ჩაიდენს დარღვევას სხვა მოთამაშის წინააღმდეგ, თამაში განახლდება საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმით მოედნის შემომსაზღვრელი ხაზის იმ ადგილიდან, რომელიც უახლოესია დარღვევის ადგილთან; საჯარიმო დარტყმით დასჯადი დარღვევებისთვის ინიშნება 11 მ დარტყმა, თუ ეს ხდება დამრღვევის საჯარიმო მოედანში.
- წესი განსაზღვრავს სხვა ადგილს (იხ. წესები 3, 11, 12)

ბურთი:

- უნდა იყოს უძრავი და დამრტყმელი ხელმეორედ არ უნდა შეეხოს მას, ვიდრე ის არ შეეხება სხვა რომელიმე მოთამაშეს
- თამაშშია, როდესაც მასზე მოხდა დარტყმა და გარკვევით მოძრაობს, გარდა საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისა დამცველი გუნდის სასარგებლოდ მათ საკუთარ საჯარიმო მოედანში, სადაც ბურთი თამაშშია, როდესაც ის დარტყმულია უშუალოდ საჯარიმო მოედნის ფარგლებს მიღმა

სანამ ბურთი თამაშში არ არის, ყველა მეტოქე უნდა იყოს:

- არა ნაკლებ 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე ბურთიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იმყოფებიან საკუთარი კარის ხაზზე ბოძებს შორის
- საჯარიმო მოედნის გარეთ მეტოქის სასარგებლოდ საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას მეტოქის საჯარიმო მოედნის ფარგლებში

საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა შეიძლება შესრულდეს ერთი ან ერთდროულად ორივე ფეხით ბურთის ჰაერში აწევით.

საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმისას შესრულებული ცრუ მოძრაობა, რომელიც მეტოქის დასაბნევად გამოიყენება დასაშვებია, როგორც ფეხბურთის შემადგენელი ნაწილი.

თუ მოთამაშე საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმის სწორად შესრულებისას ფეხით განზრახ მოარტყამს ბურთს მეტოქეს იმ მიზნით, რომ კვლავ დაეუფლოს მას, და ამავე დროს არ მოქმედებს გაუფრთხილებლად, გაუაზრებლად ან გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით, მსაჯი გააგრძელებს თამაშს.

3. დარღვევები და სანქციები

თუ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმის შესრულებისას მეტოქე იმყოფება მოთხოვნილ მანძილზე უფრო ახლოს ბურთისგან, დარტყმა უნდა გამეორდეს, თუ გამოყენებული არ არის უპირატესობა; მაგრამ, თუ მოთამაშე ასრულებს საჯარიმო ან თავისუფალ დარტყმას სწრაფად და მეტოქე, რომელიც 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე უფრო ახლოს იმყოფება ბურთისგან, ჩაჭრის მას, მსაჯი გააგრძელებს თამაშს. თუმცა, მეტოქე, რომელიც განზრახ ხელს შეუშლის საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმის შესრულებას, უნდა იყოს გაფრთხილებული თამაშის განახლების დაყოვნებისათვის.

თუ დამცველი გუნდის მიერ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმის სწრაფად შესრულებისას საკუთარი საჯარიმო მოედნიდან, რომელიმე მეტოქე რჩება საჯარიმო მოედნის ფარგლებში იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ საჯარიმო მოედნის დატოვებისთვის საკმარისი დრო, მსაჯი გააგრძელებს თამაშს.

თუ დამცველი გუნდის მიერ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმის შესრულებისას საკუთარი საჯარიმო მოედნიდან ბურთი არ არის დარტყმული უშუალოდ საჯარიმო მოედნის ფარგლებს მიღმა, დარტყმა უნდა გამეორდეს.

თუ ბურთის თამაშში შესვლის შემდეგ დამრტყმელი მოთამაშე კვლავ შეეხება ბურთს, ვიდრე მას სხვა რომელიმე მოთამაშე შეხებია, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა. თუ დამრტყმელი მოთამაშე განზრახ ხელით ითამაშებს ბურთზე:

- დაინიშნება საჯარიმო დარტყმა
- დაინიშნება 11 მ დარტყმა, თუ დარღვევა მოხდა დამრტყმელი მოთამაშის საკუთარ საჯარიმო მოედანში, გარდა შემთხვევისა, როდესაც დამრტყმელი არის მეკარე - ამ შემთხვევაში დაინიშნება თავისუფალი დარტყმა

IFAB®

LAW 14

11მ დარტყმა

11 მ დარტყმა ინიშნება, თუ მოთამაშე საკუთარ საჯარიმო მოედანში ან მის გარეთ - სათამაშო მოქმედების ფარგლებში (როგორც ეს განმარტებულია მე-12 და მე-13 წესებში) - ჩაიდენს ისეთ დარღვევას, რომელიც ისჯება საჯარიმო დარტყმით.

გოლი შეიძლება გატანილი იყოს უშუალოდ 11 მ დარტყმიდან.

1. პროცედურა

ბურთი უძრავად უნდა იყოს მოთავსებული 11 მ ნიშნულზე.

11 მ დარტყმის შემსრულებელი მოთამაშე სათანადოდ იდენტიფიცირებული უნდა იყოს.

დარტყმის შესრულებამდე მეკარე უნდა დარჩეს კარის ხაზზე, პირისახით დამრტყმელისკენ და ბოძებს შორის.

11 მ დარტყმის შემსრულებელი მოთამაშის და მეკარის გარდა, ყველა დანარჩენი მოთამაშე უნდა იყოს:

- 11 მ ნიშნულიდან არანაკლებ 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე
- 11 მ ნიშნულის უკან
- სათამაშო მოედანში
- საჯარიმო მოედნის გარეთ

მას შემდეგ, რაც მოთამაშეები დაიკავებენ პოზიციებს ამ წესის შესაბამისად, მსაჯი აძლევს ნიშანს 11 მ დარტყმის შესასრულებლად.

11 მ დარტყმის შემსრულებელმა მოთამაშემ ბურთი უნდა დაარტყას წინ; ქუსლით ბურთზე თამაში დასაშვებია, იმ პირობით, რომ ბურთი მოძრაობს წინ.

ბურთი თამაშშია, როდესაც ის დარტყმულია და გარკვევით მოძრაობს.

11 მ დარტყმის შემსრულებელმა მოთამაშემ ხელმეორედ არ უნდა ითამაშოს ბურთზე მანამ, ვიდრე ის არ შეეხება რომელიმე სხვა მოთამაშეს.

11 მ დარტყმა დასრულებულია, როდესაც ბურთი შეწყვეტს მოძრაობას, თამაშიდან გადის ან მსაჯი აჩერებს თამაშს წესების რაიმე დარღვევისთვის.

დრო შეიძლება დამატებული იქნეს 11 მ დარტყმის შესასრულებლად და დასასრულებლად მატჩის ორივე ტაიმის ან დამატებითი დროის ორივე ნახევრის ბოლოს.

2. დარღვევები და სანქციები

11 მ დარტყმის შესასრულებლად მსაჯის მიერ ნიშნის მიცემის შემდეგ დარტყმა უნდა შესრულდეს. თუ ბურთის თამაშში შესვლამდე მოხდება რაიმე ქვემოთ მოყვანილი:

11 მ დარტყმის შემსრულებელი მოთამაშე ან მისი თანაგუნდელი დაარღვევს თამაშის წესებს:

- თუ ბურთი გადის კარში, დარტყმა უნდა გამეორდეს
- თუ ბურთი არ გადის კარში, მსაჯი აჩერებს თამაშს და განაახლებს თავისუფალი დარტყმით

გარდა შემდეგი შემთხვევებისა, როდესაც თამაში იქნება გაჩერებული და განახლებული თავისუფალი დარტყმით, იმის მიუხედავად, გატანილი იქნა გოლი თუ არა:

- 11 მ დარტყმა შესრულდა უკან
- იდენტიფიცირებული დამრტყმელის თანაგუნდელი შეასრულებს დარტყმას; მსაჯი გააფრთხილებს დარტყმის შემსრულებელ მოთამაშეს
- მას შემდეგ, რაც დაასრულა გამორბენი, მოთამაშე აკეთებს ცრუ მოძრაობას ბურთის დარტყმისას (ცრუ მოძრაობა გამორბენისას დაშვებულია); მსაჯი გააფრთხილებს დამრტყმელს

მეკარე ან მისი თანაგუნდელი არღვევს თამაშის წესებს:

- თუ ბურთი გადის კარში, გოლი ითვლება გატანილად
- თუ ბურთი არ გადის კარში, დარტყმა მეორდება; მეკარე იქნება გაფრთხილებული, თუ პასუხისმგებელია დარღვევაზე

ორივე გუნდის მოთამაშე არღვევს თამაშის წესებს, დარტყმა მეორდება, თუ მოთამაშე არ ჩაიდენს უფრო სერიოზულ დარღვევას (მაგ. აკრძალული ცრუ მოძრაობა)

თუ 11 მ დარტყმის შესრულების შემდეგ:

დამრტყმელი ეხება ბურთს ხელმეორედ, ვიდრე ის შეეხო სხვა რომელიმე მოთამაშეს:

- დაინიშნება თავისუფალი დარტყმა (ან საჯარიმო დარტყმა ბურთზე განზრახ ხელით თამაშისთვის)

ბურთს შეეხო გარეშე პირი, როდესაც ის მოძრაობდა წინ:

- დარტყმა მეორდება

ბურთი აისხლიტება სათამაშო მოედანში მეკარისგან, ძელისგან ან კარის ბოძებისგან და შემდეგ მას ეხება გარეშე პირი:

- მსაჯი აჩერებს თამაშს
- თამაში განახლდება „სადავო ბურთის“ გდებით იმ ადგილიდან, სადაც იგი შეეხო გარეშე პირს

3. შემაჯამებელი ცხრილი

11 მ დარტყმის შედეგი		
	გოლია	**არ არის გოლი**
თავდამსხმელი მოთამაშის საჯარიმოში შეღწევა	11 მ დარტყმა მეორდება	თავისუფალი დარტყმა
დამცველი მოთამაშის საჯარიმოში შეღწევა	გოლი ითვლება	11 მ დარტყმა მეორდება
მეკარის მიერ ჩადენილი დარღვევები	გოლი ითვლება	11 მ დარტყმა მეორდება და გაფრთხილება მეკარეს
ბურთი დარტყმულია უკან	თავისუფალი დარტყმა	თავისუფალი დარტყმა
აკრძალული ცრუ მოძრაობები	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება დამრტყმელს	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება დამრტყმელს
არაიდენტიფიცირებული დამრტყმელი	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება არაიდენტიფიცირებულ დამრტყმელს	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება არაიდენტიფიცირებულ დამრტყმელს

IFAB®

LAW 15

ბურთის შემოგდება გვერდითი ხაზიდან

გვერდითი ხაზიდან ბურთის შემოგდების უფლება ეძლევა იმ მოთამაშის მეტოქე გუნდს, რომელიც უკანასკნელად შეეხო ბურთს, ვიდრე ბურთი მთლიანად გადაკვეთდა გვერდით ხაზს მიწაზე ან ჰაერში.

უშუალოდ ბურთის შემოგდებიდან გოლის გატანა არ შეიძლება:

- თუ ბურთი გადის მეტოქის კარში - ინიშნება კარიდან დარტყმა
- თუ ბურთი გადის ბურთის შემომგდების საკუთარ კარში - ინიშნება კუთხური დარტყმა

1. პროცედურა

ბურთის შემოგდების მომენტში შემომგდები მოთამაშე:

- პირისახით უნდა იმყოფებოდეს სათამაშო მოედნისკენ
- ორივე ტერფის ნაწილი მოთავსებული უნდა ჰქონდეს გვერდით ხაზზე ან მიწაზე გვერდითი ხაზის გარეთ
- ბურთი უნდა შემოაგდოს ორივე ხელით, კეფის უკნიდან და თავს ზემოთ მოძრაობით, იმ ადგილიდან, სადაც მან დატოვა სათამაშო მოედანი

ყველა მეტოქე უნდა იმყოფებოდეს არანაკლებ 2 მ (2 იარდი) მანძილზე ბურთის შემოგდების ადგილიდან.

ბურთი თამაშშია, როდესაც ის შედის სათამაშო მოედანში. თუ ბურთი ეხება მიწას სათამაშო მოედანში შესვლამდე, ბურთის შემოგდება მეორდება იმავე გუნდის მიერ და იმავე ადგილიდან. თუ ბურთის შემოგდება არასწორად განხორციელდა, ის გამეორდება მეტოქე გუნდის მიერ.

თუ მოთამაშე ბურთის სწორად შემოგდებისას განზრახ ესვრის ბურთს მეტოქეს მისი კვლავ დაუფლების მიზნით და ამასთან არ მოქმედებს გაუფრთხილებლად, გაუაზრებლად ან გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით, მსაჯი გააგრძელებს თამაშს.

ბურთის შემომგდები მოთამაშე არ უნდა შეეხოს ბურთს ხელმეორედ, ვიდრე მას არ შეეხება სხვა რომელიმე მოთამაშე.

2. დარღვევები და სანქციები

თუ ბურთის თამაშში შესვლის შემდეგ ბურთის შემომგდები მოთამაშე კვლავ შეეხება ბურთს, ვიდრე ის შეეხო სხვა რომელიმე მოთამაშეს, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა; თუ ბურთის შემომგდები მოთამაშე განზრახ ითამაშებს ხელით ბურთზე:

- დაინიშნება საჯარიმო დარტყმა
- თუ დარღვევა მოხდა შემომგდების საკუთარ საჯარიმო მოედანში, დაინიშნება 11 მ დარტყმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამცველი გუნდის მეკარე ეხება ბურთს ხელით, რა შემთხვევაშიც დაინიშნება თავისუფალი დარტყმა

თუ მეტოქე არასპორტული ხერხით ყურადღებას უფანტავს ან ხელს უშლის შემომგდებს (მათ შორის, ბურთის შემოგდების ადგილთან 2 მ (2 იარდი) ნაკლებ მანძილზე მიახლოებით), იგი იქნება გაფრთხილებული არასპორტული საქციელისთვის და თუ ბურთის შემოგდება შესრულდა, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა.

ამ წესის ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის ბურთის შემოგდებას შეასრულებს მეტოქე გუნდის მოთამაშე.

IFAB®

IFAB®

LAW 16

კარიდან დარტყმა

კარიდან დარტყმა ინიშნება, როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს მიწაზე ან ჰაერში, იმ პირობით, რომ მას ბოლოს შეეხო შემტევი გუნდის მოთამაშე და გოლი არ არის გატანილი.

უშუალოდ კარიდან დარტყმიდან გოლი შეიძლება გატანილი იქნეს, მაგრამ მხოლოდ მეტოქე გუნდის კარში; თუ ბურთი უშუალოდ კარიდან დარტყმიდან გადის დამრტყმელის საკუთარ კარში, ინიშნება კუთხური დარტყმა, თუ ბურთმა მანამდე დატოვა საჯარიმო მოედანი.

1. პროცედურა

- ბურთი უნდა იყოს უძრავი და უნდა დაირტყას დამცველი გუნდის მოთამაშის მიერ კარის მოედნის ნებისმიერი წერტილიდან
- ბურთი თამაშშია, როდესაც ის დატოვებს საჯარიმო მოედანს
- მეტოქეები უნდა იყვნენ საჯარიმო მოედნის გარეთ, ვიდრე ბურთი შევა თამაშში

2. დარღვევები და სანქციები

თუ ბურთი არ დატოვებს საჯარიმო მოედანს ან მას შეეხება მოთამაშე მანამ, ვიდრე ის დატოვებს საჯარიმო მოედანს, დარტყმა მეორდება.

თუ ბურთის თამაშში შესვლის შემდეგ დამრტყმელი ხელმეორედ ეხება ბურთს, ვიდრე მას შეეხო სხვა რომელიმე მოთამაშე, ინიშნება თავისუფალი დარტყმა; თუ დამრტყმელი განზრახ შეეხება ბურთს ხელით:

- დაინიშნება საჯარიმო დარტყმა
- თუ დარღვევა მოხდა დამრტყმელის საკუთარ საჯარიმო მოედანში, დაინიშნება 11 მ დარტყმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამრტყმელი არის მეკარე, რა შემთხვევაშიც დაინიშნება თავისუფალი დარტყმა

თუ კარიდან დარტყმის შესრულებისას საჯარიმო მოედანში მყოფი მეტოქე ეხება ბურთს ან იბრძვის ბურთისთვის, ვიდრე ის შეეხება სხვა რომელიმე მოთამაშეს, კარიდან დარტყმა მეორდება.

თუ ბურთის თამაშში შესვლამდე მოთამაშე შედის საჯარიმო მოედანში და არღვევს წესს ან მის წინააღმდეგ არღვევენ წესს, კარიდან დარტყმა მეორდება და დამნაშავე შესაძლოა იქნას გაფრთხილებული ან გაძევებული დარღვევის სიმძიმის შესაბამისად.

ამ წესის ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის კარიდან დარტყმა მეორდება.

IFAB®
FIFA

IFAB®

LAW 17

კუთხური დარტყმა

კუთხური დარტყმა ინიშნება, როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს მიწაზე ან ჰაერში, იმ პირობით, რომ მას ბოლოს შეეხო დამცველი გუნდის მოთამაშე და გოლი არ არის გატანილი.

უშუალოდ კუთხური დარტყმიდან გოლი შეიძლება გატანილი იქნეს, მაგრამ მხოლოდ მეტოქე გუნდის კარში; თუ ბურთი უშუალოდ კარიდან დარტყმის შემდეგ გადის დამრტყმელის საკუთარ კარში, ინიშნება კუთხური დარტყმა მეტოქეების სასარგებლოდ.

1. პროცედურა

- ბურთი უნდა მოთავსდეს კუთხური რკალით შემოსაზღვრულ ზონაში
- ბურთი უნდა იყოს უძრავი და დარტყმა უნდა შეასრულოს შემტევი გუნდის მოთამაშემ
- ბურთი თამაშშია, როდესაც მასზე მოხდა დარტყმა და გარკვევით მოძრაობს; არ არის აუცილებელი, რომ მან დატოვოს კუთხური ზონა
- კუთხური ალმის ფლაგშტოკი არ უნდა იქნეს გადაადგილებული
- მეტოქეები ბურთის თამაშში შესვლამდე უნდა დარჩნენ არანაკლებ 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე კუთხური რკალიდან

2. დარღვევები და სანქციები

თუ ბურთის თამაშში შესვლის შემდეგ დარტყმის შემსრულებელი მოთამაშე განმეორებით ეხება ბურთს, ვიდრე მას შეეხო სხვა რომელიმე მოთამაშე, ინიშნება თავისუფალი დარტყმა; თუ დამრტყმელი განზრახ შეეხება ბურთს ხელით:

- დაინიშნება საჯარიმო დარტყმა
- თუ დარღვევა მოხდა დამრტყმელის საკუთარ საჯარიმო მოედანში, დაინიშნება 11 მ დარტყმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამრტყმელი არის მეკარე, რა შემთხვევაშიც დაინიშნება თავისუფალი დარტყმა

თუ მოთამაშე კუთხური დარტყმის სწორად შესრულებისას განზრახ მოარტყამს ბურთს მეტოქეს, მისი კვლავ დაუფლების მიზნით და ამასთან არ მოქმედებს გაუფრთხილებლად, გაუაზრებლად ან გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით, მსაჯი გააგრძელებს თამაშს.

ამ წესის ნებისმიერი სხვა დარღვევისთვის კარიდან დარტყმა მეორდება.

IFAB®
FIFA
ASSISTANT
REFEREE
FIFA
2015

IFAB®

ცვლილებები წესებში

2016/17

წესებში ცვლილებების ზოგადი მონახაზი

ქვემოთ მოყვანილია წესებში ცვლილებების/დაზუსტებების მარტივი მონახაზი.

წესი 01 – სათამაშო მოედანი

- ხელოვნური და ბუნებრივი საფარის კომბინირება სათამაშო მოედანზე არ შეიძლება
- შეჯიბრების დებულებამ საკუთარი შეჯიბრებისთვის შეიძლება განსაზღვროს მოედნის ზომები (წესების ფარგლებში)
- მიწაზე განთავსებული ყველა კომერციული რეკლამა უნდა იყოს არანაკლებ 1 მ (1 იარდი) მანძილზე შემომსაზღვრელი ხაზებიდან
- საფეხბურთო ასოციაციების, შეჯიბრებების და ა.შ. ლოგოების/ემბლემების განთავსება დაშვებულია კუთხურის ალმებზე (არა რეკლამა)

წესი 02 – ბურთი

ცვლილება არ არის

წესი 03 – მოთამაშეები (ახალი სათაური)

- მატჩი არ შეიძლება დაიწყოს/გაგრძელდეს, თუ გუნდს ჰყავს 7-ზე ნაკლები მოთამაშე
- სათადარიგო მოთამაშეს შეუძლია განაახლოს თამაში, მაგრამ პირველ რიგში უნდა შეაბიჯოს მოედანზე
- აზუსტებს სიტუაციას, როდესაც მოთამაშე გაძევებულია საწყის დარტყმამდე ან მის შემდეგ
- საჯარიმო დარტყმა (ან 11 მ დარტყმა), თუ სათადარიგო/გუნდის ოფიციალური პირი ერევა თამაშში
- თუ რაიმე/ვინმე (მოთამაშის გარდა) ეხება ბურთს და ის გადის კარში, მსაჯს შეუძლია გოლის ჩათვლა, იმ პირობით, რომ ბურთზე შეხებამ არ შეუშალა ხელი მცველებს
- თუ გოლი გატანილია მოედანზე ზედმეტი პირების ყოფნისას და მსაჯმა განაახლა თამაში, გოლი ითვლება და მატჩი გრძელდება

წესი 04 – მოთამაშეთა ეკიპირება

- ნებისმიერი სახვევი ან სხვა მასალა გამაშზე ან გამაშის დასაფარად უნდა იყოს გამაშის ფერის
- მოთამაშეს, რომელიც შემთხვევით კარგავს ფეხსაცმელს/წვივსაფარს, შეუძლია თამაშის გაგრძელება მატჩის შემდგომ გაჩერებამდე
- ქვედა საცვალი/ტრიკო უნდა იყოს შორტის ან მისი ყველაზე ქვედა ნაწილის ფერის; გუნდმა უნდა ჩაიცვას ერთი ფერის ფორმა
- ელექტრონული კომუნიკაცია სათადარიგოებთან აკრძალულია
- თამაშის მიმდინარეობისას მოთამაშეს შეუძლია მოედანზე დაბრუნება ეკიპირების შეცვლის/მოწესრიგების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ეკიპირება შემოწმდა (მსაჯის, სარეზერვო მსაჯის ან მსაჯის ასისტენტის მიერ) და მსაჯი აძლევს სიგნალს

წესი 05 – მსაჯი

- გადაწყვეტილება არ შეიძლება შეიცვალოს, თუ თამაში განახლდა ან მსაჯმა დატოვა სათამაშო მოედანი (პირველი ნახევარი+სრული მატჩი)
- თუ ერთდროულად რამოდენიმე დარღვევა მოხდა, დაისჯება მათგან ყველაზე სერიოზული
- მსაჯს შეუძლია მოთამაშის გაძევება მატჩის წინ სათამაშო მოედნის შემოწმების მომენტიდან
- მსაჯს შეუძლია ყვითელი და წითელი ბარათების გამოყენება მხოლოდ მატჩის დასაწყისში მოედანზე შესვლის მომენტიდან
- მეტოქის წითელი/ყვითელი ბარათით დასჯის შემთხვევაში შესაძლებელია დაშავებული მოთამაშის სწრაფი შემოწმება/მკურნალობა მოედანზე და მოედანზე დარჩენა
- ეკიპირება, რომლის გამოყენება შეუძლია მსაჯს ან რომლის გამოყენების უფლება შეიძლება მიეცეს მას
- მოყვანილია მსაჯის სიგნალების დიაგრამები (სახელმძღვანელო სექციიდან)

წესი 06 – მატჩის სხვა ოფიციალური პირები (ახალი სათაური)

- უფრო მეტი დეტალები ასისტენტების, მსაჯის დამატებითი ასისტენტების და სარეზერვო მსაჯების მოვალეობების შესახებ
- თანდართულია მსაჯის ასისტენტების სიგნალების დიაგრამები (სახელმძღვანელო სექციიდან)

წესი 07 – მატჩის ხანგრძლივობა

- უფრო მეტი მიზეზები დროის დასამატებლად (მაგ.: პაუზები სითხის დასალევად სამედიცინო მიზნით)

წესი 08 – თამაშის დაწყება და განახლება

- მოყვანილია თამაშის ყველანაირი განახლება (მანამდე მხოლოდ საწყისი დარტყმა და „სადავო ბურთის“ გდება იყო ნახსენები)
- ბურთზე ფეხის დარტყმით თამაშის ყველა განახლებისას ბურთი თამაშში რომ შევიდეს, იგი თვალნათლივ უნდა მოძრაობდეს
- საწყისი დარტყმისას ბურთის დარტყმა შეიძლება ნებისმიერი მიმართულებით (მანამდე მხოლოდ წინ უნდა ემოძრავა)
- მსაჯს არ შეუძლია ბურთის გდების შედეგის „ფაბრიკაცია“

წესი 09 – ბურთი თამაშში და თამაშის გარეთ

- თუ ბურთი აისხლიტება მატჩის ოფიციალური პირისაგან, ის თამაშშია, თუ მთლიანად არ გადაკვეთა შემომსაზღვრელი ხაზი

წესი 10 – მატჩის შედეგის განსაზღვრა (ახალი სათაური)

დარტყმები 11 მ ნიშნულიდან:

- მსაჯი ჩაატარებს კენჭისყრას კარის ასარჩევად (ამინდის, უსაფრთხოების და ა.შ. გათვალისწინებით)
- საფინალო სასტვენისას სათამაშო მოედნის გარეთ დროებით მყოფ მოთამაშეს (მაგ.: დაშავებული) შეუძლია მიიღოს მონაწილეობა დარტყმებში
- დარტყმებამდე და დარტყმების დროს ორივე გუნდს უნდა ჰყავდეს მოთამაშეთა ერთი და იგივე რაოდენობა
- იმის ნათელი განმარტება, თუ როდის დასრულდა დარტყმა
- დარტყმები არ გადაიდება,თუ მოთამაშე გადის მოედნიდან; თუ არ დაბრუნდება დროულად, დარტყმა ანულირდება

წესი 11 – თამაშგარე

- შუა ხაზი „ნეიტრალურია“ თამაშგარისთვის; მოთამაშე უნდა იყოს მეტოქის ნახევარზე
- თამაშგარე პოზიციის განსაზღვრისას მოთამაშის (მათ შორის მეკარის) ხელები არ განიხილება
- თავისუფალი დარტყმა თამაშგარისთვის ყოველთვის სრულდება დარღვევის ადგილიდან (თუნდაც მოედნის საკუთარი ნახევრიდან)
- მოედნის გარეთ მყოფი მცველი „აქტიურია“, ვიდრე დამცველი გუნდი არ გამოიტანს ბურთს საჯარიმოდან ან თამაში არ გაჩერდება
- იგივეა მოედანზე დაბრუნებული თავდამსხმელისათვის, როგორც ზემოთ; შესვლის ადგილი, რომელიც მოთამაშეს ჰქონდა დაბრუნებამდე, ითვლება თამაშგარე მდგომარეობად

წესი 12 – წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი

- წესების დარღვევა კონტაქტით არის საჯარიმო დარტყმა
- უპირატესობა წითელი ბარათისას - თავისუფალი დარტყმა, თუ მოთამაშე შემდეგ ჩაერია თამაშში
- ტექსტის ცვლილება ხელით თამაშისთვის; ყველა ხელით თამაში არ არის ყვითელი ბარათი
- გარკვეული დარღვევები გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევისას ისჯება ყვითელი ბარათით
- ძალადობრივი ქმედების მცდელობა არის წითელი ბარათი, თუნდაც კონტაქტის არ არსებობისას
- თავში/სახეში ხელის დარტყმა, როდესაც არ არის ბრძოლა მეტოქესთან, არის წითელი ბარათი (თუ დარტყმა არ არის უმნიშვნელო)
- სათადარიგოს, გუნდის ოფიციალური პირის, მატჩის ოფიციალური პირის და ა.შ. წინააღმდეგ დარღვევა ამიერიდან არის საჯარიმო დარტყმა
- დარღვევა მოედნის გარეთ ისჯება საჯარიმო დარტყმით შემომსაზღვრელი ხაზიდან (11 მ დარტყმა საკუთარ საჯარიმო მოედანში)

წესი 13 – საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები

- განსხვავება საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმის „დაყოვნებასა“ და ბურთის „ჩაჭრას“ შორის დარტყმის შესრულების შემდეგ

წესი 14 – 11 მ დარტყმა

- თავისუფალი დარტყმა + ყვითელი ბარათი, თუ არაიდენტიფიცირებული მოთამაშე ასრულებს 11 მ დარტყმას
- თავისუფალი დარტყმა, თუ ბურთს დაარტყამენ უკან
- ყოველთვის დაინიშნება თავისუფალი დარტყმა (ყვითელი ბარათი), თუ ადგილი აქვს „არალეგალურ“ ცრუ მოძრაობებს
- ყვითელი ბარათი და 11 მ დარტყმის გამეორება, თუ არღვევს მეკარე

წესი 15 – ბურთის შემოგდება

- ახალი ტექსტით ნათელია, რომ ბურთი უნდა ისროლონ ორივე ხელით

წესი 16– კარიდან დარტყმა

- თუ კარიდან დარტყმისას ბურთი გადის საკუთარ კარში, ინიშნება კუთხური დარტყმა მეტოქის სასარგებლოდ
- კარიდან დარტყმის შესრულების შემდეგ საჯარიმო მოედანში მყოფ მეტოქეს არ შეუძლია ბურთზე პირველმა ითამაშოს

წესი 17 – კუთხური დარტყმა

- თუ კუთხური დარტყმისას ბურთი გადის საკუთარ კარში, ინიშნება კუთხური დარტყმა მეტოქის სასარგებლოდ

IFAB
HANDSHA
FOR PEACE

წესებში ყველა ცვლილების დეტალი

(წესების თანმიმდევრობით)

ქვემოთ მოყვანილი მთავარი ცვლილებები წესებში არ ეხება ინგლისურს/ფრაზეოლოგიას. ყოველი ცვლილებისთვის მოყვანილია ძველი ტექსტი (სადაც შესაძლებელია) და ახალი/შეცვლილი/დამატებული ტექსტი ცვლილების განმარტებით.

„ძველ ტექსტში“ მოყვანილი ტექსტი შესაძლოა იყოს ზუსტად ძველი ან ძველი ტექსტის მნიშვნელობის ზოგადი მონახაზი.

წესი 01 – სათამაშო მოედანი

01.1 ხელოვნური და ბუნებრივი საფარი არ შეიძლება იყოს შერეული

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
შეჯიბრების ჩატარების წესების შესაბამისად მატჩები შეიძლება გაიმართოს ბუნებრივ ან ხელოვნურ საფარზე.	სათამაშო მოედანი უნდა იყოს მთლიანად ბუნებრივი, ან, თუ შეჯიბრების დებულება ნებას რთავს, მთლიანად ხელოვნური სათამაშო საფარის, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შეჯიბრების დებულებით, ნებადართულია ხელოვნური და ბუნებრივი მასალების (ჰიბრიდული სისტემა) შეთავსებული კომბინაცია.

განმარტება

აზუსტებს, რომ უსაფრთხოების მიზეზებით, სათამაშო მოედანზე ბუნებრივი და ხელოვნური საფარების შერევა არ არის ნებადართული. განსხვავებული საფარი ნებადართულია მოედნის მიმდებარე ზონებში, მაგალითად მსაჯის ასისტენტის მოქმედების ზონაში. ბუნებრივი და ხელოვნური მასალების შეთავსებული ნარევი ნებადართულია.

01.2 შეჯიბრებებმა შეიძლება განსაზღვრონ შემომსაზღვრელი ხაზების სიგრძე (1 წესის პარამეტრების ფარგლებში)

დამატებული ტექსტი

შეჯიბრების ჩამტარებელმა შეიძლება განსაზღვროს გვერდითი და კარის ხაზის სიგრძე ზემოთ აღნიშნულ ფარგლებში.

განმარტება

აზუსტებს, რომ შეჯიბრებებს გააჩნიათ უფლებამოსილება საკუთარ მატჩებში და 1 წესით მოცემული ზომების ფარგლებში განსაზღვრონ გვერდითი და კარის ხაზის სიგრძე.

01.3 ტექნიკური ზონა

განმარტება

ინფორმაცია ტექნიკურ ზონაზე გადმოტანილია წესების სექციის ბოლოდან

01.4 კარის ხაზის ტექნოლოგია (GLT)

განმარტება

ინფორმაცია GLT-ს შესახებ გადმოტანილია მე-10 წესიდან

01.5 კომერციული რეკლამა მიწაზე

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
დაუშვებელია ნებისმიერი სახის კომერციული რეკლამის - რეალურის ან ვირტუალურის - განთავსება სათამაშო მოედანზე, მიწის ზედაპირზე კარის ბადით შემოსაზღვრულ ზონაში, ტექნიკურ ზონაში ან მიწის ზედაპირზე 1 მ-ზე (1 იარდი) უფრო ახლოს სათამაშო მოედნის გვერდითი ხაზიდან, გუნდების მოედანზე გასვლის მომენტიდან ...	დაუშვებელია ნებისმიერი სახის კომერციული რეკლამის - რეალურის ან ვირტუალურის - განთავსება სათამაშო მოედანზე, მიწის ზედაპირზე კარის ბადით შემოსაზღვრულ ზონაში, ტექნიკურ ზონაში ან მიწის ზედაპირზე 1 მ-ზე (1 იარდი) უფრო ახლოს სათამაშო მოედნის შემომსაზღვრელი ხაზებიდან, გუნდების მოედანზე გასვლის მომენტიდან (...)

განმარტება

აზუსტებს, რომ კომერციული რეკლამის მიწაზე განთავსების შეზღუდვები ეხება როგორც გვერდითი ხაზის, ასევე კარის ხაზის უკან მდებარე ზონებს.

01.6 ლოგოტიპები და ემბლემები კუთხურის ალმებზე	
ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
სათამაშო დროის განმავლობაში აკრძალულია FIFA-ს, კონფედერაციების, წევრი ასოციაციების, ლიგების, კლუბების ან მათი ორგანოების წამომადგენლობითი ლოგოტიპების ან ემბლემების - რეალურის ან ვირტუალურის - კოპირება სათამაშო მოედანზე, კარის ბადეებზე და მათ მიერ შემოსაზღვრულ ზონაში, კარზე და კუთხურის ალმების ფლაგშტოკებზე.	სათამაშო დროის განმავლობაში აკრძალულია FIFA-ს, კონფედერაციების, ეროვნული საფეხბურთო ასოციაციების, შეჯიბრებების, კლუბების ან მათი ორგანოების წამომადგენლობითი ლოგოტიპების ან ემბლემების - რეალურის ან ვირტუალურის - კოპირება სათამაშო მოედანზე, კარის ბადეებზე და მათ მიერ შემოსაზღვრულ ზონაში, კარზე და კუთხურის ალმების ფლაგშტოკებზე. ისინი ნებადართულია კუთხურის ალმებზე.
განმარტება	

- **წევრი ასოციაცია** ჩანაცვებულია **ეროვნული საფეხბურთო ასოციაციით**
- **ლიგები** ჩანაცვლებულია **შეჯიბრებებით**, ვინაიდან თასის შეჯიბრებები არ

არის მოცული მიმდინარე ტექსტით.

- ეს ლოგოტიპები უკვე ფართოდ არის გამოყენებული და ალმებზე მათი

განთავსების ნების დართვა შესაბამისობაშია მე-2 წესთან, რომელიც ნებას რთავს მათ განთავსებას ბურთზე

წესი 02 – ბურთი

ცვლილება არ არის

წესი 03 – მოთამაშეები

03.1 სათაურის ცვლილება	
ძველი სათაური	ახალი სათაური
მოთამაშეთა რაოდენობა	მოთამაშეები
განმარტება	

ახალი სათაური ასახავს იმას, რომ შინაარსი შეიცავს მინიშნებას სათადარიგოებზე და ა.შ.

03.2 მოთამაშეთა მინიმალური რაოდენობა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მატჩი არ შეიძლება დაიწყოს, თუ რომელიმე გუნდში შვიდ მოთამაშეზე ნაკლებია. (…) მიუხედავად იმისა, რომ მატჩი არ შეიძლება დაიწყოს, თუ გუნდში მოთამაშეთა რაოდენობა შვიდზე ნაკლებია, მატჩის გაგრძელებისთვის აუცილებელი მოთამაშეთა მინიმალური რაოდენობის დადგენა არის ეროვნული ასოციაციების გადასაწყვეტი. თუმცა, საერთაშორისო საბჭოს აზრით, თამაში არ უნდა გაგრძელდეს, თუ რომელიმე გუნდში არის შვიდზე ნაკლები მოთამაშე.	მატჩი არ შეიძლება დაიწყოს ან გაგრძელდეს, თუ რომელიმე გუნდში შვიდ მოთამაშეზე ნაკლებია.

განმარტება

IFAB-ის რეკომენდაცია მატჩის გასაგრძელებლად საჭირო მოთამაშეთა მინიმალური რაოდენობის შესახებ უკვე წარმოადგენს წესს. ეს შესაბამისობაშია მატჩის დასაწყებად საჭირო მინიმუმთან.

03.3 განახლებები სათადარიგოების მიერ

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
სათადარიგო მოთამაშე ვერ განაახლებს თამაშს ბურთის შემოგდებით ან კუთხური დარტყმით, თუ არ დაასრულებს შეცვლის პროცედურას მოედანზე ფეხის დაბიჯებით	სათადარიგოებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თამაშის განახლებაში, იმ პირობით, რომ პირველ რიგში შევლენ სათამაშო მოედანზე.

განმარტება

აზუსტებს, რომ სათადარიგოს, რომელიც შეაბიჯებს სათამაშო მოედანზე, შეუძლია შემდეგ განაახლოს თამაში, მათ შორის კუთხური დარტყმით ან ბურთის შემოგდებით; ზოგიერთი მცდარად ახდენს „ძველი“ ტექსტის ინტერპრეტირებას, როგორც ჯერ თამაშის განახლების აუცილებლობას სათადარიგოს მიერ თამაშის განახლებამდე.

03.4 განაცხადში შეყვანილი სათადარიგო იწყებს მატჩს განაცხადში შეყვანილი მოთამაშის ნაცვლად	
ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თუ განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშე მატჩის დასაწყისში შედის სათამაშო მოედანზე განაცხადში შეყვანილი მოთამაშის ნაცვლად და მსაჯი არ არის ინფორმირებული ამ ცვლილების შესახებ: მსაჯი თამაშის გაგრძელების ნებას დართავს განაცხადში შეყვანილ სათადარიგო მოთამაშეს (...)	თუ განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშე იწყებს მატჩს განაცხადში შეყვანილი მოთამაშის ნაცვლად და მსაჯი არ არის ინფორმირებული ამ ცვლილების შესახებ: მსაჯი თამაშის გაგრძელების ნებას დართავს განაცხადში შეყვანილ სათადარიგო მოთამაშეს (...)
განმარტება	
აზუსტებს, რომ თუ განაცხადში შეყვანილი მოთამაშე „ჩანაცვლებულია“ სათადარიგოთი მატჩამდე, მოთამაშე შეიძლება იყოს სათადარიგო ადგილზე მისვლისას. უფრო ლოგიკურია, რომ ეს ძალაში შედის მატჩის დაწყებისას, ვიდრე მაშინ, როდესაც სათადარიგო შედის მოედანზე.	

03.5 ზედმეტი პირები სათამაშო მოედანზე - გაძევებული მოთამაშის სტატუსი	
ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის შეყვანილი გუნდის განაცხადში როგორც მოთამაშე, სათადარიგო მოთამაშე ან ოფიციალურიპირი, ითვლება გარეშე პირად, ისევე როგორც მოთამაშე, რომელიც გაძევებული იყო.	ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის შეყვანილი გუნდის განაცხადში როგორც მოთამაშე, სათადარიგო ან გუნდის ოფიციალური პირი, წარმოადგენს უცხო პირს.
განმარტება	
უფრო ლოგიკურია მოვეპყროთ გაძევებულ მოთამაშეს, როგორც სათადარიგოს, ამიტომ მოთამაშე, რომელიც ბრუნდება მოედანზე (რომელიც გაძევებული იყო) ისჯება საჯარიმო დარტყმით.	

03.6 სათადარიგოების და გუნდის ოფიციალური პირების მიერ ჩადენილი დარღვევები	
ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თუ სათადარიგო ან შეცვლილი მოთამაშე მოედანზე გამოდის მსაჯის ნებართვის გარეშე: • თუ მსაჯი აჩერებს თამაშს, ის განახლდება თავისუფალი დარტყმით (...)	თუ თამაში გაჩერებული იქნა და მასში ჩაერია: • გუნდის ოფიციალური პირი, სათადარიგო ან გაძევებული მოთამაშე, თამაში განახლდება საჯარიმო დარტყმით ან 11 მ დარტყმით

თუ გუნდის ოფიციალური პირი შევა სათამაშო მოედანზე: • თუ მსაჯი აშერებს მატჩს, მან ის უნდა განაახლოს „სადავო ბურთით“ (...)	

განმარტება

მზარდი პრობლემაა სათადარიგოების/გუნდის ოფიციალური პირების შესვლა მოედანზე თამაშისთვის ან მეტოქისთვის ხელის შეშლის მიზნით, მაგალითად გოლის ჩაშლით. ეს აშკარად „არასამართლიანია“ და საჯარიმო დარტყმა (ან 11 მ დარტყმა, საკუთარი საჯარიმო მოედნის შემთხვევაში) უფრო შესაფერისია.

03.7 საწყის დარტყმამდე ან საწყისი დარტყმის შემდეგ გაძევებული მოთამაშე

დამატებული ტექსტი

მოთამაშე, რომელიც გაძევებულია:

- გუნდის განაცხადის წარდგენამდე, არ შეიძლება მოხვდეს გუნდის განაცხადში ნებისმიერი სტატუსით
- გუნდის განაცხადში შეყვანის შემდეგ და საწყის დარტყმამდე, შეიძლება ჩანაცვლებული იყოს განაცხადში შეყვანილი სათადარიგოთი, რომელიც თავის მხრივ არ შეიძლება ჩანაცვლებული იყოს; შეცვლების რაოდენობა, რომელიც შეიძლება გუნდმა გააკეთოს, არ მცირდება
- საწყისი დარტყმის შემდეგ, არ შეიძლება ჩანაცვლდეს

განმარტება

აზუსტებს, შეიძლება თუ არა გაძევებული მოთამაშის ჩანაცვლება.

03.8 სათადარიგოს/გუნდის ოფიციალური პირის/უცხო პირის მიერ კარში გამავალ ბურთზე შეხების გავლენა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ზემოთ 3.6 -ში გამოკვეთილ სიტუაციებში, მსაჯმა უნდა გააჩეროს თამაში, თუ „შემოჭრილი“ ხელს უშლის თამაშს ან ეხება ბურთს თუ გარეშე პირი შევა სათამაშო მოედანზე: • მსაჯმა უნდა შეაჩეროს თამაში (თუმცა არა დაუყოვნებლივ, თუ გარეშე პირი არ ახდენს ზეგავლენას თამაშზე)	თუ ნათელია, რომ ბურთი უნდა გავიდეს კარში და თამაშში ჩარევა ხელს არ უშლის დამცველ მოთამაშეს ითამაშოს ბურთზე, და თუ ბურთი გადის კარში, გოლი ითვლება (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი ჰქონდა ბურთზე კონტაქტს), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბურთი გადის მეტოქის კარში.

განმარტება

ეს ცვლილება „სამართლიანი თამაშის“ სულისკვეთებით ნიშნავს, რომ თუ ბურთის გაჩერების მცდელობა წარუმატებელია, მსაჯს შეუძლია ჩათვალოს გოლი (იხ. 3.9)

03.9 სათამაშო მოედანზე უცხო პირის ყოფნისას გატანილი გოლი

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თუ გოლის გატანის შემდეგ და თამაშის განახლებამდე მსაჯი მიხვდება,რომ გოლის გატანის მომენტში მოედანზე იმყოფებოდა ზედმეტი პირი: • მსაჯმა არ უნდა ჩათვალოს გოლი, თუ: › თუ ზედმეტი პირი იყო გარეშე პირი და იგი ზეგავლენას ახდენდა თამაშზე › ზედმეტი პირი იყო მოთამაშე, სათადარიგო, შეცვლილი მოთამაშე ან იმ გუნდის ოფიციალური პირი, რომელმაც გაიტანა გოლი	თუ გოლის გატანის შემდეგ და თამაშის განახლებამდე მსაჯი შეამჩნევს, რომ გოლის გატანის მომენტში სათამაშო მოედანზე იმყოფებოდა ზედმეტი პირი (პირები): • მსაჯმა არ უნდა ჩათვალოს გოლი, თუ ზედმეტი პირი იყო: › იმ გუნდის მოთამაშე, სათადარიგო, შეცვლილი მოთამაშე, გაძევებული მოთამაშე ან ოფიციალური პირი, რომელმაც გაიტანა გოლი › უცხო პირი, რომელიც ჩაერია თამაშში, გარდა იმ გოლისა, რომელიც გატანილი იქნა იმ გარემოებების შედეგად, რომლებიც აღწერილია ზემოთ, სექციაში „ზედმეტი პირები სათამაშო მოედანზე“ თამაში განახლდება კარიდან დარტყმით, კუთხური დარტყმით ან „სადავო ბურთით“. თუ გატანილი გოლის შემდეგ თამაში განახლდა და მსაჯი მიხვდება, რომ გოლის გატანის მომენტში სათამაშო მოედანზე იმყოფებოდა ზედმეტი პირი, გატანილი გოლი არ შეიძლება იყოს გაუქმებული. თუ ზედმეტი პირი ჯერ კიდევ იმყოფება სათამაშო მოედანზე, მსაჯმა უნდა: • გააჩეროს თამაში • უზრუნველყოს ზედმეტი პირის გაყვანა • გარემოებების შესაბამისად განაახლოს თამაში „სადავო ბურთით“ ან საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმით მსაჯმა უნდა მოახსენოს ინციდენტის შესახებ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს.

განმარტება

- მოიცავს 3.8-ში (ზემოთ) მოყვანილ პრინციპს
- აზუსტებს, თუ როგორ უნდა განახლდეს მატჩი, როდესაც გოლი გატანილია მოედანზე ზედმეტი პირის ყოფნისას და თამაში ჯერ არ განახლებულა
- აზუსტებს, რომ, როდესაც გოლი გატანილია მოედანზე ზედმეტი პირის ყოფნისას და თამაში განახლდა, მსაჯმა უნდა გააგრძელოს თამაში და არ შეუძლია გოლის გაუქმება ან გოლსა და ზედმეტი პირის აღმოჩენას შორის პერიოდის „ანულირება“

03.10 შენიშვნა გუნდის კაპიტანზე (მე-12 წესიდან)

დამატებული ტექსტი

გუნდის კაპიტანს არ გააჩნია რაიმე სპეციალური სტატუსი და პრივილეგიები, მაგრამ გააჩნია გარკვეული ხარისხის პასუხისმგებლობა გუნდის ქცევაზე.

განმარტება

უფრო ლოგიკურია ეს წინადადება იყოს მე-3 წესში, ვიდრე მე-12 წესში

წესი 04 – მოთამაშეთა ჩაცმულობა

04.1 სახვევი/ მასალა ზემოდან/ გამაშის დასაფარად

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მოთამაშის სავალდებულო ჩაცმულობა განისაზღვრება შემდეგი ნივთებით..... • გამაშები - თუ გამაშზე ზემოდან დახვეულია წებოვანი სახვევი ან მსგავსი მასალა, ის უნდა იყოს გამაშის იმ ნაწილის ფერის, რაზეც არის დახვეული	• გამაშები – სახვევი ან რაიმე მასალა, რომელიც გამოყენებულია ან ჩაცმულია გამაშის ზემოდან, უნდა იყოს გამაშის იმ ნაწილის ფერი, რომელზეც არის გამოყენებული ან რომელსაც ფარავს

განმარტება

აზუსტებს, რომ მასალა, რომელიც არ წარმოადგენს სახვევს, უნდა იყოს გამაშის ფერის, ვინაიდან ზოგიერთი მოთამაშე იცვამს გამაშს წინდის გარეშე (ან მის მსგავსს), რომელიც ფერით განსხვავდება წინდისაგან.

04.2 ფეხსაცმლის ან წვივსაფარის დაკარგვა	
ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თუ მოთამაშე შემთხვევით კარგავს ფეხსაცმელს და მაშინვე თამაშობს ბურთზე და/ან გააქვს გოლი,.....გოლი ითვლება.	თუ მოთამაშე შემთხვევით კარგავს ფეხსაცმელს ან წვივსაფარს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩაიცვას ის და არაუგვიანეს იმ მომენტისა, როდესაც ბურთი გავა თამაშიდან; თუ ფეხსაცმელის ან წვივსაფარის გამოცვლამდე მოთამაშე თამაშობს ბურთზე და/ან გააქვს გოლი, გოლი ითვლება.
განმარტება	
უფრო ნათელია იმის მითითება, რომ ფეხსაცმელი სწრაფად უნდა გამოიცვალოს და არაუგვიანეს იმ მომენტისა, როდესაც ბურთი გადის თამაშიდან. ლოგიკურია ამ პრინციპის გამოყენება წვივსაფარებისთვის.	

04.3 საცვლების ფერები	
ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მოთამაშის სავალდებულო ჩაცმულობა განისაზღვრება შემდეგი ნივთებით: • პერანგი ან სახელოიანი მაისური - თუ გამოყენებულია მაისურის ქვეშ ჩასაცმელი, მისი სახელოების ფერი უნდა იყოს მაისურის სახელოების ძირითადი ფერის • შორტები - თუ გამოყენებულია შორტის ქვეშ ჩასაცმელი, ის უნდა იყოს შორტის ძირითადი ფერის	მოთამაშის სავალდებულო ეკიპირება განისაზღვრება შემდეგი ნივთებით: • მაისური სახელოებით • შორტი შიგა მაისური უნდა იყოს მაისურის სახელოს ძირითადი ფერის; შიგა შორტი/ტრიკო უნდა იყოს შორტის ძირითადი ფერის ან შორტის ყველაზე ქვედა ნაწილის ფერის - ერთი და იმავე გუნდის მოთამაშეებმა უნდა ჩაიცვან ერთნაირი ფერის ფორმები
განმარტება	
• **შიგა მაისური** ცვლის მაისურის **ქვეშ ჩასაცმელს/საცვლებს** • მწარმოებლები დღევანდელ დღეს ამზადებენ შორტებს სხვადასხვა ფერის მქონე ქვედა ნაწილით. წესის ცვლილება საშუალებას იძლევა, რომ შიგა შორტი/ტრიკო იყოს შორტის ან შორტის ქვედა ნაწილის ფერის, თუმცა გუნდის ყველა წევრმა უნდა ჩაიცვას ერთნაირი ფერის ფორმა.	

04.4 კეპი	
ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ნებადართულია დამცავი ეკიპირება, როგორიც არის თავსაბური, ნიღაბი, მუხლის ან მკლავის დამცავი, რომელიც სპორტული სათვალის მსგავსად ...	ნებადართულია დამცავი ეკიპირება, როგორიც არის თავსაბური, ნიღაბი, მუხლის ან მკლავის დამცავი, რომელიც მეკარის კეპის და სპორტული სათვალის მსგავსად ...
განმარტება	
შეიცავს მითითებას მეკარის „კეპზე“, ასე რომ, მისი გამოყენება ამიერიდან უკვე ნებადართულია წესებით.	

04.5 ელექტრონული კომინიკაცია მოთამაშეებთან (მათ შორის სათადარიგოებთან)	
ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ნებისმიერი სახის ელექტრონული კომუნიკაცია მოთამაშეებს და/ან ტექნიკურ პერსონალს შორის არ არის ნებადართული.	ნებისმიერი სახის ელექტრონული კომუნიკაცია მოთამაშეებს (მათ შორის, სათადარიგოებს/შეცვლილებს და გაძევებულ მოთამაშეებს) და/ან ტექნიკურ პერსონალს შორის არ არის ნებადართული.
განმარტება	
აზუსტებს, რომ ელექტრონული კომუნიკაცია სათადარიგოებთან არ არის ნებადართული.	

04.6 მოთამაშე ბრუნდება ეკიპირების გამოცვლის/მოწესრიგების შემდეგ	
ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ამ წესის ნებისმიერი დარღვევისთვის....: • ნებისმიერ მოთამაშეს, რომელმაც მსაჯის მოთხოვნით მოედანი დატოვა ფორმის წესრიგში მოსაყვანად, უფლება არა აქვს დაბრუნდეს მოედანზე მსაჯის ნებართვის გარეშე • ვიდრე მსაჯი მოედანზე დაბრუნების უფლებას მისცემს მოთამაშეს, იგი ამოწმებს მოთამაშის ეკიპირებას • მოთამაშეს შეუძლია დაბრუნდეს მოედანზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ბურთი გავა თამაშიდან	ეკიპირების წესრიგში მოსაყვანად ან გამოსაცვლელად სათამაშო მოედნიდან გასული მოთამაშის ეკიპირება უნდა: • შემოწმდეს მატჩის ოფიციალური პირის მიერ, მოედანზე დაბრუნების ნებართვის მიღებამდე • დაბრუნდეს მხოლოდ მსაჯის ნაბრთვით(რაც შესაძლოა მიცემული იყოს თამაშის მსვლელობისას)

განმარტება

წესში ნათლად არ იყო განმარტებული, შეუძლია თუ არა მოთამაშეს, რომელმაც გადაწყვიტა დატოვოს მოედანი (მაგ. ფეხსაცმლის გამოსაცვლელად), დაბრუნდეს მოედანზე თამაშის მიმდინარეობისას. ახალი ტექსტით ნებადართულია, რომ სარეზერვო მსაჯმა/მსაჯის ასისტენტმა შეამოწმოს ეკიპირება და მოედნის დატოვების მიზეზის მიუხედავად, მოთამაშე დაბრუნდება მოედანზე ისევე, როგორც ტრავმის შემდეგ. ეს უკეთესია თამაშისთვის და ამცირებს კონფლიქტის/გაღიზიანების რისკს.

წესი 05 – მსაჯი

05.1 მსაჯის გადაწყვეტილებები - მისი აზრი და შეხედულება

დამატებული ტექსტი

გადაწყვეტილებები მიღებული იქნება, თამაშის წესების და "თამაშის სულისკვეთების" შესაბამისად და დამყარებული იქნება მსაჯის შეხედულებაზე, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება განახორციელოს შესაბამისი ქმედებები თამაშის წესების ფარგლებში.

განმარტება

წესებში მუდმივად არის მითითება „მსაჯის აზრზე“ ან „მსაჯის შეხედულებაზე“, ასე რომ ეს წინადადება გვაცილებს „მსაჯის აზრით“/“მსაჯის შეხედულებით“ რეგულარულად გამოყენების საჭიროებას. ასევე წესებში გაჩნდა „თამაშის სულისკვეთების“ კონცეფცია.

05.2 მსაჯის გადაწყვეტილებები - როდის არ შეიძლება გადაწყვეტილებების შეცვლა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მსაჯს შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად მიხვდება საკუთარ შეცდომას, აგრეთვე მსაჯის ასისტენტის ან სათადარიგო მსაჯის რჩევის საფუძველზე, იმ პირობით, რომ მას ჯერ არ განუახლებია ან არ დაუმთავრებია მატჩი.	მსაჯს არ შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება, როდესაც მიხვდება, რომ ის მცდარია ან სხვა რომელიმე მატჩის ოფიციალური პირის რჩევის საფუძველზე, თუ თამაში უკვე განახლებულია ან მსაჯმა მისცა თამაშის პირველი ან მეორე ტაიმის დამთავრების ნიშანი (დამატებითი დროის ჩათვლით) და დატოვა სათამაშო მოედანი ან შეწყვიტა მატჩი.

განმარტება

აზუსტებს, რომ მას შემდეგ, რაც მსაჯმა მისცა ტაიმის დასრულების სიგნალი და დატოვა მოედანი, გადაწყვეტილების შეცვლა არ შეიძლება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინფორმაცია ცნობილი გახდა, მაგ. შესვენების დროს.

05.3 ერთდროულად ჩადენილი რამდენიმე დარღვევა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
• დასჯის უფრო სერიოზულ დარღვევას, როდესაც მოთამაშე (ან ერთი გუნდის მოთამაშეები) ერთდროულად ჩაიდენენ ერთზე მეტ დარღვევას • დარღვევები, რომლებიც ჩადენილია სხვადასხვა გუნდის მოთამაშეების მიერ: მსაჯმა უნდა გააჩეროს თამაში და განაახლოს ის „სადავო ბურთით“	• როდესაც ერთდროულად ხდება ერთზე მეტი დარღვევა, დასჯის უფრო სერიოზულ დარღვევას - სადისციპლინო სანქციის, თამაშის განახლების, ფიზიკური სიმძიმის და ტაქტიკური ზეგავლენის გათვალისწინებით

განმარტება

არა აქვს მნიშვნელობა, ერთი თუ უფრო მეტი ან რომელი გუნდის მოთამაშეა დამრღვევი, უნდა დაისაჯოს უფრო სერიოზული დარღვევა. ასეთივე ცვლილება შეტანილია მე-14 წესში.

05.4 სადისციპლინო მოქმედების გატარების უფლებამოსილება მატჩის წინ მოედნის შემოწმებისას (იხ. 12.8)

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება მიიღოს სადისციპლინო სანქციები სათამაშო მოედანზე შესვლის მომენტიდან სათამაშო მოედნის დატოვებამდე საფინალო სასტვენის შემდეგ.	• მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება მიიღოს სადისციპლინო ზომა დაწყებული მატჩის წინ შემოწმებისთვის სათამაშო მოედანზე შესვლიდან, მატჩის დასრულების შემდეგ სათამაშო მოედნიდან გამოსვლამდე (მათ შორის 11 მ დარტყმების შემდეგ). თუ მატჩის დასაწყისში სათამაშო მოედანზე შესვლამდე მოთამაშე ჩაიდენს ისეთ დარღვევას, რომელიც იმსახურებს გაძევებას, მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება არ დაუშვას მოთამაშე მატჩში მონაწილეობის მისაღებად (იხ. წესი 3.6); მსაჯი მოახსენებს შესაბამის ორგანოებს ნებისმიერი სხვა არასათანადო საქციელის შესახებ

განმარტება

ახალი ტექსტი ზუსტად განსაზღვრავს, თუ როდის იწყება მსაჯის უფლებამოსილება გაატაროს სანქციები. მე-12 წესის ამჟამინდელი ტექსტი ასახავს იმ დროს, როდესაც არ არსებობდა მატჩის წინ მოთელვა, გუნდები არ გადიოდნენ მოედანზე ერთად და ა.შ. ლოგიკურია, რომ, თუ მაგალითად 2 მოთამაშე ჩხუბობს გვირაბში ან მატჩის წინ მოთელვისას, მათ არ შეიძლება მიეცეთ თამაშის უფლება, ვინაიდან ეს რისკის ქვეშ დააყენებს მატჩის კონტროლს და არ იქნება კარგი თამაშის იმიჯისათვის.

მოედნის შემოწმებისას მსაჯმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მოედნის დახაზვა შეცვლილია და ა.შ. ლოგიკურია, რომ ამ მომენტში იწყება მსაჯის უფლებამოსილება „გააძევოს“ მოთამაშე. დარღვევები, რომლებიც არ იმსახურებენ გაძევებას, იქნება მოხსენებული, ასე რომ ყვითელი ბარათი არ შეიძლება იქნეს ნაჩვენები მატჩამდე ან გადატანილი მატჩში. (იხ. ასევე 12.8).

05.5 ყვითელი და წითელი ბარათების ჩვენების უფლებამოსილება

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მსაჯს უფლება აქვს, შესვენების დროს უჩვენოს ყვითელი ან წითელი ბარათები, აგრეთვე - მატჩის დასრულებისას, ისევე როგორც დამატებითი დროის და პენალტების სერიის მიმდინარეობისას, ვინაიდან ამ დროის განმავლობაში მატჩი მისი იურისდიქციის ქვეშაა.	• მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება უჩვენოს ყვითელი ან წითელი ბარათები მატჩის დასაწყისში სათამაშო მოედანზე შესვლის მომენტიდან, მატჩის დასრულების შემდეგ სათამაშო მოედანზე ყოფნამდე. მათ შორის შესვენებისას, დამატებითი დროის მიმდინარეობისას და 11 მ ნიშნულიდან დარტყმების დროს

განმარტება

აზუსტებს (5.4-ის შესაბამისად), რომ მსაჯს შეუძლია წითელი და ყვითელი ბარათების გამოყენება მხოლოდ მატჩის დასაწყისში მოედანზე შესვლის მომენტიდან.

05.6 მოთამაშე შეიძლება სწრაფად შეამოწმონ/უმკურნალონ ყვითელი/წითელი ბარათით დასჯილი დარღვევის შემდეგ

ძველი ტექსტი

მსაჯი (...) აჩერებს თამაშს, თუ მისი აზრით მოთამაშე სერიოზულად არის ტრავმირებული და უზრუნველყოფს მოთამაშის გაყვანას სათამაშო მოედნიდან. ტრავმირებული მოთამაშის მკურნალობა მოედანზე არ შეიძლება და ის შეიძლება დაბრუნდეს მოედანზე მხოლოდ მატჩის განახლების შემდეგ (...)

ამ წესიდან გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მეკარეა დაშავებული

- მეკარე და მოთამაშე შეეჯახნენ ერთმანეთს და დაუყოვნებლივ საჭიროებენ ყურადღებას
- ერთი გუნდის მოთამაშეები შეეჯახნენ ერთმანეთს და დაუყოვნებლივ საჭიროებენ ყურადღებას
- მოხდა მძიმე ტრავმა

დამატებული ტექსტი

- მოთამაშე დაშავდა ფიზიკური დარღვევის გამო, რომლისთვისაც მეტოქე იყო გაფრთხილებული ან გაძევებული. (მაგალითად, გაუაზრებელი ან წესების სერიოზული დარღვევა), თუ მოთამაშის შემოწმება/მკურნალობა სწრაფად დასრულდა.

განმარტება

საყოველთაოდ მიჩნეულია არასამართლიანად, რომ მოთამაშე, რომელიც ტრავმირებულია სერიოზული დარღვევის გამო და მწვრთნელი/ექიმი შედის მოედანზე, იძულებულია დატოვოს მოედანი, რითაც დამრღვევი გუნდი იღებს რიცხობრივ უპირატესობას (იხ. პრაქტიკული სახელმძღვანელო).

05.7 უცხო პირის ზემოქმედება კარში გამავალ ბურთზე შეხებით

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ზედმეტი ბურთი სხვა ობიექტი ან ცხოველი შედის მოედანზე თამაშის მიმდინარეობისას მსაჯმა უნდა **• გააჩეროს თამაში მხოლოდ მაშინ, თუ ეს ზეგავლენას ახდენს თამაშზე. თამაში განახლდება „სადავო ბურთით“**	ზედმეტი ბურთი, სხვა საგანი ან ცხოველი შეაღწევს სათამაშო მოედანზე თამაშის მიმდინარეობისას, მსაჯმა უნდა: • გააჩეროს თამაში (და განაახლოს „სადავო ბურთით“), თუ ეს ხელს უშლის თამაშს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ნათელია, რომ ბურთი უნდა გავიდეს კარში და თამაშში ჩარევა ხელს არ უშლის დამცველ მოთამაშეს ითამაშოს ბურთზე, და თუ ბურთი გადის კარში, გოლი ითვლება (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი ჰქონდა ბურთზე კონტაქტს). გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბურთი გადის მეტოქის კარში

განმარტება

ამას მე-5 წესი შესაბამისობაში მოჰყავს მე-3 წესში ცვლილებასთან (იხ. 3.8).

05.8 მსაჯის ეკიპირება

დამატებული ტექსტი

სავალდებულო ეკიპირება:

- სასტვენი (სასტვენები)
- საათი (საათები)
- წითელი და ყვითელი ბარათები
- წიგნაკი (ან სხვა საშუალება მატჩის ფაქტების ჩასაწერად)

სხვა ეკიპირება

მსაჯს უფლება აქვს გამოიყენოს:

- სასიგნალო ალმები, ყურსასმენები და სხვა ეკიპირება მატჩის სხვა ოფიციალურ პირებთან კომუნიკაციისათვის
- EPTS ან სხვა მოწყობილობა ფიზიკური მდგომარეობის დაკვირვებისთვის

მსაჯებს და მატჩის სხვა ოფიციალურ პირებს ეკრძალებათ სამკაულების ან სხვა რომელიმე ელექტრონული მოწყობილობის ტარება.

განმარტება

გადმოტანილია მე-4 წესიდან; ტექსტი აზუსტებს, თუ რომელი ეკიპირების გამოყენება ან არ გამოყენება შეიძლება იყოს ნებადართული.

წესი 06 – მატჩის სხვა ოფიციალური პირები

06.1 სათაურის ცვლილება

ძველი სათაური	ახალი სათაური
მსაჯის ასისტენტები	მატჩის სხვა ოფიციალური პირები

განმარტება

ამიერიდან მატჩის ყველა სხვა ოფიციალური პირის (მსაჯის ასისტენტები, სარეზერვო მსაჯი, მსაჯის დამატებითი ასისტენტები და მსაჯის სარეზერვო ასისტენტი) მოვალეობები გათვალისწინებულია ამ წესში.

06.2 მსაჯის უფლებამოსილება მატჩის სხვა ოფიციალური პირების მიმართ

დამატებული ტექსტი

მატჩის ოფიციალური პირები მოქმედებენ მსაჯის ხელმძღვანელობით.

განმარტება

ხაზს უსვამს მსაჯის, როგორც ლიდერის როლს.

06.3 მატჩის სხვა ოფიციალური პირების დახმარება მსაჯისთვის

დამატებული ტექსტი

მატჩის ოფიციალური პირები ეხმარებიან მსაჯს სათამაშო მოედნის, ბურთებისა და მოთამაშეთა ეკიპირების შემოწმებისას. (მათ შორის, თუ პრობლემები მოგვარებული იქნა) და აწარმოებენ დროის, გოლების, უდისციპლინო საქციელის და სხვა ფაქტების ჩანაწერებს.

განმარტება

მსაჯისთვის დახმარების გაწევის შესახებ წინადადების ამ წესის დასაწყისში მოხსენიება თავიდან გვაცილებს მის მოხსენიებას იმ სექციებში, რომლებიც ეხება მატჩის დანარჩენ ოფიციალურ პირებს.

06.4 პროცედურა, როდესაც ოფიციალურ პირს არ შეუძლია მატჩის გაგრძელება

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
შეჯიბრების დაწყებამდე ორგანიზატორმა გასაგებად უნდა დაადგინოს, თუ ვინ შეასრულებს მსაჯის მოვალეობებს, როდესაც მსაჯს არ შეუძლია მატჩის გაგრძელება - სათადარიგო მსაჯი ან, თუ მსაჯის პირველი ასისტენტი ან მსაჯის პირველი დამატებითი ასისტენტი შეასრულებენ მსაჯის მოვალეობებს, სათადარიგო მსაჯი გახდება მსაჯის ასისტენტი	შეჯიბრების წესებმა გასაგებად უნდა დაადგინოს, თუ ვინ შეცვლის მატჩის ოფიციალურ პირს, როდესაც მას არ შეუძლია დაიწყოს ან გააგრძელოს მატჩი და ასევე ნებისმიერი ამასთან დაკავშირებული ყველა ცვლილება. განსაკუთრებით ნათელი უნდა იყოს, თუ ვინ შეცვლის მსაჯს, როდესაც მას არ შეუძლია გააგრძელოს მატჩი - სარეზერვო მსაჯი, მსაჯის პირველი ასისტენტი თუ მსაჯის პირველი დამატებითი ასისტენტი.

განმარტება

ტექსტი გამარტივებულია, ასე რომ არ არის საჭირო ყველანაირი სცენარის ჩამოთვლა.

06.5 სარეზერვო მსაჯის მოვალეობები

დამატებული ტექსტი

სარეზერვო მსაჯის დახმარება ასევე გულისხმობს:

- მოთამაშის/სათადარიგო მოთამაშის ეკიპირების შემოწმებას
- მატჩის ყოველი ტაიმის (მათ შორის დამატებითი დროის) ბოლოს

დამატებული დროის მინიმალური რაოდენობის ჩვენებას, რომელიც მსაჯს განზრახული აქვს ათამაშოს

განმარტება

დამატებული იქნა სარეზერვო მსაჯის მოვალეობები, რომელსაც ის როგორც წესი, ასრულებს.

წესი 07 – მატჩის ხანგრძლივობა

07.1 დამატებული დრო

დამატებული ტექსტი

მსაჯი ორივე ტაიმს უმატებს დროს, რაც დაიკარგა:

- შეცვლებზე
- მოთამაშეთა ტრავმების შეფასებასა და მათ გაყვანაზე სათამაშო მოედნიდან
- პაუზებისთვის სითხეების დასალევად ან სხვა სამედიცინო მიზეზების გამო, რაც დაშვებულია შეჯიბრების წესებით

განმარტება

დამატებული იქნა დამატებული დროის ამგვარი ხშირი შემთხვევები. მათ შორის, „შესვენებები სითხეების დასალევად“. ასე რომ, ეს უკვე დაკანონებულია წესებში.

წესი 08 – თამაშის დაწყება და განახლება

08.1 მითითება მატჩის ყველანაირ განახლებაზე

დამატებული ტექსტი

საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები, 11 მ დარტყმა, ბურთის შემოგდება, კარიდან დარტყმა და კუთხური დარტყმა არის თამაშის განახლების სხვა სახეები (იხ. წესები 13- დან 17 -მდე).

განმარტება

არალოგიკურია (განსაკუთრებით მათთვის, ვინც არ წარმოადგენენ მსაჯებს), რომ თამაშის განახლების შესახებ წესი იხსენიებს მხოლოდ საწყის დარტყმას და „სადავო ბურთს“, ამიტომ დამატებული იქნა მითითებები თამაშის განახლების სხვა სახეებზე.

08.2 დარღვევები, როდესაც ბურთი არ არის თამაშში დამატებული ტექსტი

დამატებული ტექსტი

თუ დარღვევა მოხდა იმ დროს, როდესაც ბურთი არ იმყოფებოდა თამაშში, თამაშის განახლების მეთოდი არ შეიცვლება.

განმარტება

აზუსტებს, რომ თამაშის განახლების მეთოდი არ შეიცვლება იმ ინციდენტებისას, როდესაც ბურთი არ არის თამაშში. მაგალითად, მეტოქის შეკავება კუთხური დარტყმის წინ; ძალადობრივი ქმედება საჯარიმო დარტყმის დანიშვნის შემდეგ და ა.შ.....

08.3 საწყისი დარტყმა: ბურთმა გარკვევით უნდა იმოძრაოს თამაშში რომ იყოს; მისი დარტყმა შეიძლება ნებისმიერი მიმართულებით

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
• ბურთი თამაშშია, როდესაც დარტყმის შემდეგ მოძრაობს წინ	• ბურთი თამაშშია, როდესაც დარტყმის შემდეგ გარკვევით მოძრაობს

განმარტება

საწყისი დარტყმისას ბურთის წინ მოძრაობის არ მოთხოვნა ნიშნავს იმას, რომ თავდამსხმელს ბურთის მისაღებად არ სჭირდება მეტოქის ნახევარზე ყოფნა (რაც არ არის ნებადართული). როგორც სხვა წესებისთვის, ბურთი გარკვევით უნდა მოძრაობდეს, რათა შეწყდეს ისეთი პრაქტიკა, როდესაც მოთამაშე უბრალოდ ეხება ბურთს და შემდეგ ამბობს (არასპორტულად), რომ დარტყმა არ შესრულებულა.

08.4 „სადავო ბურთის“ გდების ადგილი

დამატებული ტექსტი

მსაჯი დააგდებს ბურთს იმ ადგილას, სადაც იმყოფებოდა ის თამაშის გაჩერების მომენტში. თუ თამაში გაჩერდა იმ დროს, როდესაც ბურთი იყო კარის მოედანში, მაშინ მსაჯი დააგდებს ბურთს კარის მოედნის იმ ხაზზე, რომელიც კარის ხაზის პარალელურია და იმ ადგილას, რომელიც უახლოესია იმ ადგილთან, სადაც ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში იყო.

განმარტება

მკაფიო წინადადება, რომელიც გვაცილებს მიმდინარე წესებში მის მრავალჯერ მოხსენიების საჭიროებას.

08.5 მსაჯს არ შეუძლია „სადავო ბურთის“ გდებაში მონაწილეთა განსაზღვრა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მსაჯს არ შეუძლია „სადავო ბურთის“ გდებაში მონაწილეთა განსაზღვრა.	„სადავო ბურთის“ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მოთამაშეთა ნებისმიერ რაოდენობას (მათ შორის მეკარეებსაც); მსაჯს არ შეუძლია „სადავო ბურთის“ გდებაში მონაწილეთა ან მისი შედეგის განსაზღვრა.

განმარტება

აზუსტებს, რომ მსაჯმა არ უნდა „მართოს“ „სადავო ბურთის“ გდების სიტუაციები.

08.6 ბურთი „სადავო ბურთის“ გდებიდან უშუალოდ კარშია დარტყმული

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თუ ბურთი უშუალოდ გადის კარში (...)	თუ „სადავო ბურთის“ გდების შემდეგ ის გადის კარში ისე, რომ მას არ შეეხო სულ მცირე ორი მოთამაშე (...)

განმარტება

„უშუალოდ“ შეცვლილია „ისე რომ, მას არ შეეხო სულ მცირე 2 მოთამაშე“ -ით, რაც უფრო გასაგებია და შესაბამისობაშია ტექსტთან დანარჩენ წესებში.

წესი 09 - ბურთი თამაშში და თამაშის გარეთ

09.1 მატჩის ოფიციალური პირისგან ასხლეტილი ბურთი

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ბურთი თამაშშია ყველა სხვა შემთხვევაში, მათ შორის, როდესაც: • ის აისხლიტება ბოძისგან, ძელისგან ან კუთხური ფლაგშტოკისგან და რჩება სათამაშო მოედანში • ის აისხლიტება მსაჯისგან ან მსაჯის ასისტენტისგან, როდესაც ისინი იმყოფებიან სათამაშო მოედანში	ყველა სხვა დროს ბურთი თამაშშია, მათ შორის: როდესაც ის აისხლიტება მატჩის ოფიციალური პირისგან, კარის ბოძისგან, ძელისგან ან კუთხური ალმის ფლაგშტოკისგან და რჩება სათამაშო მოედანზე.

განმარტება

ცვლილება ადასტურებს, რომ ბურთი ჯერ კიდევ თამაშშია, თუ ის აისხლიტება ოფიციალური პირისგან, რომელიც იმყოფება სათამაშო მოედნის გარეთ (AR, AAR) და ბურთს მთლიანად არ გადაუკვეთავს კარის ან გვერდითი ხაზი.

წესი 10 – მატჩის შედეგის განსაზღვრა

10.1 სათაურის ცვლილება

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
გოლის გატანის მეთოდი	მატჩის შედეგის განსაზღვრა

განმარტება

დარტყმები 11 მ ნიშნულიდან, სტუმრად გატანილი გოლები და სხვა ჩართულია ამ წესში.

10.2.1 კარის შერჩევა დარტყმებისთვის 11 მ ნიშნულიდან

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მსაჯი ირჩევს კარს, რომელშიც შესრულდება დატყმები 11 მ ნიშნულიდან. საჯარიმო მოედანი, რომელშიც უნდა შესრულდეს დარტყმები 11 მ ნიშნულიდან, შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კარი ან სათამაშო ზედაპირი გახდება გამოუსადეგარი.	სხვა მოსაზრებების (მაგ.: საფარის მდგომარეობა, უსაფრთხოება და ა.შ.) არ არსებობის შემთხვევაში, მსაჯი ატარებს კენჭისყრას იმ კარის დასადგენად, რომელშიც შესრულდება დარტყმები, რაც შესაძლოა შეიცვალოს მხოლოდ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გამო ან, როდესაც კარი ან სათამაშო ზედაპირი გამოუსადეგარი გახდება.

განმარტება

მსაჯებისათვის რთულია კარის არჩევა ერთ მხარეს მასპინძელი გულშემატკივრების, ხოლო მეორე მხარეს სტუმარი გულშემატკივრების არსებობისას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირველ რიგში გასათვალისწინებელ მოსაზრებებს (უსაფრთხოება, მოედნის მდგომარეობა და ა.შ.), ყველაზე სამართლიანი მეთოდი კენჭისყრაა.

10.2.2 დარტყმის უფლების მქონე მოთამაშეები (მათ შორის დროებით მოედნის გარეთ მყოფები)

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ზემოთ აღნიშნული შემთხვევის გამოკლებით, 11 მ დარტყმების შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომლებიც მოედანზე იმყოფებიან თამაშის დამთავრებისას, შესაძლო დამატებითი დროის ჩათვლით	დაშავებული მეკარის შემცვლელი სათადარიგოს გამოკლებით, 11 მ დარტყმების შესრულება შეუძლიათ მხოლოდ მატჩის დამთავრებისას სათამაშო მოედანზე მყოფ ან დროებით (დაშავება, ეკიპირების მოწესრიგება და ა.შ.) სათამაშო მოედნის ფარგლებს გარეთ მყოფ მოთამაშეებს

განმარტება

აზუსტებს, რომ მოედნის გარეთ დროებით და ლეგიტიმურად (ტრავმა, ეკიპირების შეცვლა და ა.შ.) მყოფ მოთამაშეს შეუძლია მონაწილეობის მიღება, ისევე როგორც სათადარიგოს, რომელიც ცვლის მეკარეს.

10.2.3 დარტყმის შემსრულებლების სახელები და დარტყმების თანმიმდევრობა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ყოველი გუნდი პასუხისმგებელია მატჩის დამთავრებისას სათამაშო მოედანზე მყოფებიდან მოთამაშეების შერჩევასა და იმ თანმიმდევრობაზე, რომლითაც ისინი შეასრულებენ დარტყმებს.	ყოველი გუნდი პასუხისმგებელია იმ თანმიმდევრობის შერჩევაზე, რომლითაც დარტყმის უფლების მქონე მოთამაშეები შეასრულებენ დარტყმებს. მსაჯი არ არის ინფორმირებული თანმიმდევრობის შესახებ.

განმარტება

აზუსტებს, რომ არ არის საჭირო მსაჯს წარედგინოს დამრტყმელების გვარები და დარტყმების თანმიმდევრობა (ზოგიერთი არასწორად ითხოვს გვარებს და აჩერებს დარტყმებს თანმიმდევრობის ცვლილებისას).

10.2.4 მოთამაშეთა ერთნაირი რაოდენობა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
როდესაც გუნდი მატჩს ამთავრებს მოთამაშეთა მეტი რაოდენობით, ვიდრე მეტოქე, მან საკუთარ გუნდში უნდა შეამციროს მოთამაშეთა რაოდენობა, რათა გაუტოლდეს მოწინააღმდეგეს. გუნდის კაპიტანმა უნდა აცნობოს მსაჯს ყველა იმ მოთამაშის გვარი და ნომერი, რომელიც გამოყვანილი იქნება შემადგენლობიდან. თუ მოთამაშე ტრავმირებულია ან გაძევებულია დარტყმების შესრულებისას 11 მ ნიშნულიდან და გუნდს ჰყავს ერთით ნაკლები მოთამაშე, მსაჯმა არ უნდა შეამციროს მეორე გუნდში დარტყმის შემსრულებელი მოთამაშეების რაოდენობა. ორივე გუნდში მოთამაშეთა ტოლი რაოდენობა აუცილებელია მხოლოდ დარტყმების დასაწყისში 11 მ ნიშნულიდან.	თუ მატჩის დასრულებისას და დარტყმების წინ ან მიმდინარეობისას ერთ გუნდს ჰყავს მეტოქე გუნდზე მეტი მოთამაშე, მან საკუთარ გუნდში უნდა შეამციროს მოთამაშეთა რაოდენობა, რათა გაუტოლდეს მეტოქეს და მსაჯი ინფორმირებული უნდა იყოს გამოყვანილი მოთამაშეების სახელების და ნომრების შესახებ.

განმარტება

ეს „სამართლიანი თამაშის“ პრინციპი გამოიყენება დარტყმების დასაწყისში 11 მ ნიშნულიდან, ე.ი. ერთმა გუნდმა არ უნდა ისარგებლოს იმით, რომ უფრო ნაკლები დამრტყმელი ჰყავს, ვიდრე მეტოქეს. ვინაიდან ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ მათმა „საუკეთესო“ დამრტყმელმა შესაძლოა შეასრულოს მე-2 დარტყმა, როდესაც მეტოქის გუნდში დარტყმას შეასრულებს ბოლო/უარესი დამრტყმელი.

10.2.5 მეკარეს არ შეუძლია გაგრძელება

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მეკარე, რომელიც დაშავდა 11 მ ნიშნულიდან დარტყმების შესრულებისას და აღარ შეუძლია თამაშის გაგრძელება როგორც მეკარეს, შეიძლება შეიცვალოს განაცხადში შეყვანილი სათადარიგოთი. იმ პირობით, რომ მის გუნდს არ გამოუყენებია შეჯიბრების დებულებით დაშვებული შეცვლების მაქსიმალური რაოდენობა	მეკარე, რომელსაც არ შეუძლია გააგრძელოს დარტყმებში მონაწილეობის მიღება დარტყმების წინ ან მიმდინარეობისას და თუ მისმა გუნდმა არ გამოიყენა დაშვებული შეცვლების მაქსიმალური რაოდენობა, შეიძლება შეცვლილი იყოს განაცხადში შეყვანილი სათადარიგო მოთამაშით ან მოთამაშეთა რაოდენობის გასათანაბრებლად გამოყვანილი მოთამაშით, მაგრამ მეკარე ვეღარ მიიღებს მონაწილეობას დარტყმებში და ვეღარ შეასრულებს დარტყმას.

განმარტება

აზუსტებს, რომ ნებისმიერ დროს მეკარე შეიძლება შეცვლილი იქნეს სათადარიგოთი (ან რაოდენობის შესამცირებლად გამოყვანილი მოთამაშით), მაგრამ იგი ვერ შეასრულებს დარტყმას.

10.2.6 როდის არის დასრულებული 11 მ დარტყმა (იხ. 14.3)

დამატებული ტექსტი

დარტყმა ითვლება დასრულებულად, როდესაც ბურთი შეწყვეტს მოძრაობას, გავა თამაშიდან ან მსაჯი გააჩერებს თამაშს წესების რაიმე დარღვევისთვის.

განმარტება

აზუსტებს, თუ როდის უნდა გადაწყვიტოს მსაჯმა, რომ დარტყმა დასრულებულია (იხ. ასევე 14.3).

10.2.7 დამრტყმელების თანმიმდევრობა

დამატებული ტექსტი

- ყველა დარტყმა სრულდება სხვადასხვა მოთამაშის მიერ და დარტყმის უფლების მქონე ყველა მოთამაშემ უნდა შეასრულოს დარტყმა, ვიდრე რომელიმე მოთამაშე შეასრულებს მეორე დარტყმას
- აღნიშნული პრინციპი გრძელდება დარტყმების ნებისმიერი შემდგომი თანმიმდევრობისთვის, თუმცა გუნდს შეუძლია თანმიმდევრობის შეცვლა

განმარტება

აზუსტებს, რომ გუნდის ყველა წევრმა უნდა შეასრულოს დარტყმების ერთნაირი რაოდენობა, ვიდრე მოთამაშე შეასრულებს მეორე დარტყმას; რიგი შეიძლება შეიცვალოს დარტყმების ახალი „რაუნდის“ წინ.

10.2.8 მოთამაშე, რომელიც ტოვებს სათამაშო მოედანს

დამატებული ტექსტი

11 მ დარტყმების შესრულება არ უნდა დაყოვნდეს იმ მოთამაშის გამო, რომელიც დატოვებს სათამაშო მოედანს. ამ მოთამაშის დარტყმა ანულირებული იქნება (გოლი არ არის გატანილი), თუ მოთამაშე არ დაბრუნდება დროულად დარტყმის შესასრულებლად

განმარტება

აზუსტებს, რომ მსაჯმა არ უნდა დააყოვნოს დარტყმები 11 მ ნიშნულიდან, როდესაც მოთამაშე დატოვებს სათამაშო მოედანს; თუ მოთამაშე დროულად არ ბრუნდება, დარტყმა იქნება უშედეგო (ანულირებული). მნიშვნელოვანია ამგვარი, პოტენციურად არასამართლიანი მოქმედების შეწყვეტა (მწვრთნელის დარიგება, განზრახ დაყოვნება, გარიგებული მატჩი და ა.შ.).

წესი 11 – თამაშგარე

11.1 შუა ხაზის სტატუსი

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მოთმაშე არ იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში, თუ: • ის იმყოფება სათამაშო მოედნის საკუთარ ნახევარზე ან	მოთამაშე იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში, თუ: · მისი თავის, სხეულის ან ფეხის რაიმე ნაწილი იმყოფება მეტოქის ნახევარზე (შუა ხაზის გამოკლებით)

განმარტება

აზუსტებს, რომ შუა ხაზი არის „ნეიტრალური“ თამაშგარის თვალსაზრისით. მაშასადამე, მოთამაშის თამაშგარეში ყოფნისთვის საჭიროა, რომ მისი სხეულის ნაწილი იმყოფებოდეს მეტოქის ნახევარზე.

11.2 მოთამაშის ხელების სტატუსი

დამატებული ტექსტი

მოთამაშე იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში, თუ:

- მისი თავის, სხეულის ან ფეხის რაიმე ნაწილი იმყოფება მეტოქის კარის ხაზთან უფრო ახლოს, ვიდრე ბურთი და ბოლოდან მეორე მეტოქე ყველა მოთამაშის, მათ შორის მეკარის, ხელები და მკლავები მხედველობაში არ მიიღება.

განმარტება

აზუსტებს, რომ თამაშგარის განსაზღვრისას, მცველების, თავდამსხმელების და მეკარეების ხელების და მკლავების გათვალისწინება არ მოხდება.

11.3 პოზიცია, რომელიც განსაზღვრულია ბურთზე თამაშის მომენტში, არ არის დარღვევა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მოთამაშე მხოლოდ მაშინ ისჯება თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნისათვის, თუ მსაჯის აზრით, თანაგუნდელის მიერ ბურთზე შეხების ან თამაშის მომენტში იგი აქტიურად ერთვება სათამაშო მოქმედებებში....	თანაგუნდელის მიერ ბურთზე თამაშის ან შეხების მომენტში თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე ისჯება მხოლოდ მაშინ, თუ სათამაშო მოქმედებებში ჩართვისას...

განმარტება

აზუსტებს, რომ ბურთზე თამაშის მომენტში განისაზღვრება მხოლოდ მოთამაშის (თამაშგარე) პოზიცია. დარღვევა ხდება ბურთზე თამაშის შემდეგ. მაგალითად, თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე, რომელიც გაიტანს გოლს მეკარის მიერ კარის გადარჩენის შემდეგ, დარღვევა დაფიქსირდება ბურთზე თამაშისას.

11.4 დარღვევა ასხლეტის ან კარის გადარჩენის შემდეგ

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ამ მდგომარეობაში ყოფნისას მოიპოვებს უპირატესობას ბურთზე თამაშით: • რომელიც მიმართულებას შეიცვლის ან აისხლიტება ბოძისგან, ძელისგან ან მეტოქისგან • .....მეტოქისგან, რომელმაც გამიზნულად გადაარჩინა საკუთარი კარი გატანილი გოლისგან	მოიპოვებს უპირატესობას ამ მდგომარეობაში ყოფნისას ბურთზე თამაშით ან მეტოქისთვის ხელის შეშლით, როდესაც ბურთი: • აისხლიტა ან შეიცვალა მიმართულება, როდესაც მოხვდა კარის ბოძებს, ძელს ან მეტოქეს • მეტოქის მიერ გამიზნულად იქნა მოგერიებული გატანილი გოლისგან კარის გადარჩენის მიზნით

განმარტება

აზუსტებს, რომ „მეტოქისთვის ხელის შეშლა“ მას შემდეგ, რაც ბურთი აისხლიტა, მიმართულება შეიცვალა ან გადარჩენილი იქნა კარი გოლისაგან, არის თამაშგარე მდგომარეობის წესის დარღვევა.

11.5 თავისუფალი დარტყმის პოზიცია

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
3. 36 თამაშგარე მდგომარეობის წესის დარღვევის შემთხვევაში, მსაჯი ნიშნავს თავისუფალ დარტყმას მეტოქე გუნდის სასარგებლოდ იმ ადგილიდან, სადაც დარღვევა მოხდა;	თუ ადგილი აქვს თამაშგარე მდგომარეობის წესის დარღვევას, მსაჯი ნიშნავს თავისუფალ დარტყმას იმ ადგილას, სადაც დარღვევა მოხდა, მათ შორის, თუ დარღვევა მოხდა მოთამაშის საკუთარ ნახევარზე.

3. 111 როდესაც ხდება თამაშგარე მდგომარობის წესის დარღვევა, მსაჯი ნიშნავს თავისუფალ დარტყმას, რომელიც უნდა შესრულდეს იმ ადგილდან, სადაც იმყოფებოდა დამრღვევი მოთამაშე, როდესაც ბურთზე ბოლოს ითამაშა მისმა თანაგუნდელმა	

განმარტება

წესი და მისი ინტერპრეტაცია ურთიერთგამომრიცხავი იყო. წესებში ყველგან ძირითადი პრინციპი არის ის, რომ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა ინიშნება იქ, სადაც ხდება დარღვევა. ასე რომ, ამიერიდან ეს გამოიყენება თამაშგარისთვისაც. თავისუფალი დარტყმა შეიძლება დანიშნული იქნეს მოთამაშის საკუთარ ნახევარზეც, თუ მოთამაშე მეტოქის ნახევარზე თამაშგარე **მდგომარეობიდან** გადაადგილდება, რათა ჩაიდინოს **დარღვევა** მოედნის საკუთარ ნახევარზე.

11.6 დამცველი მოთამაშე მოედნის გარეთ

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ნებისმიერი დამცველი მოთამაშე, რომელიც მსაჯის ნებართვის გარეშე, რაიმე მიზეზით ტოვებს სათამაშო მოედანს, თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრის თვალსაზრისით თამაშის შემდგომ გაჩერებამდე ჩაითვლება საკუთარი კარის ხაზზე ან გვერდით ხაზზე მყოფად. თუ, მოთამაშე განზრახ ტოვებს სათამაშო მოედანს, იგი გაფრთხილებული უნდა იყოს ბურთის თამაშიდან შემდგომი გასვლისთანავე.	დამცველი მოთამაშე, რომელიც მსაჯის ნებართვის გარეშე ტოვებს სათამაშო მოედანს, თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრის თვალსაზრისით ჩაითვლება კარის ან გვერდით ხაზზე მყოფად თამაშის შემდგომ გაჩერებამდე ან ვიდრე დამცველი გუნდი არ დაარტყამს ბურთს შუა ხაზისკენ და ის არ იმყოფება მათი საჯარიმო მოედნის გარეთ. თუ მოთამაშე განზრახ ტოვებს სათამაშო მოედანს, იგი გაფრთხილებული უნდა იყოს თამაშიდან ბურთის შემდგომი გასვლისთანავე.

განმარტება

არასამართლიანია, რომ მოედნის გარეთ მყოფი ტრავმირებული დამცველი მოთამაშე ითვლება მოედანზე მყოფად, ვიდრე თამაში არ გაჩერდება. ახალი ტექსტი განსაზღვრავს თამაშის იმ ფაზის დასასრულს, საიდანაც მცველი აღარ ჩაითვლება მოედანზე მყოფად თამაშგარის თვალსაზრისით.

11.7 თავდამსხმელი მოთამაშე მოედნის გარეთ

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თავისთავად არ არის წესების დარღვევა, თუ თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე გავა სათამაშო მოედნიდან, რათა აჩვენოს მსაჯს, რომ იგი არ იღებს აქტიურ მონაწილეობას თამაშში. თუმცა, თუ მსაჯი ჩათვლის, რომ მოთამაშემ დატოვა სათამაშო მოედანი ტაქტიკური მოსაზრებით და მოიპოვა არასამართლიანი უპირატესობა მოედანზე დაბრუნებით, მაშინ მოთამაშე უნდა იქნას გაფრთხილებული არასპორტული საქციელისთვის. მოედანზე დასაბრუნებლად მოთამაშე საჭიროებს მსაჯის ნებართვას.	თავდამსხმელ მოთამაშეს შეუძლია გავიდეს სათამაშო მოედნიდან ან დარჩეს მის მიღმა იმ მიზნით, რომ არ ჩაერთოს აქტიურად სათამაშო მოქმედებებში. თუ მოთამაშე ბრუნდება სათამაშო მოედანზე კარის ხაზიდან და ერთვება სათამაშო მოქმედებებში თამაშის შემდგომ გაჩერებამდე, ან თუ დამცველმა გუნდმა დაარტყა ბურთი შუა ხაზისკენ და ის იმყოფება მათი საჯარიმო მოედნის გარეთ, მოთამაშე განხილული უნდა იქნეს კარის ხაზზე მყოფად თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრის თვალსაზრისით. მოთამაშე, რომელიც განზრახ ტოვებს სათამაშო მოედანს, ბრუნდება მსაჯის ნებართვის გარეშე და არ იქნა დასჯილი თამაშგარეში ყოფნის გამო და შემდგომ მოიპოვებს უპირატესობას, უნდა იყოს გაფრთხილებული.

განმარტება

აზუსტებს, თუ როგორ უნდა იქნეს განსჯილი თავდამსხმელი მოთამაშე, რომელიც ტოვებს მოედანს ან რჩება მოედნის მიღმა და შემდეგ ბრუნდება.

11.8 თავდამსხმელი მოთამაშე კარში

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თუ თავდამსხმელი მოთამაშე გოლის გატანის მომენტში უძრავად იმყოფება კარის ბოძებს შორის და კარის შიგნით, გოლი უნდა ჩაითვალოს. თუმცა, თუ.....შემტევი მოთამაშე აბნევს მეტოქეს, გატანილი გოლი უნდა გაუქმდეს, მოთამაშე გაფრთხილებული უნდა იქნას არასპორტული საქციელისთვის და თამაში უნდა განახლდეს „სადავო ბურთით“.....	თუ თავდამსხმელი მოთამაშე გოლის გატანის მომენტში უძრავად იმყოფება კარის ბოძებს შორის და კარის შიგნით, გოლი უნდა ჩაითვალოს. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოთამაშე ჩაიდენს თამაშგარე მდგომარეობის წესის ან მე-12 წესის დარღვევას, რა შემთხვევაშიც თამაში განახლდება თავისუფალი ან საჯარიმო დარტყმით.

განმარტება

შესაბამისობაშია თამაშგარის განახლებულ ტექსტთან (მაგ. ამოღებულია „აბნევს“) და ბურთის თამაშში ყოფნისას მოედნის გარეთ ჩადენილი დარღვევის საჯარიმო დარტყმით დასჯის შესაძლებლობასთან.

წესი 12 – წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი

12.1 დარღვევები, როდესაც ბურთი არ არის თამაშში

დამატებული ტექსტი

თავისუფალი, საჯარიმო და 11 მ დარტყმები შეიძლება დანიშნული იყოს მხოლოდ ბურთის თამაშში ყოფნისას ჩადენილი დარღვევებისთვის.

განმარტება

განმსაზღვრელი წინადადება (ინტერპრეტაციის სექციიდან), რომლის მიხედვით ბურთი უნდა იყოს თამაშში, რათა დარღვევა დაისაჯოს საჯარიმო, თავისუფალი ან 11 მ დარტყმით.

12.2 საჯარიმო დარტყმა - დამატებულია „იბრძვის“

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
საჯარიმო დარტყმა დაინიშნება მეტოქე გუნდის სასარგებლოდ, თუ მოთამაშე ჩაიდენს შემდეგი შვიდი დარვევიდან რომელიმეს იმგვარად, რომ მსაჯი მას განიხილავს როგორც გაუფრთხილებელს, გაუაზრებელს ან გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით • ასრულებს ვარდნას მეტოქის წინააღმდეგ	საჯარიმო დარტყმა დაინიშნება, თუ მოთამაშე მეტოქის წინააღმდეგ ჩაიდენს ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე დარღვევას იმგვარად, რომ მსაჯი მას განიხილავს, როგორც გაუფრთხილებელს, გაუაზრებელს ან გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენებით: • ასრულებს ვარდნას ან იბრძვის

განმარტება

,,ვარდნა“ ნიშნავს ბრძოლას ფეხების გამოყენებით, თუმცა სხვა შემთხვევებში ბრძოლა შეიძლება იყოს სხეულის სხვა ნაწილების (მაგ. მუხლი) გამოყენებით და ტექნიკურად არ იყო მოცული განმარტებით.

12.3 ფიზიკური კონტაქტი ნიშნავს საჯარიმო დარტყმას

დამატებული ტექსტი

თუ დარღვევა მოხდა ფიზიკური კონტაქტის მეშვეობით, ის დაისჯება საჯარიმო ან 11 მ დარტყმით.

განმარტება

აზუსტებს, რომ საჯარიმო დარტყმა უნდა დაინიშნოს, თუ დარღვევა ხდება ფიზიკური კონტაქტით.

12.4 გაუაზრებელი - განმარტებიდან სიტყვის „საერთოდ“ ამოღება

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
„გაუაზრებელი“ ნიშნავს მოთამაშის ისეთ მოქმედებას, როდესაც იგი საერთოდ არ ფიქრობს იმაზე, რომ მოქმედებს სახიფათოდ მეტოქის წინააღმდეგ ან არ ფიქრობს მოსალოდნელ შედეგებზე.....უნდა იყოს გაფრთხილებული	გაუაზრებელი დარღვევა ნიშნავს ორთაბრძოლისას მოთამაშის ისეთ მოქმედებას, როდესაც იგი არ ფიქრობს იმაზე, რომ მოქმედებს სახიფათოდ მეტოქის მიმართ ან არ ფიქრობს მოსალოდნელ შედეგებზე. იგი გაფრთხილებული უნდა იქნეს

განმარტება

არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი სიტყვის „საერთოდ“ მნიშვნელობის/ შესაბამისობის შესახებ

12.5 წესების სერიოზული დარღვევა - განმატებიდან სიტყვის „ძალიან“ ამოღება

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენება ნიშნავს, რომ მოთამაშემ ძალიან გადააჭარბა საჭირო ძალას და არსებობს მეტოქისთვის ტრავმის მიყენების საშიშროება....მოთამაშე უნდა იყოს გაძევებული	• გადაჭარბებული ფიზიკური ძალის გამოყენება ნიშნავს, რომ მოთამაშემ გადააჭარბა საჭირო ძალას და ემუქრება მეტოქის უსაფრთხოებას. იგი გაძევებული უნდა იქნეს

განმარტება

არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი სიტყვის „ძალიან“ მნიშვნელობის/ შესაბამისობის შესახებ

12.6 საჯარიმო დარტყმა - დამატებულია „ აფერხებს მეტოქეს ფიზიკური კონტაქტით“

დამატებული ტექსტი

თუ მოთამაშე ჩაიდენს ქვემოთ მოყვანილი დარღვევებიდან რომელიმეს, დაინიშნება საჯარიმო დარტყმა:

- აფერხებს მეტოქის მოძრაობას ფიზიკური კონტაქტით

განმარტება

იმის დადასტურება, რომ მეტოქის შეფერხება ფიზიკური კონტაქტის საშუალებით არის საჯარიმო დარტყმა.

12.7 შეფერხება ფიზიკური კონტაქტის გარეშე ნიშნავს თავისუფალ დარტყმას

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თავისუფალი დარტყმა დაინიშნება მეტოქე გუნდის სასარგებლოდ, თუ მოთამაშე (...) აფერხებს მეტოქის მოძრაობას	თავისუფალი დარტყმა დაინიშნება, თუ მოთამაშე (...) აფერხებს მეტოქის მოძრაობას ფიზიკური კონტაქტის გარეშე

განმარტება

იმის დადასტურება, რომ მეტოქის შეფერხება ფიზიკური კონტაქტის გარეშე არის თავისუფალი დარტყმა.

12.8 უფლებამოსილება, მიიღოს სადისციპლინო ზომები მატჩის წინ მოედნის შემოწმების მომენტიდან (იხ. 5.4)

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მსაჯს უფლება აქვს სადისციპლინო სანქციები გამოიტანოს სათამაშო მოედანზე გასვლის მომენტიდან საფინალო სასტვენის შემდეგ სათამაშო მოედნის დატოვებამდე.	მსაჯს გააჩნია უფლებამოსილება სადისციპლინო სანქციები გამოიტანოს სათამაშო მოედანზე შესვლის მომენტიდან თამაშის წინ მოედნის დათვალიერებისას, ვიდრე არ დატოვებს სათამაშო მოედანს მატჩის დასრულების შემდეგ (მათ შორის 11 მ დარტყმების შემდეგ). თუ მატჩის დასაწყისში სათამაშო მოედანზე შესვლამდე მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას, რომელიც იმსახურებს გაძევებას, მსაჯს გააჩნია უფლება არ დაუშვას მოთამაშე მატჩში მონაწილეობის მისაღებად (იხ. წესი 3.); მსაჯი შეადგენს პატაკს სხვა რაიმე უდისციპლინო საქციელის შესახებ.

განმარტება

იგივე ცვილებები, რაც შეჯამებულია და ახსნილია მე-5 წესში (იხ. 5,4)

12.9 წითელი ბარათით დასჯადი დარღვევისთვის გამოყენებული უპირატესობა, რომლის შემდეგ მოთამაშე კვლავ ერთვება თამაშში

დამატებული ტექსტი

წესების სერიოზული დარღვევის, ძალადობრივი ქმედების ან ისეთი დარღვევისას, რომელიც მეორე ყვითელ ბარათს იმსახურებს, უპირატესობა არ უნდა იყოს გამოყენებული, თუ არ არის გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა, მსაჯმა უნდა გააძევოს მოთამაშე ბურთის თამაშიდან გასვლისთანავე. მაგრამ, თუ მოთამაშე თამაშობს ბურთზე ან ებრძვის/ხელს უშლის მეტოქეს, მსაჯი გააჩერებს თამაშს, გააძევებს მოთამაშეს და განაახლებს თამაშს თავისუფალი დარტყმით.

განმარტება

აზუსტებს, რომ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც მსაჯი იყენებს უპირატესობას წითელი ბარათით დასჯადი დარღვევისთვის (მხოლოდ მაშინ, როდესაც გოლის გატანის შესაძლებლობა გარდაუვალია) და შემდეგ მოთამაშე ერთვება თამაშში, თამაში უნდა გაჩერდეს. ვინაიდან, ეს შესაძლოა აღმოჩნდეს „სამართლიანი თამაშის“ პრინციპის საწინააღმდეგოდ - თუ მოთამაშე გაიტანს გოლს, ხელს შეუწყობს გოლის გატანას ან ხელს შეუშლის მეტოქეს გოლის გატანაში.

12.10 გაფრთხილებები ხელით თამაშისთვის

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
არსებობს სხვადასხვა გარემოება, როდესაც აუცილებელია მოთამაშის გაფრთხილება არასპორტული საქციელისთვის, მაგ. თუ მოთამაშე: • ტაქტიკური მიზნით არღვევს წესს, რათა ხელი შეუშალოს იმედისმომცემი შეტევის განვითარებას ან ჩაშალოს ის • ტაქტიკური მიზნით აკავებს მეტოქეს, მაისურზე მოქაჩვით და ბურთისგან განევით ან მეტოქისთვის ბურთის დაუფლებაში ხელის შეშლით • ხელით თამაშობს ბურთზე, რათა წაართვას მეტოქეს ბურთის დაუფლების ან შეტევის განვითარების შესაძლებლობა • ხელით თამაშობს ბურთზე გოლის გატანის მცდელობისას (იმის მიუხედავად, წარმატებულია თუ არა მცდელობა)	არსებობს სხვადასხვა გარემოება, როდესაც აუცილებელია მოთამაშის გაფრთხილება არასპორტული საქციელისთვის, თუ მოთამაშე: • ჩაიდენს დარღვევას ან ხელით თამაშობს ბურთზე იმედისმომცემი შეტევის ხელის შეშლის ან მისი ჩაშლის მიზნით • ხელით თამაშობს ბურთზე გოლის გატანის მცდელობისას (იმის მიუხედავად წარმატებულია თუ არა მცდელობა) ან წარუმატებელი მცდელობისას ხელი შეუშალოს გოლის გატანას

განმარტება

- ამოღებულია „წაართვას მეტოქეს ბურთის დაუფლების შესაძლებლობა“, როგორც ყვითელი ბარათით დასჯადი დარღვევა, ვინაიდან ეს აიძულებდა ზოგიერთ მსაჯს ყვითელი ბარათით დაესაჯა ყოველი ხელით თამაში.
- ხელით თამაში, როდესაც ის „ჩაშლის/ხელს უშლის იმედისმომცემ შეტევას“, ჩაწერილია, როგორც ყვითელი ბარათით დასჯადი დარღვევა (ვინაიდან, როგორც სხვა დარღვევებს, მასაც იგივე ეფექტი აქვს).
- აზუსტებს, რომ მოთამაშემ, რომელიც წარუმატებლად ცდილობს ხელი შეუშალოს გოლის გატანას ბურთზე ხელით თამაშით, უნდა მიიღოს ყვითელი ბარათი.

12.11 გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის წართმევა საჯარიმო მოედანში

დამატებული ტექსტი

როდესაც მოთამაშე ართმევს მეტოქეს გოლს ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას ბურთზე ხელით განზრახ თამაშით, იქნება გაძევებული, სადაც არ უნდა მოხდეს დარღვევა.

როდესაც მოთამაშე მეტოქის წინააღმდეგ ჩაიდენს დარღვევას საკუთარ საჯარიმო მოედანში, რომელიც ართმევს მეტოქეს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას და მსაჯი ნიშნავს 11 მ დარტყმას, დამრღვევი მოთამაშე იქნება გაფრთხილებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ადგილი აქვს მეტოქის შეკავებას, მოქაჩვას ან ბიძგს ან
- დამრღვევი მოთამაშე არ ცდილობს ბურთზე თამაშს, ან არ გააჩნია ბურთზე თამაშის შესაძლებლობა ბურთისთვის ბრძოლისას ან
- დარღვევა ისეთია, რომ ისჯება წითელი ბარათით. სათამაშო მოედნის რა ნაწილშიც არ უნდა მოხდეს (მაგ.: წესების სერიოზული დარღვევა, ძალადობრივი ქმედება და ა.შ.)

ყველა ზემოთ მოყვანილ გარემოებებში მოთამაშე იქნება გაძევებული.

განმარტება

როდესაც მცველი წესის დარღვევით მეტოქეს აკარგვინების გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას (DOGSO) საკუთარ საჯარიმო მოედანში, 11 მ დარტყმა ფაქტიურად აღადგენს გოლის გატანის შესაძლებლობას. ასე რომ, სასჯელი მოთამაშისთვის ნაკლებად მძიმე უნდა იყოს (ყვითელი ბარათი), ვიდრე როდესაც დარღვევა ხდება საჯარიმო მოედნის გარეთ. თუმცა, სადაც დარღვევა ხდება ხელით თამაშის გამო ან, სადაც არ არის ბურთზე თამაშის ან ბურთისთვის ბრძოლის ნათელი და ნამდვილი მცდელობა (როგორც ეს განსაზღვრულია ტექსტში), მოთამაშე იქნება გაძევებული.

12.12 წესების სერიოზული დარღვევა – დამატებულია „ბრძოლა“ ძველი ტექსტი

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ვარდნა, რომელიც საშიშროებას უქმნის მეტოქის უსაფრთხოებას, უნდა შეფასდეს, როგორც წესების სერიოზული დარღვევა და შესაბამისად დაისაჯოს.	ვარდნა ან ბრძოლა, რომელიც საშიშროებას უქმნის მეტოქის უსაფრთხოებას, უნდა შეფასდეს როგორც წესების სერიოზული დარღვევა.

განმარტება

იგივე ცვლილებები, როგორიც არის 12.2-ში - „ბრძოლა“ ასევე ნიშნავს დარღვევებს მკლავებით, იდაყვებით და ა.შ.....

12.13 ძალადობრივი ქმედება - კონტაქტის გარეშე

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
მოთამაშე დამნაშავეა ძალადობრივ ქმედებაში, თუ იგი იყენებს გადამეტებულ ფიზიკურ ძალას ან სისასტიკეს მეტოქის წინააღმდეგ. გადამეტებულ ფიზიკურ ძალას ან სისასტიკეს თანაგუნდელის, მაყურებლის, მატჩის ოფიციალური პირის ან სხვა ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, როდესაც არ იბრძვის ბურთისთვის.	ძალადობრივი ქმედება არის ისეთი ქმედება, როდესაც მოთამაშე იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს გადაჭარბებული ფიზიკური ძალა ან სისასტიკე მეტოქის, თანაგუნდელის, გუნდის ოფიციალური პირის, მატჩის ოფიციალური პირის, მაყურებლის ან სხვა ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, როდესაც არ ბრძოლობს ბურთისთვის. იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა ადგილი ფიზიკურ კონტაქტს.

განმარტება

აზუსტებს, რომ ძალადობის მცდელობა ისჯება წითელი ბარათით იმ შემთხვევაშიც, თუ ის წარუმატებელია.

12.14 ძალადობრივი ქმედება - კონტაქტი თავთან/სახესთან

დამატებული ტექსტი

ასევე, მოთამაშე, რომელიც არ იბრძვის ბურთისათვის, დამნაშავეა ძალადობრივ ქმედებაში, თუ სახეში განზრახ გაარტყამს ხელს ან მკლავს მეტოქეს ან ნებისმიერ სხვა პირს, თუ გამოყენებული ძალა არ იყო უმნიშვნელო.

განმარტება

აზუსტებს, რომ მოთამაშე, რომელიც განზრახ ურტყავს ხელს მეტოქეს თავში/სახეში (როდესაც იგი არ იბრძვის ბურთისთვის), უნდა იქნეს გაძევებული (თუ გამოყენებული ძალა უმნიშვნელო არ არის).

12.15	დარღვევები სათადარიგოების, გუნდის ოფიციალური პირების, მატჩის ოფიციალური პირების და ა.შ. წინააღმდეგ
ძველი ტექსტი	**ახალი ტექსტი**
•თუ ბურთი თამაშშია და მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას სათამაშო მოედნის ფარგლებში: • მეტოქის წინააღმდეგ, თამაში განახლდება საჯარიმო დარტყმით იმადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა (იხ. მე-13 წესი – საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის შესრულების ადგილი) ან 11 მ-იანი დარტყმით (თუ დარღვევა მოხდა მცველის საკუთარ საჯარიმოში) • თანაგუნდელის საწინააღმდეგოდ, თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა (იხ. მე-13 წესი – საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის შესრულების ადგილი) • სათადარიგო ან შეცვლილი მოთამაშის წინააღმდეგ, თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც ბურთი იყო თამაშის გაჩერების მომენტში (იხ. მე-13 წესი – საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის შესრულების ადგილი) • მსაჯის ან მისი ასისტენტის წინააღმდეგ, თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა (იხ. მე-13 წესი – საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის შესრულების ადგილი) • რომელიმე სხვა პიროვნების წინააღმდეგ, თამაში განახლდება „სადავო“ ბურთის გდებით იმ ადგილას, სადაც ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში იყო. თუ თამაში გაჩერებული იქნა კარის მოედანში, მაშინ „სადავო“ ბურთის გდება მოხდება კარის მოედნის იმ ხაზზე, რომელიც კარის ხაზის პარალელურია და იმ ადგილას, რომელიც უახლოესია ბურთის მდებარეობასთან თამაშის გაჩერების მომენტში	თუ ბურთი თამაშშია და მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას სათამაშო მოედნის ფარგლებში: • მეტოქის წინააღმდეგ - თავისუფალი, საჯარიმო ან 11 მ დარტყმა • თანაგუნდელის, შეცვლილი მოთამაშის, გუნდის ოფიციალური პირის ან მატჩის ოფიციალური პირის წინააღმდეგ - საჯარიმო ან 11 მ დარტყმა • ნებისმიერი სხვა პირის წინააღმდეგ - „სადავო ბურთის“ გდება

განმარტება

სხვა მონაწილის წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევის სასჯელი ასახავს ამგვარი ქმედების სერიოზულობას. მაგალითად, თუ დარღვევა მატჩის ოფიციალური პირის წინააღმდეგ არის - მხოლოდ თავისუფალი დარტყმა, ეს წარმოადგენს სუსტ გზავნილს ფეხბურთისათვის.

12.16 წესების დარღვევები სათამაშო მოედნის გარეთ (იხ. 13.3 + 14.1)

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თუ ბურთი თამაშშია და დარღვევა დაფიქსირდა სათამაშო მოედნის ფარგლებს მიღმა (...) – თუ მოთამაშე ტოვებს სათამაშო მოედანს, რათა ჩაიდინოს დარღვევა, მაშინ თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით იმ ადგილიდან, სადაც ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში იყო (იხ. წესი 13 - საჯარიმო და თავისუფალი დარტყმის ადგილი)	თუ ბურთი თამაშშია და დარღვევა მოხდა სათამაშო მოედნის გარეთ (...) თუმცა, თუ მოთამაშის მიერ სათამაშო მოედნის დატოვება წარმოადგენს სათამაშო მოქმედების ნაწილს და მოთამაშე ჩაიდენს დარღვევას სხვა მოთამაშის წინააღმდეგ, თამაში განახლდება საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმით, შემომსაზღვრელი ხაზის იმ ადგილიდან, რომელიც უახლოესია დარღვევის ადგილთან; საჯარიმო დარტყმით დასჯადი დარღვევებისთვის ინიშნება 11 მ დარტყმა, თუ ეს ხდება დამრღვევის საჯარიმო მოედანში

განმარტება

წესი შეცვლილი იქნა, ვინაიდან ფეხბურთი მოელის, რომ თუ 2 მოთამაშე ტოვებს სათამაშო მოედანს ნორმალური სათამაშო მოქმედებების ფარგლებში და ერთი მათგანი ჩაიდენს დარღვევას მეორის წინააღმდეგ, უნდა დაინიშნოს საჯარიმო დარტყმა. ვერავინ გაიგებს, თუ მსაჯი უჩვენებს წითელ/ყვითელ ბარათს და განაახლებს თამაშს „სადავო ბურთით“ (ან თავისუფალი დარტყმით). საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა დაინიშნება გვერდითი/კარის ხაზის იმ წერტილში, რომელიც უახლოესია დარღვევის ადგილთან; თუ ეს მოხდა დამრღვევის საჯარიმო მოედანში, დაინიშნება 11 მ დარტყმა.

წესი 13 – საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები

13.1 საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები დანიშნულია მეტოქის სასარგებლოდ

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
დარტყმა შეიძლება იყოს საჯარიმო ან თავისუფალი.	საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები ინიშნება დარღვევაში დამნაშავე მოთამაშის მეტოქე გუნდის სასარგებლოდ.

განმარტება

განცხადება ამ წესის დასაწყისში, რომ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა ინიშნება მეტოქე გუნდის სასარგებლოდ, გვაცილებს ფრაზის - „მეტოქე გუნდის სასარგებლოდ“ - მრავალჯერ გამოყენების საჭიროებას.

13.2 საჯარიმო და თავისუფალი დარტყმების ადგილი

დამატებული ტექსტი

ყველა საჯარიმო და თავისუფალი დარტყმა სრულდება იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა, გარდა:

განმარტება

ნათელი წინადადება ამ წესის დასაწყისში გვაცილებს საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმის ადგილის შესახებ სპეციალური მითითების საჭიროებას ბევრ სხვა წესში.

13.3 წესების დარღვევები სათამაშო მოედნის გარეთ

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმები, რომლებიც დანიშნულია მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედანზე შესვლის, დაბრუნების ან გასვლისას, სრულდება იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში	საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები დარღვევებისთვის, რომლებიც ინიშნება მსაჯის ნებართვის გარეშე სათამაშო მოედანზე შესვლის, დაბრუნების ან გასვლისას, სრულდება იმ ადგილიდან, სადაც იმყოფებოდა ბურთი თამაშის გაჩერების მომენტში. თუმცა, თუ მოთამაშის მიერ სათამაშო მოედნის დატოვება წარმოადგენს სათამაშო მოქმედების ნაწილს და იგი ჩაიდენს დარღვევას სხვა მოთამაშის წინააღმდეგ, თამაში განახლდება საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმით მოედნის შემომსაზღვრელი ხაზის იმ ადგილიდან, რომელიც უახლოესია დარღვევის ადგილთან; საჯარიმო დარტყმით დასჯადი დარღვევებისთვის ინიშნება 11 მ დარტყმა, თუ ეს ხდება დამრღვევის საჯარიმო მოედანში.

განმარტება

შესაბამისობაშია 12.16 და 14.1 -ში მოყვანილ ცვლილებასთან.

13.4 თამაშში რომ იყოს, ბურთმა გარკვევით უნდა იმოძრაოს

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ბურთი თამაშშია, როდესაც მასზე მოხდა დარტყმა და ის მოძრაობს.....	ბურთი თამაშშია, როდესაც მასზე მოხდა დარტყმა და იგი გარკვევით მოძრაობს...

განმარტება

ცვლილება შესაბამისობაშია საწყის დარტყმასთან (8.3), 11მ დარტყმასთან (14.2) და კუთხურ დარტყმასთან (17.2).

13.5 საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის გაჩერება/ჩაჭრა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თუ მოთამაშე გადაწყვეტს შეასრულოს საჯარიმო/თავისუფალი დარტყმა სწრაფად და მეტოქე, რომელიც ბურთთან ახლოს იმყოფება, განზრახ ხელს უშლის საჯარიმო/თავისუფალი დარტყმის შესრულებას, მსაჯმა უნდა გააფრთხილოს ეს მოთამაშე თამაშის განახლების დაყოვნებისათვის. თუ მოთამაშე გადაწყვეტს შეასრულოს საჯარიმო/თავისუფალი დარტყმა სწრაფად და მეტოქე, რომელიც ბურთისგან იმყოფება 9,15 მ (10 იარდი) მანძილზე უფრო ახლოს და ჩაჭრის მას, მსაჯმა უნდა გააგრძელოს თამაში.	თუ მოთამაშე ასრულებს საჯარიმო ან თავისუფალ დარტყმას სწრაფად და მეტოქე, რომელიც 9,15 მ (10 იარდი) მანძილზე უფრო ახლოს იმყოფება ბურთისგან, ჩაჭრის მას, მსაჯი გააგრძელებს თამაშს. თუმცა, მეტოქე, რომელიც განზრახ შეუშლის ხელს საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმის შესრულებას, უნდა იყოს გაფრთხილებული თამაშის განახლების დაყოვნებისთვის.

განმარტება

პარაგრაფები ადგილშენაცვლებულია; უფრო ნათელი განსხვავება შესასრულებული დარტყმის „ხელის შეშლასა“ და შესრულებული სწრაფი დარტყმის „ჩაჭრას“ შორის.

წესი 14 – 11 მ დარტყმა

14.1 11 მ დარტყმა სათამაშო მოედნის გარეთ წესის დარღვევისთვის (იხ. 12.16 + 13.3)

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
11 მ დარტყმა დაინიშნება იმ გუნდის საწინააღმდეგოდ, რომელიც საკუთარ საჯარიმო მოედანში, ბურთის თამაშში ყოფნის დროს ჩაიდენს იმ ათი დარღვევიდან ერთ-ერთს, რისთვისაც ინიშნება საჯარიმო დარტყმა.	11 მ დარტყმა ინიშნება, თუ მოთამაშე საკუთარ საჯარიმო მოედანში ან მის გარეთ - სათამაშო მოქმედების ფარგლებში (როგორც ეს განმარტებულია მე-12 და მე-13 წესებში) - ჩაიდენს ისეთ დარღვევას, რომელიც ისჯება საჯარიმო დარტყმით.

განმარტება

მე-12 და მე-13 წესებში ცვლილებების გამეორება, რომ ბურთის თამაშში ყოფნისას 11 მ დარტყმა ინიშნება მცველის მიერ ჩადენილი დარღვევისთვის სათამაშო მოედნის გარეთ, თუ დარღვევის ადგილთან უახლოესი წერტილი არის მათი საჯარიმო მოედანი.

14.2 ბურთის უძრავი მდგომარეობა და მოძრაობა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
ბურთი: • უნდა მოთავსდეს 11 მ ნიშნულზე • ბურთი თამაშშია, როდესაც მასზე მოხდა დარტყმა და იგი მოძრაობს	ბურთი უძრავად უნდა იყოს მოთავსებული 11 მ ნიშნულზე. • ბურთი თამაშშია, როდესაც მასზე შესრულდა დარტყმა და იგი გარკვევით მოძრაობს.

განმარტება

შესაბამისობაშია სხვა ცვლილებებთან.

14.3 როდის არის 11 მ დარტყმა დასრულებული (იხ. 10.2.6)

დამატებული ტექსტი

11 მ დარტყმა დასრულებულია, როდესაც ბურთი შეწყვეტს მოძრაობას, გადის თამაშიდან ან მსაჯი აჩერებს თამაშს წესების რაიმე დარღვევისთვის.

განმარტება

აზუსტებს, თუ როდის დასრულდა 11 მ დარტყმა.

14.4 გარკვეული დარღვევები ყოველთვის ისჯება თავისუფალი დარტყმით

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თუ რომელიმე ქვემოთ მოცემული სიტუაციიდან ერთ-ერთი წარმოიქმნება, როდესაც მსაჯი აძლევს სიგნალს 11 მ-იანი დარტყმის შესასრულებლად და ვიდრე ბურთი შევა თამაშში: 11 მ-იანი დარტყმის შემსრულებელი მოთამაშე არღვევს თამაშის წესებს:	11 მ დარტყმის შესასრულებლად მსაჯის მიერ ნიშნის მიცემის შემდეგ დარტყმა უნდა შესრულდეს. თუ ბურთის თამაშში შესვლამდე მოხდება რაიმე ქვემოთ მოყვანილი ... 11 მ დარტყმის შემსრულებელი მოთამაშე ან მისი თანაგუნდელი დაარღვევს თამაშის წესებს:

- მსაჯი იძლევა დარტყმის შესრულების საშუალებას
- თუ ბურთი გავა კარში, დარტყმა უნდა განმეორდეს
- თუ ბურთი არ გავა კარში, მსაჯი აჩერებს თამაშს და მატჩი განახლდება თავისუფალი დარტყმით დამცველი გუნდის სასარგებლოდ იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა

მეკარე არღვევს თამაშის წესებს:
- მსაჯი იძლევა დარტყმის შესრულების საშუალებას
- თუ ბურთი გავა კარში, გოლი ითვლება
- თუ ბურთი არ გავა კარში, დარტყმა უნდა განმეორდეს

11 მ-იანი დარტყმის შემსრულებელი მოთამაშის თანაგუნდელი არ-ღვევს თამაშის წესებს:
- მსაჯი იძლევა დარტყმის შესრულების საშუალებას
- თუ ბურთი გავა კარში, დარტყმა უნდა განმეორდეს
- თუ ბურთი არ გავა კარში, მსაჯი აჩერებს თამაშს და მატჩი განახლდება თავისუფალი დარტყმით დამცველი გუნდის სასარგებლოდ იმ ადგილიდან, სადაც მოხდა დარღვევა

მეკარე არღვევს თამაშის წესს:
- მსაჯი აძლევს დარტყმის შესრულების უფლებას.
- თუ, გოლი გადის, იგი ითვლება.
- თუ გოლი არ გავიდა, დარტყმა უნდა განმეორდეს.
- თუ ბურთი გადის კარში, დარტყმა უნდა გამეორდეს
- თუ ბურთი არ გადის კარში, მსაჯი აჩერებს თამაშს და განაახლებს თავისუფალი დარტყმით

გარდა შემდეგი შემთხვევებისა, როდესაც თამაში იქნება გაჩერებული და განახლებული თავისუფალი დარტყმით, იმის მიუხედავად, გოლი გატანილი იქნა თუ არა:
- 11 მ დარტყმა შესრულდა უკან
- იდენტიფიცირებული დამრტყმელის თანაგუნდელი შეასრულებს დარტყმას; მსაჯი გააფრთხილებს დარტყმის შემსრულებელ მოთამაშეს
- მას შემდეგ, რაც დაასრულა გამორბენი, მოთამაშე აკეთებს ცრუ მოძრაობას ბურთის დარტყმისას (ცრუ მოძრაობა გამორბენისას დაშვებულია); მსაჯი გააფრთხილებს დარტყმის შემსრულებელ მოთამაშეს

განმარტება

ხაზს უსვამს, რომ სტანდარტული გადაწყვეტილებები დარტყმის გამეორების, გოლის ჩათვლის, თავისუფალი დარტყმის დანიშვნის შესახებ არ მიესადაგება ამ სიტუაციებს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არაიდენტიფიცირებული მოთამაშე ასრულებს დარტყმას ან, როდესაც ადგილი აქვს „არალეგალურ“ ცრუ მოძრაობებს, რომლებიც წარმოადგენენ არასპორტული ქცევის „გამიზნულ“ აქტებს.

14.5 მეკარის მიერ ჩადენილი დარღვევები

დამატებული ტექსტი

თუ ბურთი არ გადის კარში, დარტყმა მეორდება; მეკარე იქნება გაფრთხილებული, თუ პასუხისმგებელია დარღვევაზე

განმარტება

ვინაიდან წესი შეცვლილი იქნა იმ მიზნით, რომ უფრო მკაცრად განსჯილიყო დამრტყმელი მოთამაშე, რომელიც იყენებს „არალეგალურ ცრუ მოძრაობებს“, თანმიმდევრულია, რომ მეკარე, რომელიც არღვევს წესს და იწვევს დარტყმის გამეორებას, უნდა იქნეს გაფრთხილებული. ამან უნდა უბიძგოს მეკარეებს, რომ არ დაარღვიონ ეს წესი.

14.6 ერთდროულად ჩადენილი რამდენიმე დარღვევა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
როგორც შემტევი, ასევე დამცველი გუნდის მოთამაშეები არღვევენ თამაშის წესებს, დარტყმა უნდა გამეორდეს	ორივე გუნდის მოთამაშე არღვევს თამაშის წესებს, დარტყმა მეორდება, თუ მოთამაშე არ ჩაიდენს უფრო სერიოზულ დარღვევას (მაგ. აკრძალული ცრუ მოძრაობა)

განმარტება

მე-5 წესში ცვლილების გამეორება, სადაც უფრო სერიოზული დარღვევა არის დასჯილი (იხ.5.3).

წესი 15 – ბურთის შემოგდება გვერდითი ხაზიდან

15.1 ბურთი შემოგდებულია ორივე ხელით

ახალი ტექსტი

ბურთის შემოგდების მომენტში შემომგდები მოთამაშე:

- პირისახით უნდა იმყოფებოდეს სათამაშო მოედნისაკენ
- ორივე ტერფის ნაწილი მოთავსებული უნდა ჰქონდეს გვერდით ხაზზე ან მიწაზე გვერდითი ხაზის გარეთ
- ბურთი უნდა შემოაგდოს ორივე ხელით , კეფის უკნიდან და თავს ზემოთ მოძრაობით, იმ ადგილიდან, სადაც მან დატოვა სათამაშო მოედანი

განმარტება

- „შემოაგდებს“ გამოყენება უფრო ლოგიკურია, ვიდრე „მოაწოდებს“
- მე-3 და მე-4 პუნქტების გაერთიანება ხაზს უსვამს, რომ „ერთი ხელით“ ბურთის არასწორი სროლა (ბურთს ისვრის ერთი ხელი, ხოლო მეორე აძლევს მიმართულებას) არ არის ნებადართული.

15.2 2 მ (2 იარდი) დისტანციის დარღვევა

ძველი ტექსტი	ახალი ტექსტი
თუ ოპონენტი არასპორტული ხერხით ყურადღებას უფანტავს ან ხელს უშლის ბურთის შემომგდებს: • იგი ისჯება ყვითელი ბარათით არასპორტული საქციელისთვის	თუ მეტოქე არასპორტული ხერხით ყურადღებას უფანტავს ან ხელს უშლის ბურთის შემომგდებს (მათ შორის, ბურთის შემოგდების ადგილთან 2 მ (2 იარდი) ნაკლებ მანძილზე მიახლოებით), იგი იქნება გაფრთხილებული არასპორტული საქციელისთვის და თუ ბურთის შემოგდება შესრულდა, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა.

განმარტება

აზუსტებს, რომ 2 მ (2 იარდი) დისტანციის დაუცველობა განიხილება, როგორც არასპორტულად ყურადღების გაფანტვა ან ხელის შეშლა და დაინიშნება თავისუფალი დარტყმა, თუ ბურთის შემოგდება უკვე შესრულდა.

წესი 16 – კარიდან დარტყმა

16.1 უშუალოდ საკუთარ კარში შესრულებული კარიდან დარტყმა

დამატებული ტექსტი

- უშუალოდ კარიდან დარტყმიდან გოლი შეიძლება გატანილი იქნეს, მაგრამ მხოლოდ მეტოქე გუნდის კარში; თუ ბურთი უშუალოდ კარიდან დარტყმიდან გადის დამრტყმელის საკუთარ კარში, ინიშნება კუთხური დარტყმა, თუ ბურთმა მანამდე დატოვა საჯარიმო მოედანი.

განმარტება

აზუსტებს სწორ განახლებას, თუ მოთამაშეს გოლი გააქვს საკუთარ კარში უშუალოდ კარიდან დარტყმიდან (მაგ. ძლიერი ქარის დროს).

16.2 ბურთი უნდა იყოს უძრავი

ახალი ტექსტი

- ბურთი უნდა იყოს უძრავი და უნდა დაირტყას დამცველი გუნდის მოთამაშის მიერ კარის მოედნის ნებისმიერი წერტილიდან

განმარტება

აზუსტებს, რომ ბურთი უნდა იყოს უძრავი, ვინაიდან ეს არ იყო ნახსენები „ძველ“ ტექსტში.

16.3 მეტოქე საჯარიმო მოედანში, როდესაც სრულდება კარიდან დარტყმა

დამატებული ტექსტი

- აზუსტებს, რომ თუ კარიდან დარტყმის შესრულებისას საჯარიმო მოედანში მყოფი მეტოქე ეხება ბურთს ან იბრძვის ბურთისთვის, ვიდრე ის შეეხო სხვა რომელიმე მოთამაშეს, კარიდან დარტყმა მეორდება. ბურთი უნდა იყოს უძრავი, ვინაიდან ეს არ იყო ნახსენები „ძველ“ ტექსტში.

განმარტება

აზუსტებს, რომ კარიდან დარტყმის შესრულებისას საჯარიმო მოედანში მყოფ ნებისმიერ მეტოქეს (მეტოქეებს) არ შეუძლია შეეხოს/იბრძოლოს ბურთისთვის, ვიდრე მას არ შეეხება სხვა რომელიმე მოთამაშე. ასე რომ, მოთამაშე არ მოიპოვებს უპირატესობას საჯარიმო მოედნის ფარგლებიდან არ გასვლით, როგორც ამას ითხოვს წესი.

წესი 17 - კუთხური დარტყმა

17.1 უშუალოდ საკუთარ კარში შესრულებული კუთხური დარტყმა

დამატებული ტექსტი

- უშუალოდ კუთხური დარტყმიდან გოლი შეიძლება გატანილი იქნეს, მაგრამ მხოლოდ მეტოქე გუნდის კარში; თუ ბურთი უშუალოდ კუთხური დარტყმიდან გადის დამრტყმელის საკუთარ კარში, ინიშნება კუთხური დარტყმა მეტოქეების სასარგებლოდ

განმარტება

აზუსტებს სწორ განახლებას, თუ მოთამაშეს გოლი გააქვს საკუთარ კარში უშუალოდ კუთხური დარტყმიდან.

17.2 ბურთი უნდა იყოს უძრავი და შემდეგ გარკვევით უნდა იმოძრაოს, რომ იყოს თამაშში

ახალი ტექსტი

- ბურთი უნდა მოთავსდეს კუთხური რკალით შემოსაზღვრულ ზონაში
- ბურთი უნდა იყოს უძრავი და უნდა დაირტყას შემტევი გუნდის მოთამაშის მიერ
- ბურთი თამაშშია, როდესაც მასზე დარტყმის შემდეგ ბურთი გარკვევით მოძრაობს (...)

განმარტება

- „ზონა“ ცვლის „რკალს“
- აზუსტებს, რომ ბურთი უნდა იყოს უძრავი
- ასახავს ცვლილებებს სხვა წესებში, მაგრამ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კუთხური დარტყმისთვის, ზღუდავს მოთამაშეს, რომელიც უბრალოდ ეხება ბურთს და შემდეგ ამბობს (არასპორტულად), რომ კუთხური დარტყმა არ შესრულებულა

IFAB®

ლექსიკონი

ტერმინთა ლექსიკონი შეიცავს სიტყვებს/ფრაზებს, რომლებიც საჭიროებენ განმარტებას ან ახსნას წესებში მოყვანილი დეტალების გარდა და/ან რომელთა თარგმნა სხვა ენებზე არ არის ყოველთვის ადვილი.

საფეხბურთო ორგანიზაციები

The IFAB - საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭო - ორგანიზაცია, რომელიც შედგება ოთხი ბრიტანული საფეხბურთო ასოციაციისა და FIFA-გან. იგი პასუხისმგებელია თამაშის წესებზე მთელ მსოფლიოში. პრინციპში, ცვლილებები წესებში შესაძლებელია დამტკიცდეს მხოლოდ წლიურ გენერალურ სხდომაზე, რომელიც როგორც წესი, ტარდება თებერვალში ან მარტში.

FIFA - საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია ხელმძღვანელი ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ფეხბურთზე მთელ მსოფლიოში

Confederation - კონფედერაცია ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ფეხბურთზე კონტინეტის მასშტაბით. არსებობს ექვსი კონფედერაცია: AFC (აზია), CAF (აფრიკა), CONCACAF (ჩრდილოეთი, ცენტრალური ამერიკა და კარიბის აუზის ქვეყნები), CONMEBOL (სამხრეთ ამერიკა), OFC (ოკეანია) და UEFA (ევროპა)

National Football Association - ეროვნული საფეხბურთო ასოციაცია ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ფეხბურთზე ქვეყნის მასშტაბით

საფეხბურთო ტერმინები

A

Abandon - შეწყვეტა
წინასწარ დადგენილ დროზე ადრე მატჩის დასრულება/დამთავრება

Advantage - უპირატესობა
მსაჯი აგრძელებს თამაშს, როდესაც ხდება დარღვევა, თუ ეს სარგებელს აძლევს იმ გუნდს, რომლის წინააღმდეგაც მოხდა წესის დარღვევა

Additional time - დამატებული დრო
დრო, რომელიც ემატება მატჩის ყოველ ტაიმს დასასრულისას შეცვლების, ტრავმების, სადისციპლინო სანქციების, გატანილი გოლის საზეიმო აღნიშვნის და სხვა მიზეზების გამო, „დაკარგული“ დროის კომპენსაციისთვის

Assessment of injured player - ტრავმირებული მოთამაშის შემოწმება
ტრავმის სწრაფი შემოწმება, როგორც წესი, სამედიცინო პერსონალის მიერ, იმის დასადგენად, საჭიროებს თუ არა მოთამაშე მკურნალობას

Away goals rule - სტუმრად გატანილი გოლების წესი
მატჩის/მატჩების გამარჯვებულის გამოვლენის მეთოდი, როდესაც ორივე გუნდმა გაიტანა გოლების ერთნაირი რაოდენობა; მასპინძლისთვის სტუმრად გატანილი გოლი ითვლება ორად

B

Brutality - სისასტიკე
ველური, დაუნდობელი ან განზრახ ძალადობრივი ქმედება

C

Caution - გაფრთხილება
ოფიციალური სანქცია, რომლის შედეგად სადისციპლინო ორგანოს მიეწოდება პატაკი; გამოიხატება ყვითელი ბარათის ჩვენებით. ერთ მატჩში ორი ყვითელი ბარათი იწვევს მოთამაშის გაძევებას (წითელი ბარათი)

Charge (an opponent) - თავდასხმა (მეტოქეზე)
ფიზიკური ბრძოლა მეტოქის წინააღმდეგ, როგორც წესი მხრის ან მკლავის ზედა ნაწილის გამოყენებით (რომელიც სხეულთან ახლოს იმყოფება)

D

Deceive - მოტყუება
ქმედება მსაჯის შეცდომაში შეყვანის / მოტყუების მიზნით, როდესაც გამოტანილია არასწორი გადაწყვეტილება/ დისციპლინარული სანქცია, რომლითაც სარგებლობს მომტყუებელი და/ან მისი გუნდი

Direct free kick - საჯარიმო დარტყმა
დარტყმა, საიდანაც უშუალოდ შესაძლებელია ბურთზე ფეხის დარტყმით მეტოქის კარში გოლის გატანა

Discretion - შეხედულება, მოსაზრება
მსაჯის ან მატჩის სხვა ოფიციალური პირის მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოყენებული მსჯელობა

Dismissal - გაძევება
გაძევების აღმნიშვნელი კიდევ ერთი სიტყვა (წითელი ბარათი)
Dissent - უთანხმოება
მატჩის ოფიციალური პირის გადაწყვეტილების მიმართ უთანხმოების საჯარო გამოხატვა (სიტყვიერად და/ან ფიზიკურად); ისჯება გაფრთხილებით (ყვითელი ბარათი)
Distract - დაბნევა
შეცბუნება, შეწუხება ან ყურადღების მიპყრობა (როგორც წესი არასამართლიანად)
Dropped ball - დაგდებული ბურთი, ანუ "სადავო ბურთი"
თამაშის განახლების „ნეიტრალური" მეთოდი - მსაჯი აგდებს ბურთს ორივე გუნდის მოთამაშეებს შორის; ბურთი თამაშშია, როდესაც ეხება მიწას

E

Electronic player tracking system (EPTS) - მოთამაშის მოძრაობის თვალყურის დევნების ელექტრონული სისტემა
სისტემა, რომელიც იწერს და აანალიზებს მოთამაშის ფიზიკური და ფიზიოლოგიური მახასიათებლების მონაცემებს
Endanger the safety of an opponent - ემუქრება მეტოქის უსაფრთხოებას
მეტოქის საფრთხეში ან რისკის ქვეშ (ტრავმა) ჩაგდება
Excessive force - გადაჭარბებული ძალა
საჭიროზე მეტი ძალის/ენერგიის გამოყენება
Extra time - დამატებითი დრო
მატჩის შედეგის განსაზღვრის მცდელობის მეთოდი თამაშის ორი დამატებითი პერიოდის (15/15 წ ტაიმი) დანიშვნით

F

Feinting - ცრუ მოძრაობა
მოქმედება, რომელიც ცდილობს მეტოქის დაბნევას. წესები განსაზღვრავს დასაშვებ და „არალეგალურ“ ცრუ მოძრაობებს

Field of play (pitch) - სათამაშო მოედანი
სათამაშო არეალი, მოქცეული გვერდითი, კარის ხაზების და კარის ბადეს შორის (სადაც ის გამოყენებულია)

G

Goal line technology (GLT) - კარის ხაზის ტექნოლოგია
ელექტრონული სისტემა, რომელიც დაუყოვნებლივ აცნობებს მსაჯს გატანილი გოლის შესახებ, როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს კარის ფარგლებში (დეტალებისთვის იხ. წესი1)

H

Hybrid system - ჰიბრიდული სისტემა
ხელოვნური და ბუნებრივი მასალების კომბინაცია, სათამაშო ზედაპირის შექმნის მიზნით, რომელიც საჭიროებს მზის სინათლეს, წყალს, ჰაერის ცირკულაციას და მოძრაობას

I

Indirect free kick - თავისუფალი დარტყმა
დარტყმა, რომლიდანაც უშუალოდ გოლის კარში გატანა შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სხვა მოთამაშე (ნებისმიერი გუნდის) შეეხება ბურთს დარტყმის შემდეგ

Infringement - დარღვევა
ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება/არღვევს /შებღალავს წესებს

Impede - შეფერხება
ოპონენტის მოქმედების ან მოძრაობის შეყოვნება, ბლოკირება ან ხელის შეშლა

Intentional - განზრახ
გამიზნული ქმედება (არა შემთხვევითი)

Intercept - ჩაჭრა
ბურთისათვის წინასწარ განზრახულ დანიშნულებამდე მიღწევაში ხელის შეშლა

K

Kicks from the penalty mark - დარტყმები 11 მ ნიშნულიდან
მატჩის შედეგის დადგენის მეთოდი, როდესაც ორივე გუნდი ალტერნატიულად ასრულებს დარტყმებს, ვიდრე რომელიმე გუნდი არ გაიტანს ერთით მეტ გოლს, ორივე გუნდის მიერ დარტყმების თანაბარი რაოდენობის შესრულებისას. (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც პირველი 5 დარტყმისას ორივე გუნდისთვის, ერთი გუნდი ვერ შეძლებს გაუთანაბრდეს მეორე გუნდის ანგარიშს ყველა დარჩენილი დარტყმიდან გოლის გატანის შემთხვევაშიც-კი)

N

Negligible - უმნიშვნელო
შეუმჩნეველი, მინიმალური

O

Offence - დარღვევა
მოქმედება, რომელიც არღვევს/გათელავს/შებღალავს თამაშის წესებს; ზოგჯერ დაკავშირებულია აკრძალულ ქმედებებთან პიროვნების წინააღმდეგ, განსაკუთრებით მეტოქის წინააღმდეგ

Offensive, insulting or abusive language - შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან უცენზურო გამოთქმები
სიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც არის უხეში, საზიანო, უზრდელი; ისჯება გაძევებით (წითელი ბარათი)

Outside agent - უცხო პირი
ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს მატჩის ოფიციალური პირს ან არ არის შეყვანილი გუნდის სიაში (მოთამაშეები, სათადარიგოები და გუნდის ოფიციალური პირები)

P

Penalise - დაჯარიმება
დასჯა, როგორც წესი თამაშის გაჩერებით და საჯარიმო, თავისუფალი ან 11 მ დარტყმის დანიშვნით მეტოქე გუნდის სასარგებლოდ (იხილეთ აგრეთვე უპირატესობა)

Played - ითამაშა
მოთამაშის მოქმედება, რომელიც გულისხმობს ბურთზე კონტაქტს

Playing distance - სათამაშო მანძილი
მანძილი ბურთამდე, რომელიც საშუალებას აძლევს მოთამაშეს შეეხოს ბურთს ტერფის/ფეხის გაშლით ან ნახტომში ან მეკარეებისთვის, ნახტომში გაშლილი მკლავებით. მანძილი დამოკიდებულია მოთამაშის ფიზიკურ ზომაზე

Q

Quick free kick - სწრაფი საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა
თამაშის გაჩერების შემდეგ ძალიან სწრაფად შესრულებული საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა (მსაჯის ნებართვით)

R

Reckless - გაუაზრებელი
მოთამაშის რაიმე მოქმედება (როგორც წესი ფეხით ან სხეულის სხვა ნაწილით), რომელიც უგულვებელყოფს (იგნორირებს) საფრთხეს ან შედეგებს მეტოქისთვის

Restart - განახლება
თამაშის განახლების ნებისმიერი მეთოდი მისი გაჩერების შემდეგ

S

Sanction - სანქცია
მსაჯის მიერ გამოტანილი სადისციპლინო სანქცია

Save - გადარჩენა
მოთამაშის ქმედება ბურთის გასაჩერებლად, რომელიც უნდა გავიდეს კარში ან ძალიან ახლოს არის კართან, სხეულის ნებისმიერი ნაწილის გამოყენებით, ხელების გარდა (გარდა მეკარისა საკუთარ საჯარიმო მოედანში)

Send off (dismissal) - გაძევება (გაგდება)
სადისციპლინო აქცია, როდესაც მოთამაშეს მოეთხოვება დატოვოს მოედანი მატჩის ბოლომდე ისეთი დარღვევისთვის, რომელიც იმსახურებს გაძევებას (წითელი ბარათის ჩვენებით); თუ მატჩი დაწყებულია, მოთამაშის ჩანაცვლება არ შეიძლება

Serious foul play - წესების სერიოზული დარღვევა
ვარდნა ან ბრძოლა ბურთისთვის, რომელიც ემუქრება მეტოქის უსაფრთხოებას ან იყენებს გადაჭარბებულ ფიზიკურ ძალას/სისასტიკეს; ისჯება გაძევებით (წითელი ბარათი)

Signal - სიგნალი
ფიზიკური ნიშანი მსაჯისაგან ან მატჩის ნებისმიერი ოფიციალური პირისაგან; როგორც წესი გულისხმობს ხელის, მკლავის ან ალმის მოძრაობას, ან სასტვენის გამოყენებას (მხოლოდ მთავარი მსაჯი)

Simulation - სიმულაცია
ქმედება, რომელიც ქმნის მცდარ/ყალბ შთაბეჭდილებას, რომ რაღაც მოხდა, როდესაც ეს არ მომხდარა *(იხილეთ აგრეთვე* deceive); ჩადენილია მოთამაშის მიერ არასამართლიანი უპირატესობის მოპოვების მიზნით

Spirit of the game - თამაშის სულისკვეთება
ფეხბურთის ძირითადი/არსებითი პრინციპები/ხასიათი

Suspend - შეჩერება
მატჩის შეჩერება დროის რაღაც პერიოდის განმავლობაში საბოლოოდ მისი კვლავ განახლების მიზნით, მაგ.: ნისლი, ძლიერი წვიმა, ჭექა-ქუხილი, მძიმე ტრავმა

T

Tackle - ვარდნა
ბრძოლა ბურთისთვის ფეხების გამოყენებით (მიწაზე ან ჰაერში)

Team official - გუნდის ოფიციალური პირი
ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს მოთამაშეს და შეყვანილია გუნდის ოფიციალურ განაცხადში, მაგ.: მწვრთნელი, ფიზიოთერაპევტი, ექიმი *(იხილეთ ტექნიკური პერსონალი)*

Team list - გუნდის განაცხადი
გუნდის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც როგორც წესი შეიცავს მოთამაშეთა, სათადარიგოთა და გუნდის ოფიციალური პირების ჩამონათვალს

Technical staff - ტექნიკური პერსონალი
გუნდის ნებისმიერი ოფიციალური წევრები, რომლებიც არ წარმოადგენენ მოთამაშეებს და შეყვანილი არიან გუნდის ოფიციალურ განაცხადში, მაგ.: მწვრთნელი, ფიზიოთერაპევტი, ექიმი
(იხილეთ ტექნიკური პერსონალი)

Technical area - ტექნიკური ზონა
გარკვეული ზონა (სტადიონზე) დასაჯდომი ადგილებით გუნდის ოფიციალური პირებისთვის *(იხილეთ წესი 1 დეტალებისთვის)*

U

Undue interference - უადგილო ჩარევა
ქმედება/ზეგავლენა, რომელიც არ არის საჭირო

Unsporting behaviour - არასპორტული საქციელი
არასამართლიანი ქმედება/ქცევა; ისჯება გაფრთხილებით

V

Violent conduct - ძალადობრივი ქმედება
ქმედება, რომელიც არ წარმოადგენს ბურთისთვის ბრძოლას, როდესაც მოთამაშე იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს გადაჭარბებული ძალა ან სისასტიკე მეტოქის წინააღმდეგ ან, როდესაც მოთამაშე განზრახ ურტყამს ხელს თავში ან სახეში ვინმეს და გამოყენებული ძალა არ არის უმნიშვნელო

სამსაჯო ტერმინები

Match official(s) - მატჩის ოფიციალური პირები
ძირითადი ტერმინი იმ პირის ან პირებისთვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ფეხბურთის მატჩის კონტროლზე საფეხბურთო ასოციაციის და/ან შეჯიბრების სახელით, რომლის იურისდიქციითაც ტარდება მატჩი

Referee - მსაჯი
მატჩის მთავარი ოფიციალური პირი, რომელიც მოქმედებს სათამაშო მოედანზე. მატჩის სხვა ოფიციალური პირები მოქმედებენ მსაჯის კონტროლით და ხელმძღვანელობით. მსაჯი არის უკანასკნელი/ერთადერთი, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს

Other match officials - მატჩის სხვა ოფიციალური პირები
მსაჯის დასახმარებლად შეჯიბრებებში შესაძლოა დაინიშნონ მატჩის სხვა ოფიციალური პირები:

- ### Assistant referee - მსაჯის ასისტენტი
მატჩის ოფიციალური პირი ალმით ხელში, რომელიც განლაგებულია ყოველი გვერდითი ხაზის ერთ ნახევარზე მსაჯის დასახმარებლად, კერძოდ თამაშგარე სიტუაციებისას და კარიდან დარტყმის / კუთხური დარტყმის / ბურთის შემოგდების გადაწყვეტილებებისას

- ### Fourth official - სარეზერვო მსაჯი
მატჩის ოფიციალური პირი, რომელიც პასუხისმგებელია მსაჯის დახმარებაზე მოედნის გარეთ და მოედანზე არსებულ საკითხებში, მათ შორის ტექნიკური ზონის მეთვალყურეობაში, სათადარიგოების კონტროლში და ა.შ.

- ### Additional assistant referee (AAR) - მსაჯის დამატებითი ასისტენტი (AAR)
მატჩის ოფიციალური პირი, რომელიც განლაგებულია ყოველ კარის ხაზზე მსაჯის დასახმარებლად. კერძოდ, საჯარიმო მოედანსა და მის გარშემო წარმოქმნილ სიტუაციებში და გადაწყვეტილებებში, რომლებიც დაკავშირებულია სიტუაციასთან: იყო თუ არა გოლი

- ### Reserve assistant referee - მსაჯის სარეზერვო ასისტენტი
მსაჯის ასისტენტი, რომელიც შეცვლის ასისტენტს (და, თუ შეჯიბრების დებულება უშვებს, სარეზერვო მსაჯს და/ან მსაჯის დამატებით ასისტენტს), რომელსაც აღარ შეუძლია მატჩის გაგრძელება

IFAB®

პრაქტიკული სახელმძღვანელო

მსაჯებისათვის

შესავალი

ეს სახელმძღვანელო შეიცავს პრაქტიკულ რჩევებს მატჩის ოფიციალური პირებისთვის, რომელიც ავსებს თამაშის წესებში არსებულ ინფორმაციას.

მე-5 წესში არის მითითება მსაჯებზე, რომლებიც მოქმედებენ თამაშის წესების და „თამაშის სულისკვეთების“ ფარგლებში. არსებობს იმის მოლოდინი, რომ მსაჯები მიმართავენ საღ აზრს და გაითვალისწინებენ „თამაშის სულისკვეთებას“ თამაშის წესების გამოყენებისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოაქვთ გადაწყვეტილება მატჩის ჩატარების და/ან გაგრძელების შესახებ.

ეს სწორია, განსაკუთრებით ფეხბურთის დაბალ საფეხურებზე, სადაც ყოველთვის არ არის შესაძლებელი წესების მკაცრი გამოყენება. მაგალითად, თუ არ არსებობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, მსაჯმა უნდა დაიწყოს/გააგრძელოს თამაში, თუ:

- არ არის ერთი ან მეტი კუთხური ალამი
- არის მცირე უზუსტობა მოედნის დახაზვაში, როგორიც არის კუთხური ზონა, ცენტრალური წრე და ა.შ.
- კარის ბოძები/ძელი არ არის თეთრი

ასეთ შემთხვევებში, მსაჯმა, გუნდებთან შეთანხმებით, უნდა დაიწყოს/გააგრძელოს მატჩი და წარუდგინოს პატაკი შესაბამის ორგანოებს.

აღნიშვნა:

- AR = მსაჯის ასისტენტი
- AAR = მსაჯის დამატებითი ასისტენტი

ადგილის შერჩევა, მოძრაობა და გუნდური მუშაობა

1. ადგილის შერჩევის და მოძრაობის ძირითადი პრინციპები

საუკეთესო პოზიცია არის ის, საიდანაც მსაჯს შეუძლია სწორი გადაწყვეტილების მიღება. ყველა რეკომენდაცია მოედანზე ადგილის შერჩევასთან დაკავშირებით კორექტირებული უნდა იქნეს გუნდების, მოთამაშეების და მატჩში მომხდარი მოვლენების შესახებ არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

დიაგრამებით მოცემული პოზიციები არის საბაზისო და რეკომენდირებულია მსაჯებისათვის. მინიშნება „ზონაზე“ ხაზს უსვამს იმას, რომ რეკომენდირებული პოზიცია არის ის სივრცე, სადაც მსაჯი იმოქმედებს ყველაზე ეფექტურად. ზონა შეიძლება იყოს უფრო ვრცელი, მცირე ან სხვადასხვა ფორმის, კონკრეტული გარემოებების მიხედვით.

რეკომენდაციები:

- თამაში უნდა მიმდინარეობდეს მსაჯსა და მსაჯის წამყვან ასისტენტს შორის
- მსაჯის წამყვანი ასისტენტი უნდა იმყოფებოდეს მსაჯის მხედველობის არეში, ასე რომ მსაჯმა, როგორც წესი, უნდა გამოიყენოს განიერი დიაგონალური სისტემა
- თამაშის გვერდიდან ყურება აადვილებს თამაშის და მსაჯის წამყვანი ასისტენტის ყოლას მსაჯის მხედველობის არეში
- მსაჯი საკმარისად ახლოს უნდა იყოს, რათა დაინახოს თამაში მასზე ზეგავლენის გარეშე
- „ის, რაც უნდა იყოს დანახული“ - ყოველთვის არ არის ბურთთან არსებული სივრცე. მსაჯმა ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე:

    - მოთამაშეთა კონფრონტაციებს, რომლებიც არ ფლობენ ბურთს
    - შესაძლო დარღვევებს იმ ზონაში, საითაც არის მიმართული შეტევა
    - შესაძლო დარღვევებს გადაცემის შესრულების შემდეგ


მსაჯის ასისტენტი N 2
მსაჯის დამატებითი ასისტენტი N 2
მსაჯი
მსაჯის ასისტენტი N 1
მსაჯის დამატებითი ასისტენტი N 1

ადგილის შერჩევა მსაჯის ასისტენტებისა და მსაჯის დამატებითი ასისტენტებისათვის

მსაჯის ასისტენტი უნდა იმყოფებოდეს ბოლოდან მეორე მცველთან ან ბურთთან ერთ ხაზზე, თუ ბურთი უფრო ახლოს იმყოფება კარის ხაზთან, ვიდრე ბოლოდან მეორე მცველი. მსაჯის ასისტენტი პირისახით ყოველთვის სათამაშო მოედნისკენ უნდა იყოს, სირბილის დროსაც კი. გვერდითი მოძრაობა გამოყენებული უნდა იქნეს მოკლე დისტანციებისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თამაშგარე მდგომარეობის განსაზღვრისას, რადგან უკეთეს მხედველობის არეს აძლევს ასისტენტს.

მსაჯის დამატებითი ასისტენტის პოზიცია არის კარის ხაზის უკან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა კარის ხაზზე დგომა გოლია/გოლი არ არის სიტუაციების განსაზღვრისას. მსაჯის დამატებით ასისტენტებს არა აქვთ უფლება შევიდნენ სათამაშო მოედანზე, გარდა განსაკუთრებული სიტუაციებისა.

მეკარე

მცველი

თავდამსხმელი

მსაჯი

მსაჯის ასისტენტი

მსაჯის დამატებითი ასისტენტი

2. ადგილის შერჩევა და გუნდური მუშაობა

კონსულტაცია

იმ სიტუაციებში, როდესაც საჭიროა სადისციპლინო სანქციების გამოტანა, ვიზუალური კონტაქტი მსაჯთან და მსაჯის ასისტენტის ძირითადი, თავშეკავებული სიგნალი ხელით შესაძლოა იყოს საკმარისი. როდესაც საჭიროა უშუალო კონსულტაცია, მსაჯის ასისტენტს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, მოედნის სიღრმეში 2-3 მეტრით შესვლა. საუბრისას მსაჯი და მსაჯის ასისტენტი უნდა იმყოფებოდნენ პირისახით მოედნისკენ, რათა თავიდან აიცილონ ვინმეს მიერ მათი საუბრის მოსმენა და დააკვირდნენ მოთამაშეებს და სათამაშო მოედანს.

კუთხური დარტყმა

მსაჯის ასისტენტის პოზიცია კუთხური დარტყმის დროს არის კუთხური ალმის უკან, კარის ხაზის გასწვრივ, თუმცა, მსაჯის ასისტენტმა არ უნდა შეუშალოს ხელი კუთხური დარტყმის შემსრულებელ მოთამაშეს და უნდა შეამოწმოს, რომ ბურთი სწორად არის მოთავსებული კუთხურ ზონაში.



საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები

მსაჯის ასისტენტის პოზიცია საჯარიმო და თავისუფალი დარტყმების დროს უნდა იყოს ბოლოდან მეორე მცველთან ერთ ხაზზე თამაშგარე ხაზის შესამოწმებლად. თუმცა, მსაჯის ასისტენტი მზად უნდა იყოს გაჰყვეს ბურთს გვერდითი ხაზის გასწვრივ კუთხური ალმისკენ მოძრაობით, თუ ადგილი აქვს კარში პირდაპირ დარტყმას.






(GK)


(GK)

გოლია/გოლი არ არის სიტუაციები

თუ გოლი იქნა გატანილი და არ არსებობს ეჭვის საფუძველი ამის შესახებ, მსაჯმა და მსაჯის ასისტენტმა უნდა დაამყარონ ერთმანეთთან ვიზუალური კონტაქტი და და მსაჯის ასისტენტმა ალმის აწევის გარეშე სწრაფად უნდა გაირბინოს 25-30 მეტრი გვერდითი ხაზის გასწვრივ მოედნის შუა ხაზისკენ.

როდესაც გოლი გატანილი იქნა, თუმცა ისე ჩანს, თითქოს ბურთი ჯერ კიდევ თამაშშია, მსაჯის ასისტენტმა პირველ რიგში უნდა ასწიოს ალამი მსაჯის ყურადღების მისაპყრობად და შემდეგ გააგრძელოს გოლის ჩათვლის პროცედურა 25-30 მეტრის სწრაფი გარბენით გვერდითი ხაზის გასწვრივ მოედნის შუა ხაზისკენ.

იმ შემთხვევებში, როდესაც ბურთი მთლიანად არ გადაკვეთს კარის ხაზს და თამაში ჩვეულებრივ გრძელდება, ვინაიდან გოლი არ იქნა გატანილი, მსაჯმა უნდა დაამყაროს ვიზუალური კონტაქტი მსაჯის ასისტენტთან და თუ საჭიროა, მისცეს თავშეკავებული სიგნალი ხელით.



კარიდან დარტყმა

მსაჯის ასისტენტმა პირველ რიგში უნდა შეამოწმოს, მოთავსებულია თუ არა ბურთი კარის მოედანში. თუ ბურთი არ არის სწორად მოთავსებული, მსაჯის ასისტენტი უნდა დარჩეს საკუთარ ადგილას, დაამყაროს ვიზუალური კონტაქტი მსაჯთან და ასწიოს ალამი. მას შემდეგ, რაც ბურთი სწორად მოთავსდა კარის მოედანში, მსაჯის ასისტენტი უნდა გადაადგილდეს საჯარიმო მოედნის კუთხისკენ, რათა დარწმუნდეს, რომ ბურთი ტოვებს საჯარიმო მოედანს (ბურთი თამაშშია) და თავდამსხმელები საჯარიმო მოედნის გარეთ იმყოფებიან. ამის შემდეგ ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია თამაშგარე ხაზის გასაკონტროლებლად.

თუმცა, თუ არის მსაჯის დამატებითი ასისტენტი, მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია საჯარიმო მოედნის ხაზის გასწვრივ და შემდეგ თამაშგარე ხაზზე, ხოლო მსაჯის დამატებითმა ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია კარის ხაზის და კარის მოედნის გადაკვეთზე და შეამოწმოს, მოთავსებულია თუ არა ბურთი კარის მოედანში. თუ ბურთის სწორად არ არის მოთავსებული, მსაჯის დამატებითმა ასისტენტმა უნდა მიაწოდოს ეს ინფორმაცია მსაჯს.



მეკარეს შეჰყავს ბურთი თამაშში თამაშის მიმდინარეობისას
მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია საჯარიმო მოედნის ხაზის გასწვრივ და შეამოწმოს მეკარის მიერ ბურთზე ხელით შესაძლო თამაში საჯარიმო მოედნის გარეთ. მას შემდეგ, რაც მეკარე შეიყვანს ბურთს თამაშში, მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია თამაშგარე ხაზის გასაკონტროლებლად.



კარიდან დარტყმა

მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია ბოლოდან მეორე მცველთან ერთ ხაზზე.



დარტყმები 11 მ ნიშნულიდან

მსაჯის ერთი ასისტენტი უნდა განთავსდეს კარის ხაზის და კარის მოედნის გადაკვეთაზე. მსაჯის მეორე ასისტენტი უნდა იმყოფებოდეს ცენტრალურ წრეში მოთამაშეების გასაკონტროლებლად. თუ არიან მსაჯის დამატებითი ასისტენტები, ისინი უნდა განლაგდნენ კარის ხაზის და კარის მოედნის გადაკვეთის წერტილებში, შესამაბისად კარიდან მარჯვნივ და მარცხნივ; მსაჯის ორივე ასისტენტი განლაგდება ცენტრალურ წრეში.





11 მ დარტყმა

მსაჯის ასისტენტი უნდა განთავსდეს კარის ხაზის და საჯარიმო მოედნის გადაკვეთაზე.



თუ არიან მსაჯის დამატებითი ასისტენტები, მსაჯის დამატებითი ასისტენტი უნდა განთავსდეს კარის ხაზის და საჯარიმო მოედნის გადაკვეთაზე, ხოლო მსაჯის ასისტენტმა უნდა დაიკავოს პოზიცია 11 მ ნიშნულთან ერთ ხაზზე (რომელიც წარმოადგენს თამაშგარე ხაზს).



მასობრივი კონფრონტაცია

მასობრივი კონფრონტაციების დროს, მსაჯის უახლოეს ასისტენტს შეუძლია სათამაშო მოედანზე შესვლა მსაჯის დასახმარებლად. მსაჯის მეორე ასისტენტი უნდა დააკვირდეს და ჩაიწეროს ინციდენტის დეტალები. სარეზერვო მსაჯი უნდა დარჩეს ტექნიკური ზონების მახლობლად.

სავალდებულო მანძილი

როდესაც საჯარიმო დარტყმა დანიშნულია მსაჯის ასისტენტთან ახლოს, მსაჯის ასისტენტს შეუძლია სათამაშო მოედანზე შესვლა (როგორც წესი, მსაჯის მოთხოვნით) დასახმარებლად, რათა დარწმუნდეს, რომ მოთამაშეები განლაგებული არიან ბურთიდან 9.15 მ (10 იარდი) მანძილზე. ამ შემთხვევაში, მსაჯი უნდა დაელოდოს, ვიდრე მსაჯის ასისტენტი დაბრუნდება საკუთარ პოზიციაზე თამაშის განახლებამდე.

შეცვლა

თუ არ არის სარეზერვო მსაჯი, მსაჯის ასისტენტი გადაადგილდება შუა ხაზისკენ შეცვლის პროცედურაში მსაჯის დასახმარებლად; მსაჯი უნდა დაელოდოს, ვიდრე მსაჯის ასისტენტი დაბრუნდება საკუთარ პოზიციაზე თამაშის განახლებამდე.

თუ არის სარეზერვო მსაჯი, მსაჯის ასისტენტისთვის არ არის სავალდებულო გადაადგილდეს შუა ხაზისკენ, ვინაიდან სარეზერვო მსაჯი ახორციელებს შეცვლის პროცედურას. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთდროულად ხდება რამოდენიმე შეცვლა, რა შემთხვევაშიც მსაჯის ასისტენტი გადაადგილდება შუა ხაზისკენ სარეზერვო მსაჯის დასახმარებლად.

IFAB®

ჟესტების ენა, ურთიერთქმედება და სასტვენი

1. მსაჯები

ჟესტების ენა

ჟესტების ენა არის საშუალება, რომელსაც მსაჯი იყენებს:

- მატჩის კონტროლისთვის
- ავტორიტეტის და თვითკონტროლის დემონსტრირებისთვის

ჟესტების ენა არ წარმოადგენს გადაწყვეტილების ახსნა-განმარტებას.

სიგნალები

იხილეთ სიგნალების დიაგრამები მე-5 წესში

სასტვენი

სასტვენი საჭიროა:

- თამაშის დასაწყებად (ნორმალური დროის 1 და 2 ტაიმები და დამატებითი დრო), გატანილი გოლის შემდეგ
- თამაშის გასაჩერებლად:
    - საჯარიმო, თავისუფალი ან 11 მ დარტყმისთვის
    - თუ მატჩი არის დროებით შეჩერებული ან შეწყვეტილი
    - ყოველი ტაიმის ბოლოს

- თამაშის განახლებისთვის:
    - საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას, როდესაც საჭიროა სავალდებულო მანძილის დაცვა
    - დარტყმებისას 11 მ ნიშნულიდან

- თამაშის განახლებისთვის მას შემდეგ, რაც ის გაჩერებული იქნა:
    - გაფრთხილებისთვის ან გაძევებისთვის
    - ტრავმისთვის
    - შეცვლისთვის

სასტვენი არ არის საჭირო:

- თამაშის გასაჩერებლად აშკარა:
  - კარიდან დარყმისთვის, კუთხური დარტყმისთვის, ბურთის შემოგდებისთვის ან გოლისთვის
- თამაშის განახლებისთვის:
  - უმეტესი საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას, კარიდან დარტყმისას, კუთხური დარტყმისას, ბურთის შემოგდებისას ან „სადავო ბურთისას“

სასტვენს ნაკლები ეფექტი აქვს, როდესაც ის ზედმეტად ხშირად/ საჭიროების გარეშე არის გამოყენებული.
როდესაც მსაჯს სურს, რომ მოთამაშე/მოთამაშეები დაელოდონ სასტვენს თამაშის განახლებამდე (მაგ: როდესაც საჭიროა დამცველი მოთამაშეების დაყენება 9.15 მ მანძილზე საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმებისას), მსაჯმა მკაფიოდ უნდა შეატყობინოს შემტევ მოთამაშეს/მოთამაშეებს, რომ ისინი უნდა დაელოდონ სასტვენს.

თუ მსაჯი შეცდომით ჩაბერავს სასტვენს და თამაში ჩერდება, თამაში განახლდება „სადავო ბურთით“.

2. მსაჯის ასისტენტები

ბიპ სიგნალი

ბიპ სიგნალი არის დამატებითი სასიგნალო სისტემა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მსაჯის ყურადღების მისაპყრობად. ბიპ სიგნალის გამოყენება შეიძლება სასარგებლო იქნეს შემდეგ სიტუაციებში:

- თამაშგარე
- დარღვევები (მსაჯის მხედველობის არის მიღმა)
- ბურთის შემოგდება, კუთხური დარტყმა, კარიდან დარტყმა ან გოლი (რთული გადაწყვეტილებები)

ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა

როდესაც გამოყენებულია ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა, მსაჯი მატჩის წინ ინსტრუქციას მისცემს მსაჯის ასისტენტს, თუ როდის შეიძლება იყოს გამოყენებული საკომუნიკაციო სისტემა ან ფიზიკური სიგნალი.

ალმის გამოყენების ტექნიკა

მსაჯის ასისტენტის ალამი ყოველთვის გაშლილი და ხილული უნდა იყოს მსაჯისთვის. ეს, როგორც წესი, გულისხმობს, რომ ასისტენტს ალამი უჭირავს მსაჯისგან უახლოეს ხელში. სიგნალის მიცემისას, მსაჯის ასისტენტი ჩერდება, პირისახით შეტრიალდება სათამაშო მოედნისკენ, ამყარებს ვიზუალურ კონტაქტს მსაჯთან და ასწევს ალამს მკაფიო მოძრაობით (არა ნაჩქარევი ან გაზვიადებული ქმედებით). ალამი უნდა გამოიყურებოდეს, როგორც მკლავის ბუნებრივი გაგრძელება. მსაჯის ასისტენტმა ალამი უნდა ასწიოს იმ ხელით, რომელიც მიმდინარე სიტუაციაში გამოყენებული იქნება შემდგომი სიგნალისთვის.

თუ ვითარება შეიცვალა და მეორე ხელი უნდა იქნეს გამოყენებული, მსაჯის ასისტენტმა ალამი მეორე ხელში უნდა გადაიტანოს წელს ქვევით მოძრაობით. თუ მსაჯის ასისტენტი ანიშნებს ბურთის თამაშიდან გასვლას, მან სიგნალის მიცემა მანამდე უნდა გააგრძელოს, ვიდრე მსაჯი არ შეამჩნევს მას.

თუ მსაჯის ასისტენტი ანიშნებს, რომ მოხდა დარღვევა, რომელიც ისჯება გაძევებით და ის არ იქნა დანახული დაუყოვნებლივ:

- თუ თამაში გაჩერებული იქნა, განახლება შესაძლოა შეცვლილი იქნეს წესების შესაბამისად (საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა, 11 მ დარტყმა და ა.შ.)
- თუ თამაში განახლდა, მსაჯს ჯერ კიდევ შეუძლია სადისციპლინო სანქციის გამოტანა, მაგრამ არ შეუძლია დარღვევის დასჯა საჯარიმო, თავისუფალი ან 11 მ დარტყმით

ჟესტები

როგორც წესი, მსაჯის ასისტენტებმა არ უნდა გამოიყენონ ხელის აშკარა სიგნალები. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ფრთხილი, ფარული სიგნალი ხელით შესაძლოა დაეხმაროს მსაჯს. ხელით მიცემული სიგნალი გასაგები უნდა იყოს და უნდა შეთანხმდეს მატჩის წინ მსაჯების თათბირზე.

სიგნალები

იხილეთ სიგნალების დიაგრამა მე-6 წესში

კუთხური დარტყმა/კარიდან დარტყმა

როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს მსაჯის ასისტენტის მახლობლად, სიგნალი მიცემული უნდა იქნეს მარჯვენა ხელით (მხედველობის უკეთესი არე) კარიდან დარტყმის ან კუთხური დარტყმის საჩვენებლად.

როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს კარის ხაზს, მსაჯის ასისტენტმა უნდა ასწიოს ალამი და ამით აცნობოს მსაჯს, რომ ბურთი თამაშიდან გავიდა და შემდეგ, თუ ის არის:

- მსაჯის ასისტენტის მახლობლად - აჩვენოს კარიდან დარტყმა ან კუთხური დარტყმა
- შორს მსაჯის ასისტენტიდან - დაამყაროს ვიზუალური კონტაქტი მსაჯთან და მიჰყვეს მსაჯის გადაწყვეტილებას

დარღვევები

მსაჯის ასისტენტმა უნდა ასწიოს ალამი, როდესაც წესი ირღვევა ან უდისციპლინო საქციელს ადგილი აქვს უშუალოდ ასისტენტთან ახლოს ან მსაჯის მხედველობის არის მიღმა. ყველა სხვა სიტუაციაში, მსაჯის ასისტენტი უნდა დაელოდოს და თუ საჭიროა, შესთავაზოს მსაჯს საკუთარი აზრი და შემდეგ აცნობოს მსაჯს, თუ რა დაინახა და რა მოისმინა მან და რომელი მოთამაშეები მონაწილეობდნენ ინციდენტში.

ვიდრე დარღვევის გამო მისცემს სიგნალს, მსაჯის ასისტენტმა უნდა განსაზღვროს, რომ:

- დარღვევა მოხდა მსაჯის მხედველობის არის მიღმა ან მსაჯის მხედველობის არე იყო დაფარული
- მსაჯი არ გამოიყენებდა უპირატესობას

როდესაც ადგილი აქვს დარღვევას, რომელიც საჭიროებს სიგნალს მსაჯის ასისტენტისაგან, მსაჯის ასისტენტმა უნდა:

- ასწიოს ალამი იმავე ხელით, რომლითაც იგი დაასრულებდა სიგნალს - ეს აძლევს მსაჯს იმის ნათელ ნიშანს, თუ ვის სასარგებლოდ უნდა დაინიშნოს საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა
- დაამყაროს ვიზუალური კონტაქტი მსაჯთან
- ოდნავ გააქნიოს ალამი წინ და უკან (გადაჭარბებული ან აგრესიული მოძრაობის გარეშე)

მსაჯის ასისტენტმა უნდა გამოიყენოს „დაელოდე და შეხედე“ ტექნიკა, იმ მიზნით, რომ თამაში გაგრძელდეს და არ ასწიოს ალამი, როდესაც ის გუნდი რომლის წინააღმდეგაც მოხდა დარღვევა, მიიღებს სარგებელს უპირატესობისაგან; ამგვარად, მსაჯის ასისტენტისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ვიზუალური კონტაქტის დამყარება მსაჯთან.

წესების დარღვევები საჯარიმო მოედანში

როდესაც მცველი არღვევს წესს საჯარიმო მოედანში მსაჯის მხედველობის არის მიღმა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ხდება მსაჯის ასისტენტის სიახლოვეს, მსაჯის ასისტენტმა ვიზუალური კონტაქტი უნდა დაამყაროს მსაჯთან, რათა დაინახოს, თუ სად იმყოფება მსაჯი და რა მოქმედებას ახორციელებს ის. თუ მსაჯი არაფერს მოიმოქმედებს, მსაჯის ასისტენტმა ალმით უნდა მისცეს სიგნალი, გამოიყენოს ბიპ სიგნალი და შემდეგ აშკარად გადაადგილდეს გვერდითი ხაზის გასწვრივ კუთხური ალმისკენ.

წესების დარღვევები საჯარიმო მოედნის გარეთ

როდესაც მცველი არღვევს წესს საჯარიმო მოედნის ფარგლებს მიღმა (საჯარიმო მოედნის საზღვრებთან ახლოს), მსაჯის ასისტენტმა ვიზუალური კონტაქტი უნდა დაამყაროს მსაჯთან, რათა დაინახოს, თუ სად იმყოფება მსაჯი, რა მოქმედებას ახორციელებს და თუ საჭიროა, ალმით მისცეს სიგნალი.

კონტრშეტევების დროს, მსაჯის ასისტენტმა უნდა შეძლოს, რომ მიაწოდოს მსაჯს ინფორმაცია იმის შესახებ, ჩადენილი იყო თუ არა დარღვევა და ჩადენილი იყო თუ არა დარღვევა საჯარიმო მოედანში ან მის გარეთ და რა სადისციპლინო მოქმედება არის განსახორციელებელი.

მსაჯის ასისტენტი გარკვევით უნდა გადაადგილდეს გვერდითი ხაზის გასწვრივ შუა ხაზისკენ, რათა ანიშნოს, რომ დარღვევას ადგილი ჰქონდა საჯარიმო მოედნის გარეთ.

გოლია - გოლი არ არის
როდესაც აშკარაა, რომ ბურთმა მთლიანად გადაკვეთა კარის ხაზი კარში, მსაჯის ასისტენტმა ვიზუალური კონტაქტი უნდა დაამყაროს მსაჯთან რაიმე სხვა დამატებითი სიგნალის მიცემის გარეშე.

როდესაც გოლი გატანილია, მაგრამ არ არის ნათელი, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი, მსაჯის ასისტენტმა პირველ რიგში უნდა ასწიოს ალამი მსაჯის ყურადღების მიპყრობის მიზნით და შემდეგ დაადასტუროს გოლის გატანა.

თამაშგარე
პირველი მოქმედება, რასაც მსაჯის ასისტენტი ახორციელებს თამაშგარე მდგომარეობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, არის ალმის აწევა (მარჯვენა ხელის გამოყენებით, რაც აძლევს მსაჯს მხედველობის უკეთეს არეს) და შემდეგ, თუ მსაჯი აჩერებს თამაშს, ალმის საშუალებით ანიშნებს, თუ სათამაშო მოედნის რომელ ნაწილში მოხდა დარღვევა. თუ მსაჯი დაუყოვნებლივ ვერ დაინახავს აწეულ ალამს, მსაჯის ასისტენტმა უნდა გააგრძელოს სიგნალის მიცემა, ვიდრე ის არ იქნება დანახული ან ბურთი ნათლად არ იქნება დამცველი გუნდის კონტროლის ქვეშ.

11 მ დარტყმა
თუ მეკარე ბურთის დარტყმამდე აშკარად ტოვებს კარის ხაზს და გოლი არ არის გატანილი, მსაჯის ასისტენტმა უნდა ასწიოს ალამი.

შეცვლა
მას შემდეგ, რაც მსაჯს აცნობებენ (სარეზერვო მსაჯი ან გუნდის ოფიციალური პირი) მოთხოვნილი შეცვლის შესახებ, მსაჯის ასისტენტმა უნდა ანიშნოს მსაჯს ამის შესახებ თამაშის შემდგომი გაჩერებისას.

ბურთის შემოგდება გვერდითი ხაზიდან
როდესაც ბურთი მთლიანად გადაკვეთს გვერდით ხაზს:

- მსაჯის ასისტენტის მახლობლად - პირდაპირი სიგნალით ნაჩვენები უნდა იქნეს ბურთის შემოგდების მიმართულება
- შორს მსაჯის ასისტენტისგან და ბურთის შემოგდების გადაწყვეტილება ნათელია - მსაჯის ასისტენტმა უნდა მისცეს პირდაპირი სიგნალი ბურთის შემოგდების მიმართულების საჩვენებლად
- შორს მსაჯის ასისტენტისგან და მსაჯის ასისტენტი არ არის დარწმუნებული ბურთის შემოგდების მიმართულებაში - მსაჯის ასისტენტმა ალმის აწევით უნდა ანიშნოს მსაჯს, რომ ბურთი თამაშიდან გასულია, დაამყაროს მსაჯთან ვიზუალური კონტაქტი და მიჰყვეს მსაჯის სიგნალს

3. მსაჯის დამატებითი ასისტენტები

მსაჯის დამატებითი ასისტენტები მსაჯთან კომუნიკაციისთვის იყენებენ რადიო საკომუნიკაციო სისტემას (და არა ალმებს). თუ რადიო საკომუნიკაციო სისტემა აღარ მუშაობს, მსაჯის დამატებითი ასისტენტები გამოიყენებენ ელექტრონულ ფლაგშტოკებს ბიპ სიგნალით. როგორც წესი, მსაჯის დამატებითი ასისტენტები არ იყენებენ ხელის აშკარა სიგნალებს, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ხელის თავშეკავებულმა სიგნალმა შესაძლოა მსაჯს მისცეს ღირებული მხარდაჭერა. ხელის სიგნალს უნდა ჰქონდეს ნათელი მნიშვნელობა და უნდა იყოს შეთანხმებული მატჩის წინ თათბირზე.

მსაჯის დამატებითმა ასისტენტმა, იმის განსაზღვრისას, მთლიანად გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი კარის შიგნით:

- დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მსაჯს საკომუნიკაციო სისტემის საშუალებით, რომ გატანილი გოლი უნდა ჩაითვალოს
- კარის ხაზის მართობული და მოედნის ცენტრისკენ მიმართული მარცხენა მკლავით აჩვენოს ნათელი სიგნალი (ასევე საჭიროა მარცხენა ხელში ფლაგშტოკის დაჭერა). ეს სიგნალი არ არის საჭირო, როდესაც ბურთი ძალიან აშკარად გადაკვეთს კარის ხაზს.

მსაჯი გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას.

სხვა რჩევები

1. უპირატესობა

მსაჯს შეუძლია უპირატესობის გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დარღვევას, მაგრამ უპირატესობის გამოყენების ან თამაშის გაჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- დარღვევის სიმძიმე - თუ დარღვევა იმსახურებს გაძევებას, მსაჯმა უნდა გააჩეროს თამაში და გააძევოს მოთამაშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა
- დარღვევის ადგილი - რაც უფრო ახლოა მეტოქის კართან, მით უფრო ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს უპირატესობა
- დაუყოვნებლივი, იმედისმომცემი შეტევის შანსები
- მატჩის ატმოსფერო

2. დაკარგული დროის დამატება

ხშირი პაუზები თამაშში სრულიად ბუნებრივია (მაგ.: ბურთის შემოგდებები, კარიდან დარტყმები). დრო დამატებული უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დაყოვნებები გადაჭარბებულია.

3. მეტოქის შეკავება

მსაჯებს მოეთხოვებათ დროულად ჩაერიონ და მტკიცედ იმოქმედონ შეკავებასთან დაკავშირებული დარღვევებისას, განსაკუთრებით საჯარიმო მოედანში კუთხური, საჯარიმო და თავისუფალი დარტყმებისას. ამ სიტუაციებთან გამკლავებისას მსაჯმა:

- სიტყვიერად უნდა გააფრთხილოს ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც აკავებს მეტოქეს ბურთის თამაშში შესვლამდე
- უნდა გააფრთხილოს მოთამაშე, თუ შეკავება გრძელდება ბურთის თამაშში შესვლამდე
- უნდა დანიშნოს საჯარიმო ან 11 მ დარტყმა და გააფრთხილოს მოთამაშე, თუ ეს ხდება ბურთის თამაშში შესვლის შემდეგ

4. თამაშგარე



თავდამსხმელი **იყმოფება თამაშგარე მდგომარეობაში** (A), ხელს არ უშლის მეტოქეს, **ეხება ბურთს.** მსაჯის ასისტენტმა უნდა ასწიოს ალამი, როდესაც მოთამაშე **შეეხება ბურთს.**



თავდამსხმელი **იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში**(A), ხელს არ უშლის მეტოქეს, არ ეხება ბურთს. მოთამაშე არ უნდა დაისაჯოს, **ვინაიდარ არ შეხებია ბურთს.**



თავდამსხმელი **იყმოფება თამაშგარე მდგომარეობაში** (A), მირბის ბურთისკენ, ხოლო მისი თანაგუნდელი **სწორი მდგომარეობიდან** (B) აგრეთვე გარბის ბურთისკენ და თამაშობს ბურთზე. (A) არ შეიძლება დაჯარიმდეს, ვინაიდან იგი არ შეეხება ბურთს.



მოთამაშე, რომელიც **იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში** (A), შეიძლება დაჯარიმებული იყოს, ვიდრე იგი ითამაშებს ან შეეხება ბურთს, თუ მსაჯის აზრით, სხვა რომელიმე მის თანაგუნდელს არა აქვს შანსი ითამაშოს ბურთზე სწორი მდგომარეობიდან.



თავდამსხმელი, რომელიც **იყმოფება თამაშგარე მდგომარეობაში** (1), მირბის ბურთისკენ და არ **ეხება ბურთს.** ასისტენტმა უნდა ანიშნოს **კარიდან დარტყმა**



თავდამსხმელი, რომელიც **იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში** (A), აშკარად ფარავს მეკარის მხედველობის არეს. იგი უნდა დაჯარიმდეს, ვინაიდან იგი ხელს უშლის მეტოქეს ითამაშოს ან ჰქონდეს შესაძლებლობა ითამაშოს ბურთზე.



თავდამსხმელი, რომელიც **იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში** (A), **არ** ფარავს მეკარის მხედველობის არეს ან არ შედის მეტოქესთან ბურთისთვის ორთაბრძოლაში.



თავდამსხმელი, რომელიც **იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში** (A), გარბის ბურთისკენ მაგრამ ხელს არ უშლის მეტოქეს ბურთზე თამაშში ან ბურთზე თამაშის შესაძლებლობაში. თავდამსხმელი (A) **არ** შედის მეტოქესთან (B) ბურთისთვის ორთაბრძოლაში.



თავდამსხმელი, იმყოფება რა **თამაშგარე მდგომარეობაში** (A), გარბის ბურთისკენ და მეტოქესთან ბურთისთვის ორთაბრძოლაში შესვლით (B), ხელს უშლის მას ითამაშოს ბურთზე ან ჰქონდეს ბურთზე თამაშის შესაძლებლობა. თავდამსხმელი (A) შედის მეტოქესთან (B) ბურთისთვის ორთაბრძოლაში.



თავდამსხმელი, **იმყოფება რა თამაშგარე მდგომარეობაში** (B), ისჯება **ბურთზე თამაშისა ან შეხებისთვის**, რომელიც მისი მიმართულებით აისხლიტა ან მიმართულება შეიცვალა მეკარისგან ან რომელიც ითამაშა მეკარემ გატანილი გოლისაგან საკუთარი კარის გამიზნულად გადარჩენისას, ვინაიდან თანაგუნდელის მიერ ბურთზე დარტმის ან შეხების მომენტში, იგი იმყოფებოდა **თამაშგარე მდგომარეობაში.**



თავდამსხმელი, **იმყოფება რა თამაშგარე მდგომარეობაში** (B), ისჯება **ბურთზე თამაშისა ან შეხებისთვის**, რომელიც მისი მიმართულებით აისხლიტა ან მიმართულება შეიცვალა მცველის მიერ (C) დარტყმის ან შეხების მომენტში, იგი იმყოფებოდა **თამაშგარე მდგომარეობაში.**



მოთამაშის (A) მიერ დარტყმული ბურთი აისხლიტა მეკარისგან. მოთამაშე (B) იმყოფება სწორ მდგომარეობაში და თამაშობს ბურთზე. მოთამაშე (C), რომელიც **იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში**, არ ისჯება, ვინაიდან იგი არ მოიპოვებს უპირატესობას ამ მდომარეობაში ყოფნით, რადგან იგი არ შეხებია ბურთს.



მოთამაშის (A) მიერ კარში დარტყმული ბურთი აისხლიტება ან მიმართულებას შეიცვლის მეტოქისგან და მისდის მის თანაგუნდელს (B), რომელიც დაჯარიმდება **ბურთზე თამაშისა ან შეხებისთვის**, ვინაიდან მანამდე იგი **იმყოფებოდა თამაშგარე მდგომარეობაში.**



თავდამსხმელი (C) **იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში** და არ უშლის ხელს მეტოქეს როდესაც მისი თანაგუდელი (A) აძლევს პასს წორ მდგომარეობაში მყოფ მოთამაშეს (B1), რომელიც გარბის მეტოქის კარის მიმართულებით და აწოდებს ბურთს (B2) თანაგუნდელის (C). თავდამსხმელი (C) არ შეიძლება იყოს დაჯარიმებული, ვინაიდან, როდესაც ბურთი მისკენ იქნა გადაწოდებული, იგი **იმყოფებოდა სწორ მდგომარეობაში.**

5. მკურნალობა/შემოწმება გაფრთხილების/გაძევების შემდეგ
წარსულში, ტრავმირებულ მოთამაშეს, რომელიც იღებდა სამედიცინო დახმარებას სათამაშო მოედანზე, უნდა დაეტოვებინა მოედანი თამაშის განახლებამდე. ეს შეიძლება არასამართლიანი იყოს, ვინაიდან მეტოქე გუნდს, რომლის მიზეზით დაშავდა მოთამაშე, გააჩნია რიცხობრივი უპირატესობა თამაშის განახლებისას.

თუმცა, ეს მოთხოვნა შემოღებული იყო იმიტომ, რომ მოთამაშეები ხშირად არასპორტულად იყენებდნენ ტრავმას, რათა ტაქტიკური მიზნებით დაეყოვნებინათ თამაშის განახლება.

როგორც ბალანსი ამ ორ არასამართლიან სიტუაციას შორის, IFAB-მა გადაწყვიტა, *რომ მხოლოდ იმ დარღვევებისას, სადაც მეტოქე გაფრთხილებული ან გაძევებული იყო,* ტრავმირებული მოთამაშე შეიძლება სწრაფად იქნეს შემოწმებული/ნამკურნალები და დარჩეს სათამაშო მოედანზე.

პრინციპში, პაუზა არ უნდა იყოს იმაზე გრძელი, რაც ამჟამად ხდება, როდესაც სამედიცინო პერსონალი შედის მოედანზე ტრავმის შესამოწმებლად. განსხვავება იმაშია, რომ მსაჯი ითხოვდა სამედიცინო პერსონალის და მოთამაშის გასვლას, თუმცა ამჟამად სამედიცინო პერსონალი გადის, ხოლო მოთამაშეს შეუძლია დარჩენა.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტრავმირებული მოთამაშე არ იყენებს/აჭიანურებს დაყოვნებას არასამართლიანად, მსაჯებს ეძლევათ რჩევა:

- გააცნობიერონ მატჩში მომხდარი სხვადასხვა სიტუაციები და განახლების დაყოვნების შესაძლო ტაქტიკური მიზეზები
- მიაწოდონ ინფორმაცია დაშავებულ მოთამაშეს, რომ თუ საჭიროა სამედიცინო დახმარება, ის უნდა იყოს სწრაფი

- მისცენ სიგნალი სამედიცინო პერსონალს (და არა მზიდავებს) და თუ შესაძლებელია, შეახსენონ მათ დახმარების სწრაფად გაწევის აუცილებლობა

როდესაც მსაჯი გადაწყვეტს თამაშის განახლებას, არის ორი შესაძლებლობა:
- სამედიცინო პერსონალი გადის და მოთამაშე რჩება, ან
- მოთამაშე გადის შემდგომი შემოწმების/მკურნალობის მიზნით
(შესაძლოა საჭირო იყოს სიგნალი მზიდავებისთვის)

როგორც ძირითადი რეკომენდაცია, განახლება არ უნდა დაყოვნდეს 20-25 წამზე მეტად იმ მომენტიდან, როდესაც ყველა მზად არის თამაშის განახლებისთვის.

მსაჯმა მთლიანად უნდა დაამატოს მატჩის გაჩერებაზე დაკარგული დრო.

IFAB®

შენიშვნები

შენიშვნები

შენიშვნები

IFAB®

IFAB®

THE INTERNATIONAL FOOTBALL ASSOCIATION BOARD